საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ფრილი

ფასი 2 ლარი

1134 /2
2018 /2

2018 / აპრილი
4 (270)

ლიტერატურის მოამხმარებელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

კრიტიკა	1	ილია ურუშაძე, გიორგი ფირცხალაიშვილი | ლიტერატურის მომხმარებელი
ესე	10	ტარიელ დათიაშვილი | არსებული და არარსებული სივრცეები
პოეზია	14	მანანა მათიაშვილი
	16	შოთა იათაშვილი
	18	ნენე გიორგაძე
	21	გიორგი ჩუთლაშვილი
	24	გიო ლომიძე
თარგმანი	27	საბინე შიფნერი - პოეტი კარიატიდი | გერმანულიდან *თარგმნა ბელა ჩეკურიშვილმა*
პროზა	31	ჯაბა ზარქუა | დაკარგვა ხრუშოვკაში
	40	რამაზ გიგაური | არჩევნები
ინტერვიუ	45	მარიო ვარგას ლიოსა: პოლიტიკური კორექტულობა თავისუფლების მტერია *ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

პრილი - დასასვენებელი სინდინდეთა
ნულტან-ალბა

პრილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

პრილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი
ხალტური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის
ახალგაზრდულის კულტურისა
და სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ურუშაძე, გიორგი ფირცხალაიშვილი

ლიტერატურის მომხმარებელი

„ერთი სიტყვით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ „მწარმოებლის კრიტიკა" ჩაანაცვლა „მომხმარებლის კრიტიკამ". ეს საბედისწერო ბიძგი, შეუძლებელია, ავხსნათ საზოგადოებაში განწყობათა ცვლილებების უბრალო აღნიშვნით, სოციალური რეფორმების წყურვილის შესუსტებით, საერთო სიკეთისადმი და სამართლიანი საზოგადოებისადმი ინტერესის შემცირებით, პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურობის კლებით ან ჰედონისტური და ეგოისტური განწყობების ზრდით, თუმცაღა, ცხადია, ყველა ეს მომენტი დამახასიათებელია ჩვენი დროებისთვის. ცვლილების მიზეზებს უფრო ღრმა ფესვები აქვს: ისინი დაღექილია სოციალური სფეროს რადიკალურ ტრანსფორმაციასა და, უფრო ზოგადად, იმ სტილში, როგორითაც ცხოვრობს და კვლავ აწარმოებს საკუთარ თავს თანამედროვე საზოგადოება".

ზიგმუნტ ბაუმანი

I

უშფოთველი ძილის შემდეგ ლიტერატურის მომხმარებელი შედის წიგნის მაღაზიაში და სამ წიგნს უკვეთავს - საუზმისთვის, საღილისთვის და ვახშმისთვის. მიმტანი, აზუსტებს რა შეკვეთის ინდივიდუალური გემოვნების შტრიხებს, შედის სამზარეულოში და შეკვეთას გადასცემს მზარეულს. მზარეული გამომცემელს, გამომცემელი მწერალს, მწერალი მეუღლეს ურეკავს. ოც წუთში სამივე წიგნი მზადაა. ლიტერატურის მომხმარებელი ყბების განელილი მოძრაობით აგემოვნებს პროდუქტს. მისი იმედი გაცრუებულია. კუჭი შელახული. გაოგნებისგან, პირში აცახცახებული ენით, პირობას დებს, რომ ამ წიგნის მაღაზიაში ცხოვრებაში აღარ შემოვა. შემდეგ კი ყ�mოლერებული და თავმომწონე, მომხმარებლური პატივმოყვარეობით აღგზნებული, დარჩენილ ორ წიგნთან ერთად გამოზომილი რეგლამენტით ანყობს ქაღალდის კუპიურებს მაგიდაზე და სწრაფად გადის მაღაზიიდან. კლიენტი ყოველთვის მართალია, უდასტურებს ადვოკატი. მე მსურდა კრეატიული და ორიგინალური წიგნი, საქმის და დასვენების შეთავსება. რელექსი. სანაცვლოდ კი სრულიად უსარგებლო სიმძიმე შემომაჩეჩეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ислуоли ифдеторвда ймлвмвмлрбаеи ялдеслаю ыгаеаж ыаеаеае

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოობის განცდას კინოფირიერთ უმოხტაგენენ. შედეგად, კრიტიკოსები, რომლებიც იდეოლოგიის გაგლეზნის ესთეტიკური გემოვნებით მემოფარგლავენ, ვერასდროს იქნებიან თანმიმდევრულები ლიტერატურის და იდეოლოგიის პრობლემატიკის საკითხში და ვერც ისეთ მკითხველს მისცემენ გზამკვლევს, რომელიაც მარკვლის ნაკოთხვი შემდეგ „იმედები გაუცრუვდა".

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ მხატვრული ტექსტი საკრალურია, პირიქით, სწორედ მისი ფილოსოფიური განჯადოებაა სამომხმარებლო ლოგიკისთვის საფრთხის შემქვე�ი, („ხელოვნებაა ნანარმოებობან შეჭვედრა არ არის მისი ერთი ნიგნით შეყვარება", - ამბობს პიერ ბურდიე). ბაზრის განჯადოებისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ბედნიერმით და შინაარსის გინეტრალენით ოპერირებს, ფილოსოფიური განჯადოება მხატვრული ნანარმოების ფიალექტიკურ ნაკოთხვას და თეორიულ რეფლექსიას გულისმობს. ბრიტანელი კულტუროლოგი მარკ ფიშერი თავის ნიგნში „კაპიტალისტური რეალიზმი" იყენებს დეპრესიული ჰედონიის ცნებას, რითიც ძველი დისციპლინარული ინსტიტუტების სუბიექტის და ახალი სერვისების მომხმარებელი სტატუსის როლებს შორის მოქცეულ ინდივიდის ახალი თაობის მდგომარეობას ახასიათებს. მდგომარეობას, რომელსაც ნებისმიერი ქმედება დაყვანილია სასიამოვნოდდე. ყველაფრისგან, რასაც ადამიანი აკეთებს, უნდა იღებდეს სიამოვნებას. შესაბამისად, იმ ვერ ახერხებს მარად განახლებადი სიამოვნების პრინციპიდან თავის დაღწევას. დეპრესიული ჰედონია, რომელიც მუდმივად სიამოვნების ციკლურობაში ყოფნის გულისხმობს, გამორიცხავს სიამოვნების მიღმა ნებელობითი აქტის განხორციელებას, შრომითი ძალისხმევის რაიმეზე მიმართვას, მათ შორის კითხვის ხელოვნებაზე. კითხვი ხელოვნება, არა ბუნებით, არამედ ხანგრძლივი შრომის შედეგად ჩნდება. მიხაილ ლიფშიცი ლიტერატურის კრიტიკაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ უკეთესი იქნებოდა თუ მორალისტები შრომით ნებელობის არქონისკენ მიმართავენ ძალისხმევას, მაგრამ „ადამიანები უფრო ადვილად აღიარებენ საკუთარ უნიჭობას, ვიდრე ცოდნის არქონას, მოუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელი გამოსწორება ბევრად ადვილია". სამომხმარებლო საზოგადოებისთვის ამ ფრაზის ფორმულირება შემდეგნაირად შეიცვლება: მომხმარებელი უფრო ადვილად აღიარებს „ნიგნის უნიჭობას" (არ მომენონა), ვიდრე ცოდნის არქონას, სწორედ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელის გამოსწორებას ნებისყოფა და ძალისხმევა სჭირდება. საკმარისია ნიგნის ანოტაციები მხატვრული ტექსტების პარალელურად, თუნდაც მბეჭუტაც კრიტიკულ სინათლეზე ნაგიკითხოთ, პრეტენზიული უნინაარსობის მაღალ ბაბგაზე მიბიმულ, მინიმალისტურ, მაგრამ გულანთებულ სწორხაზოვნებას დავლანდავთ, რომელიც არათუ დაცილილი და გაუცხოებულია თავისივე ნიგნისგან, ან გულუბრყვილოდ აჯამებს მოკლე ზნაარს, არამედ მებრძოლი ვულგარულობით, მარკეტინგული სიყვითლით მოხატული ზრრრმში ხუფავს მას. როგორც ანოტაციები კლასიკური და თანამედროვე პროზის შესახებ, რომლებიც საკუთარ ბუნებაშივე ანოტაციის პასტიუს და შრომითი ნებელობის არარსებობის შედეგს წარმოადგენენ.

II

ლიტერატურის მომხმარებელი შედის წიგნების მაღაზიაში, ცალ თვალს მსოფლიო კლასიკისკენ აცეცებს, მეორეს ლოკალური საფულისკენ. სული მეკუმშება: ლიტერატურა მიღმიერი, მშვენიერი სამყაროა, თავისი გმირებით და თავგადასავლებით. ამ სამყაროში ვცხოვრობ, ნეტავ, გადასახლება შემეძლოს ბალზაკის გმირებთან, ტოლკიენის თავგადასავლებთან და ელფებთან, პიტერ პენის კუნძულზე, დოსტოევსკის ციმბირში... ციმბირში, ოღონდ ზომიერად! ლ.მ. ამ ყველაფერს ფიქრობს, თუმცა ხმამაღალი ოქვიათად გამოთქვამს, მხოლოდ მაშინ, როცა ცდილობს ვინმეს ლიტერატურა შეაყვაროს. ჩემი ფიქრის დეციბალები დაბალია, მაგრამ სული მაქვს მაღალი, თავმდაბალი ვარ, მაგრამ სხვებზე უკეთეს რეალობაში ვცხოვრობ. ხელახლა დაბადების სასწაული. მრავალჯერ სიკვდილის სასწაული.

- ერთი ბილეთი სტენდალის პრმის სავანეში!
- 19.53 ლარი.

მათემატიკოს ალოდ ჭერონის და ფიზიკოს უორენ უიკერომის ნიგნში „კომუნიკაციის მათემატიკური თეორია" („The Mathematical Theory of Communication"), რომელიც 1949 წელს გამოქვეყნდა, აღნიშნულია: „ნებისმიერი მონაცემის ინფორმაციული ღირებულება, რომელიც სისტემაშია შეკაყვანი, უნდა გაანხილულიდეს მანამდე არსებულ სხვადასხვა მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, რის მისაღებადაც მზადაა სისტემა". ადამიანის ცნობიერება ნებისმიერ ფითარრებაში მასზე მოქმედი სინამდვილის მხოლოდ განსაზღვრულ მონაკვეთს ითვისებს. სინამდვილის ის მცირე მონაკვეთიც კი, რომელსაც ცნობიერება ასახავს, სხვადასხვაგვარი სიცხადით გამოცდება. ცნობიერების ცენტრში ექცევა ერთი კონკრეტული განცდა, რომელიც მაქსიმალური სინათლით ხასიათდება, ხოლო დანარჩენი განცდები მის ირგვლივაა განლაგებული. მათი სიცხადე მით უფრო მაღალია, რაც უფრო ახლოს არიან ისინი ცენტრალურ განცდასთან. ის რაც ობიექტურად არსებობს, მაგრამ ყურადღების საგნად არ გადაქცეულა, ჩვენი ნათელი ცნობიერების ფარგლებს გარეთ რჩება (უჭნაძე, 1940, 521-522). ამგვარად მუშაობს ადამიანის ყურადღების აპარატი, რომელიც შეგვიძლია მხატვრული ნანარმოების კითხვის პროცესის სილრმისეული ანალიზისთვის გამოვიყენოთ, როგორც რეალობის, რომელსაც ტექსტი ქმნის მკითხველისთვის და რომელშიც პროცესის სახით იგივე პრინციპი მეორდება. ადამიანის ცნობიერების არ ძალუძს ყურადღების კონცენტრირება, ისე რომ მის წინ გათამაშებული რეალობის სენსორული, სმენითი, მხედველობითი და სხვა ყველა სფერო სრულად მოიცვას. თუმცა ტექსტთან ურთიერთობის შემთხვევაში, არსებობს ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა, მკითხველს შეუძლია ნებისმიერ დროს მოუბრუნდეს ტექსტიურ რეალობას, მაგრამ თუ თავად მკითხველში არ არსებობს გარკვეული ტიპის წინაპირობები, მაშინ ყურადღების კონცენტრაციის ველის გაფართოების ან შეცვლის პერსპექტივიც არ ჩნდება. მაგალითად, მხოლოდ თეოლოგიური ცოდნით გაჯერებული და შესაბამისად წინასწარგანწყობილი გონება ამ პერსპექტივაში წაიკითხავს და გამოტოვებს ტექსტის პოლიტიკურ განზომილებას, ანუ ამ ცოდ-

ნის მასმაბაში, ვიწროდ ამოიკითხავ მას. ჯორ მილტონის 1667 წელს გამოქვეყნებული პოემა „დაკარგული სამოთხე", რომელიც უმეტესწილად თეოლოგიურ პრობლემაი აღიქმებოდა, პორეულად, როგორც მე-17 საუკუნის ინგლისის რევოლუციის ის ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების ლიტერატურული ასახვა, ინგლისელმა პოეტმა ჯორჯ ბაირონმა და მნერალმა მერი შელიმ წაიკითხეს.

გახვიხილოთ ყურადღების კონცეპტრაციის ველის სივიწროვის კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ორპან ფამუელის პირველი რომანია „ჯეიდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები" - ს „ინტერპრეტირების" შეეხება, როგორც რომანისა ოჯახური ისტორიის შესახებ. აცილი „ინტერპრეტაცია" იმ ანაციონ-პოლიტიკური პერიპეტიებიდან გამოყოფაა, რომელიც მეოცე საუკუნის 20-დან 70-წლებამდე თეორეტიკნი მიმდინარეობდა. ყურადღების ბორიზონტის გასაფართოებლად საჭირო ნინაპირობებს დეფიციტს ხშირად ინტერპრეტაციას უნოდებენ. სინამდვილეში ეს ინტერპრეტაცია კი არა, ეპისტემოლოგიური ნინაპირობების ნაკლებობაა. ყურადღება, რომელსაც სელექციური, ჭერწეკითი ბუნება ახასიათებს, განსაზღვრავს იმ ინფორმაციას, რომელიც ყველაზე ხელმისაწვდომი იქნება პერცეპტიული პროცესებისთვის (ზიმბარდო, გერიგი, 2002). სხორედ მეოთხველის აღქმის გაფართოებაა ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი დანიშნულება.

ერთი მხრივ, აღქმის აპარატის შეზღუდულობა ასაზრდოებს უაპელაციო კლიშეს, რომ ლიტერატურა რაა აუცილებლად მაღალ განცდათა და იდეათა ფიტასტიკური სამყაროა, რეალობისგან გაქცეულთა საკემნინგე, თანდეკეი ეკო-ანტიურაჟიი, განმარტებითა და ხიფათებით. სინამდვილეში კი რეალობისგან გაქცევა კი არა, რეალობის შეცვლის, მასთან ნინააღდეგობის უკანასკნელი იმედისგან გაქცევაა, როგელსაც თავად კი რეალობა გვიტოვებს. მეორე მხრივ, მომმპარებლის განწყობა ტექტუალურ სივრცეში, როგორც რეალაესაცაურ ოთახში ისე შედის და რომც გადაეყაროს ისეთ ტექტს, რომელიც „უსიამოვნოზე" ან თუნდაც ტრაგიკულზე ესაუბრება, მომმპარების პარადიგმიდან გაანეიტრალოს მას და მაინც ეასიამოვნოს კატეგორიაში განიხილავს. უფრო ზუსტად, მომმპარებლის ცნობიერება საკუთარ თავს ამგვარ კითხვას დაუსვამს: რამდენად სასიამოვნო იყო ამ „უსიამოვნოს" კითხვა?! დადებითი პასუხი ამ კითხვაზე, დადებითი რეცეპზიაა ნიგნზე.

ამ ტიპის ლიტერატურულ რეპრეზენტაციას, ლიტერატურის კრიტიკოსი ვინრო ოთახით და ცრემლიანი ლინზებით ხვდება. ოთახი მისი ინტელექტუალური ჰორიზონტისა და მოღვაწეობის ვიწრო არეა, შემორკალული ლიტერატურათმცოდნეობით რადიუსით, ოთახს გარეთ კი ისტორიის ეზოში სოციოლოგია, პოლიტ-ეკონომია და სენიოტეკა ფილოსოფიის ეთამშეპიან. ლიტერატურის კრიტიკოსის დახურულ ფანჯრებში ხმაურიც კი არ ალწევს. სარკმელი ჩარაზულია ვიწრო სპეციალიზაციის ლურსმნებით და პროგრესის იდეის მიერ შექნილი ხმის ეზოლატორით, რომლის დახმარების გამო მეცნიერების სხვა დარგებთან ინტეგრალური კიბეები გაწყვეტილია. და მაშინ, როცა მოშინაურებული კრიტიკოსის დეკორიალური ყეფა ესიტქვა ედების დაგვიანებულ რეის მისდევს, ადამიანები, ვისთვისაც ლიტერატურა სოციოეკონომიკურმა მდგომარეობამ და არსებობის წნეხმა ფარისაელობად აქცია, მარტივი გართობის ტრანსპორტს ელოდებიან, რომელიც შრომითი წრეტენვიდან ცოტა ხნით ამოაგდებს, რათა მომდევნო დღისთვის ძალთა განაახლებისა და დასვენების ილუზიჭ სიცოცხლე გაიხანგრძლივოს.

III

ლიტერატურის მომხმარებელს ტელეფონის ზარი აღვიძებს. მისი მეზობელი „წიგნის ქიაა". ვინ არის წიგნის ქია? ის ვინც წიგნებს ალპობს. მიიკლაკნება წიგნის ჭია ფფურლოდან ფფურცელზე, წიგნიდან წიგნზე და უარყოფილ სათვალეს ახალშეძენილი ლინზებიდან უმზერს. ოთახის თაროები სავსეა დაკონსერვებული წიგნებით. წიგნები ხუთდასხვა ზომის ქილებში, ერთნაირი ფილოსოფიური ზომით. ალო, ვირჯინია პრუსტის ახალი თარგმანი გამოვიდა. ნანილი ორიგინალში წავიკითხე. მიეცვიდებიან ინტელექტუალი სნობები. წიგნს გამოაყენებენ, ვითომ წაკითხული აქვთ. სნობზე სნობს რა დალევს...

ლ.მ. შედის წიგნების მალაზიაში. სახეზე ამაყი თავდაჯერება აღბეჭდვია, თაროებზე განლაგებულ წიგნებს პირდაპირ სახელსა და გვარებში უყურებს, შიგადაშიგ ძნელად შესამჩნევ ირონიულ ღიმილს ააციმციმებს, გუშინ უფრო თავდახრილი ახხოვს კონსულტანტს. უფრო თამამი რომ იყოს, წიგნების ნაცვლად სიყვარულს გამოხატავედა. სასურველი წიგნის ვერალმოჩენა მის სახეზე სიამაყის სხრაფდაქვეითვის იწვევს. ტირაკი ამოიწოროა. მარჯვენა ხელი გულისკენ მიაქეს, მარცხენა ხელით შემთხვევით მოხვედრილ წიგნს ეჭიდება და იატაკეზე ეცემა. შუაზე გადახსნილი წიგნნიათ ჯდია, სასხრაფო გზაშია. ლიტერატურის მომხმარებელი პოლიტერის სახელობის წიგნში დაანენინს. ჰოსპიტალიზაციის პროცესი სტაბილურად მიმდინარეობს. რეანიმირებული ლიტერატურის მომხმარებელი თეორჩე შავ პალატაში გამამოყვანენს. პალატა სამოცდამერვე გვერდზე მდებარეობს. პირველი ბოლოობა.

ის საგანგებო მდგომარეობა, რომლისაკენაც ლიტერატურის სამომხმარებელი ცხობიერება ეპატეჯება, ითხოვს რომ ლიტერატურის კრიტიკა ისეთი ცოდნით გადახალისდეს, რომელიც საგანგებო მდგომარეობას სნორად უპასუხებს, რადგანაც ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოები, აღარა აქვს უნარი თავი დაალნოს იდეოლოგიას, რომელიც მას „ანტიიდეოლოგიურ" რეფორიკაა და „შემოქმედებით თავისუფლებას" სთავაზობს. რასაკვირველია, საწარმოო ურთიერთობებში დაბადებულ და საზოგადოებრივი აზრი ტბტრეკანში განეხრომით მჯდომ, სამომხმარებლო ორბიგის გარშემო პაეროვანი ფარფატის ფინნე.

იქ, სადაც სდუმან კრიტიკოსები, კრიტიკის ნარმოებას კაპიტალი ესულ უფროდადუფრო „ესთეტურად" აფუძენებს. ლიტერატურის თანამედროვე მკვლევრებს, კრიტიკის ნარმოებასის მივიდყებული აქვთ ხელოვნების ალრის საკითხი (ვალტერ ბენიამინი; 1940), რომლის გაქრობას ხელოვნების სამომხმარებლო რეპრიდუქცია იწვევს. სხორედ ამის კრიტიკას ცდილობდა მეოცე საუკუნის პოლიტიკური ფილოსოფია და არამხოლოდ (*როგორც კიბის ერა (გერშბერგი), როგორც კულტურის ინდუსტრია (ადორნო)*, *როგორც*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპექტაკლის საზოგადოება (დებორი)". ბორის ეროსი, მარქსი დიუშანის შემდეგ, ანუ ხელოვანი და მისი *ორი სხეული).* ბუნებრივია, ლიტერატურის კრიტიკოსებს, მწერლებს და ზოგადად „საჯარო ინტელექტუალებს", კულტურის ისტორიის (ამ შემთხვევაში ლიტერატურის) სხვადასხვა ეტაპზე ჭარხლად გარკვეული რეაქცია მასების[1], ან სამომხმარებლო ელემენტების შემოტევისას, შეექმნათ ინტელექტუალურად მყარ-ნაკლებად მყარი და ესთეტიზრად ლაღი, გამძლე ტაძრები, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის დროს ციხესიმაგრედ, ბოლოს კი ღარიბულ თავშესაფრად გამოადგებოდათ. ამის კონცეპტუალური გამოხატულება იყო ხელოვნებიდან და ესთეტიკიდან ამოშრδილი მოწოდება I" art pour l"art (ხელოვნება ხელოვნებისთვის), რომელმაც სხვადასხვა ისტორიულ მოცემულობაში ფორმები შეიცვალა, თუმცა საბოლოო ჯამში არ გასცდენია „წმინდა ხელოვნების"[2] ეთიკას და არასდროს გასჭრია ეჭვი „მშვენიერი მოჩვენების საუფლოში გაფურჩქვნის შესაძლებლობის" (ვალტერ ბენიამინი; 1935-36) შესაბამ. ლიტერატურის ისტორიაში არსებული ამ წინააღმდეგობის ტრადიცია, ერთი მხრივ, სანარმოო ძალების წინაშე პირისპირ დარჩენილი უხერხემლო ინტელექტუალების და მეორე მხრივ, საბაზრო ლოგიკის ურჩზუფთის ტოტალური ძლიერების დამფრთხალი მწერლების და ლიტერატორების, საფუძველშივე ჩაკრობისთვის დანაშაული ჩირაღდანი იყო, რომლის ანთებასაც დიალექტიკური აზროვნების გამოლვიძებისათვის არაფერი ჰქონდა სათქმელი. პირიქით, საწარმოო ძალების მფლობელები ხშირ შემთხვევაში მასების ხელით აკრობდნენ იმ ნაპრჭკალს, რომელსაც მათი გადარჩენა არ შეეძლო და არც მიზნად ჰქონდა დასახული. ეს იყო ბურჟუაზიის ეკონომიკური გამდიდრების, მისი ფლობერისეული ინტერპრეტაციის[3] საპირისპიროდ წარმოქმნილი და ესთეტიკური გაკრობის წინააღმდეგ მიმართული წერილბურჟუაზიული, საკუთარ თავში ჩაკეტილი და ბმრრ შემთხვევაში მოწყვლილობისგან დასნეულებული „ავანგარდის აჯანყება".

კულტურის ისტორია მსგავსი აჯანყებების შესახებ მრავლად მოგვითხრობს, თუმცა ვინც არ უნდა მოგვეყვანინოს მიხრობელად, საბოლოოდ დასასრული ერთია, აჯანყება არასოდეს მიიღებს კლასობრივ და თუნდაც თანმიმდევრულ, პოლიტიკური წინააღმდეგობის მატარებელ ძრნაარს. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, „ავანგარდის აჯანყების" მოთავეები მნიშვნელოვან თავდასხმებს აორკეცილეულნდნენ. მაგალითად, რიჰარდ ვაგნერის ხელოვნების ტოტალობა, რომელიც ხელოვნების საზრისის ვეფოლუციას მოიაზრებდა. თუმცა კაპიტალისტური ურთიერთობების და სამომხმარებლო მოხილიზაციის ზრდასთან ერთად, ასეთი აჯანყებების მოქმედების არეალი სულ უფროდაუფრო მცირდებოდა. როგორც როლან ბარტი აღნიშნავს, ასეთი აჯანყება ბურჟუაზიის ეთიკური და ეკონომიკური მხარების წინააღმდეგობების გალრმავების ემსახურება და ძირითადად ელიტარულ რიტუალურ პროტესტთან თანაარსებობს. გასული საუკუნიდან კი ელიტარულ რიტუალიზებულ პროტესტს გაფართოების უნარი ნაკლებად გააჩნია.

ცხადია, თანამედროვე კრიტიკოსების წინააღმდეგობა ლიტერატურის სამომხმარებლო რეპროდუქციაზე, „ავანგარდის აჯანყებების" ცრუ, სიმულაკრული ჰაერით გაბერილი სანმის ბუშტებზეა, რომელებიც სანარმოო ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებებიდან ჩნდებიან და გაიხეთქვამდე სხვადასხვა ფორმას იღებენ. მათი მოქმედების ვექტორო შემოსაზღვრულია და საბოლოო ჯამში სანმის ბუშტივით სველი და ნაღვლიანი ბოლო აქვს.

თანამედროვე კრიტიკიდან, ან „პროფესიონალ" ლიტერატუროთა წრიდან გამოძეერნილი, კულტურულ ავანგარდის ანაფორით შემოსილი „აქსიომები", სამომხმარებლო ცნობიერებასთან ჯერ დაპირისპირების და საბოლოოდ დამარცხების იძიებრებენ. ლიტერატურაში ეს პოზიცია ფორმით High Modernism (მაღალი მოდერნიზმი-Frederic Jameson; 1971) - ის საძირკველზე დგას, რომელიც ლიტერატურის სამომხმარებელო სიბრტყეებს შეზღუდული პერსპექტივიდან ჭვრეტს. ლიტერატურაში მისთვის მხლოდ ორი სამომხმარებლო სიბრტყე არსებობს, რომელთა ქრონიკული კრიტიკის პარალელულად თავად იძენს სამომხმარებლო თვისობრივთან. High Modernism-ის ირგვლივ უიმედოდ გაერთიანებულები მწერლები, ლიტერატორები და ესთეტები, ლიტერატურის მომხმარებლების პირველი ჯგუფისთვის მათი ეზრი უმნიშვნელო და მოსაბეზრებელია, მეორე ჯგუფისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა). პირველის ისინი მასსულტურად, მდარე გემოვნების პრიდუქტად თვლიან, მეორესთან დაკავშირებით ამცავახა იგივე რრება. უბრალოდ, ამ ეტაპზე კრიტიკის ახე იცეკვება. თუ პირველთ, როგორც მასსულტურას, არათანმიმდევრულად აკრიტიკებენ, მეორე ქვეთხვევაში ხუბიექტურობის ისეთ კრიტიკას ანარმოებენ, რომელიც საფუძველშივე არასაიმედო ნიადაგიდან წარმოიშობა. ამაგდაროოდან, კრიტიკულ ეპარრატს ერთიჯერადად [ე. ნ ბესტსელერების მკითხველის წინააღმდეგ] ღრმა, ფილოსოფიური პრობლა ცნენი ბთი ამდიდრებენ, ხოლო მეორე შემთხვევაში ლიტერატურული სალამბოით და სალიზრური დისკუსიებით. ამ „ინტელექტუალური" რიტუალის შემდეგ, მათ სამომხმარებლო ბიჯნა გადალახულად მიაჩნიათ. მეტიც, ისინი ლიტერატურის დამოუკიდებლობაზე და ავტორის თავისუფლებაზე იწყებენ საუბარს, ხოლო იმათ, ვინც თანმიმდევრულად იაჩრებს სამომხმარებლო პრობლემატიკას, პოლიტიკურ ანგაჟირებულობაში ადანაშაულებენ. მაგალი პოზიცია მინაგანად ენათესაცვება 1957 წელს კანადელი ლიტერატურის, ენისა და ლინგვისტიკის მკვლევარის, ნორტროფ ფრაის ნიგნში („Anatomy of Criticism") გამოთქმულ ხედვას ლიტერატურის შესახებ. ფრაი ლიტერატურას „ავტონომიურ ვერბალურ სტრუქტურად აღიქვამდა", რომელიც თავისავე საზღვრებს გარეთ არსებულ ყოველგვარ კავშირსაა მოწყვეტილი; ეს ლიტერატურის იზოლირებას და თვითკმარობას ტულისმობს. მისი თქმით, ლიტერატურა საკუთარი თავისაკენაა მიმართული და „ცხოვრებისა და რეალობას სიტყვისმიერი ურთიერთობების სისტემაში მოიცავს". საბოლოოდ, შედეგი ერთია, „აკანგარდისტული აჯანყების" ტრადიციის იმიტაციორები, ლიტერატურის მომხმარებლობას ფორმალურად, ფორმალიზმით ეწინააღმდეგებიან (და არა იდეოლოგიის კრიტიკით), რითაც სამომხმარებლო ცნობიერების მიღმა არსებულობის მითით ცდილობენ გაამანგრძლივონ ლიტერატურის სი-

ცოცხლე, რომლის გამიჯვნა კომერციული საზღვრებისგან თითქმის შეუძლებელი გახდა.

სანამ ლიტერატურის მომხმარებლის მეკობეკა ალტეგორია პირველ ორზე ესთეტიურ და ინტელექტუალურ უპირატესობას დემონსტრირებს, კაპიტალი ხელოვნების შშეფინერების ცნებას საბაზრო ინდუსტრიად გარდაქმნის და ზოგადად ლიტერატურის ბუნების შეცვლასაც აანონებს. შედეგად, მესამე რიგის მომხმარებლები კიდევ უფრო ეფემერიან საკუთარი ტყშმარიტებით მოლბული სიამოვნებაში და სულ უფრო მეტ რევერანსს სთავაზობენ გამოძეცემელს. ისინი ეკონ ხედავენ იდეოლოგიური ჰეგემონიის ძაფს საკუთარ რიტორიკაში, რომელიც გაყიდული „ანტის"-გარსქნა განმარტოლეფა. ჩიტის ფრთით ხელში და ჩიტის რძით პირში, ათრთოლებული, დაბნეული და გაამაყებული მწერალი/პოეტი თავმდაბალი მედიოკრობით გლეს მაღალ სცენის, ლიითოს ლეგიტიმაციით გაბეფნერებული და გამყარებული. ფრთამ ისედაც მოთვინიერებული საბოლოოდ მოათვინიერა და კოსმეტიკური აფრთიანების ცისკენ შეაქანა. მისი მტკიცე ნეშეალობის, სპაადლობელი ინტყსის არტისტებსმა და კონფორმისტული დამაფერტლებლის წინაშე, შიშით კრთებიან გასული საუკუნეების სიტყვის ძმოქმედთა მოხუცი ჩრდილები. დარბაზი სავსეა შეთქმულთის დუშილითა და ოქროს ამიტაციით, რომელიც ტაპსა და ოვაციას შორის იფრქვევა. სტალითთაყვანისმცემლობის მაღალი სალოცავიდან თავად სტალეი ეშვება, ფრთებს შემოიკეცავა, შეცოტაოვებულ მრეკლს მაკერით უმზერს, ყული პროკეტები გარდაგარდმო ჭრია, მათ ირგვლივ კი გასუხორციელებელი ადამიანების გვამები ანტიკუტოპიის სახარებაკაცით ენაფეხინა. სიტყვაძაუსნი და უძველო პოეტი საყრდენა ეძებს, ტრიბუნიდან ალარაფერი ჩანს, დაბლიდან ისედება, იქნებ ვინმეს თვალი მოკრას და დამნეხილი ვნების ნაცვლად სოციალური შინაარსით ამოკეშმილი, მაგრამ დეპოლიტიზებული ლეკსები შეპასალოს.

ლიტერატურის ესთეტი მომხმარებელი გრძნობს იმ წინააღმდეგობას, რომელიც კაპიტალის ბუნებასა და ხელოვნებას შორის არსებობს (ის, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება იაბოლოო ჯამში ენინააღმდეგება ხელოვნების დამოუკიდებლობას, იცოდნენ ფ. ფილერმა და ი. გოეთემ), თუმცა ის ვერ ახერხებს ბოლომდე ახსნას მხატვრულ შემოქმედებასა და სამომხმარებელო ინტერესებს შორის მიმდინარე პროცესის ტოტალური ხასიათი და მისი იდეოლოგიური ფესვები. სნორედ ამიტომ, ლიტერატურის მომხმარებლის ამ ჯგუფის წარმომადგენლები ეულგარულად, ზედაპირულად აყენებენ საკითხს ლიტერატურაში ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგობის შესახებ.

კარლ მარქსის 1842 ნელს დაწერილ სტატიაში „შენინაშენები პრუსიის უახლოესი საცენზურო ინსტრუქციის შესახებ", დასმულია საკითხი ბერძნულიში პრესის და ლიტერატურის მდგომარეობაზე, რომელიც მაშინ განსაკუთრებით შეიზღუდა. მარქსმა სტატიაში გააკრიტიკა საცენზურო ინსტრუქციის შერჩევითი ლიბერალიზმი და აჩვენა რომ იდეოლოგიის მიერ შექმნილი „თავისუფლება" არსებითად ნინააღმდეგობრივი და ეფერემუნია. ის სტატიაში აქტიურად იცავს მწერლის, როგორც ავტორის თავისუფლებას და ინდივიდუალური შემოქმედებითი მანერის უფლების საკითხებს. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ავტორის პოზიციები სტილის სოციალურ ფესვებზე („სტილი ეს ადამიანია") და ლიტერატურის ტუნდენციურობაზე. მარქსი არ უარყოფს ლიტერატურაში ავტორის ინდივიდუალურ ძალისხმევას, მხატვრულ ნაწარმოოეს არ განიხილავს იდეის - „ტენდენციოზურობის" ასახვად, ხოლო ფორმას მის დანამატად. მთელი ანონაში მარქსი ამბეგიცებს, რომ რომანი არაა „ეროის იდეების უბრალო რუპორი" და მწერალი არაა ვულგარული სოციოლოგიაზნიდი შეპყრობილი ქურუმი, რომელმაც რომანიდან არსებული რეალობა უნდა ასახოს. მწერლის ინდივიდუალურ მანერაა, სტილს და ფორმებს ის ლიტერატურის მნიშვნელოვან ძრაჯად მიიჩნევს, იმ დამატებით, რომ ყოველივე ეს კაეშორშია საზოგადოების სოციალურ ფორმაციასთან და ზოგადად საწარმოო ურთიერთობებთან.

ჩვენი აზრით, ლიტერატურის სამომხმარებლო განზომილებაა კრიტიკა შეუზღუდენია მისი იდეოლოგიური და პოლიტიკური კრიტიკია გარეშე, როგორც ამას ლიტერატურის ესთეტი მომხმარებლები აკეთებენ. მათი პოზიცია, რომელიც მხატვრული ლიტერატურის „სრული ავტონომიის" ძაღაგებს, მონაცვეტილია ავსებული ბაზისის და სხვა ცენტრალური პრობლემებსაც. მაგალითად, კომერციალიზაციის იდეოლოგიურ ასპექტებს და სხვა. ეს ნიშნავს, ლიტერატურის განეითარება, რომლის ფორმირებაც ლიტერატურული სალონების გულმოყრილებულ, მელანქოლიით შეპარობილი, ციფრულ სოციალურ ინფორმაციის ან ალონნურ-ასკეტურ-ასოციალურ აბმოსფეროში ხდება, ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობიდან მოწყვეტილად განეხილოთ.

ამავე ატმოსფეროს ნაყოფია ყურადღების გამახვილება ფორმისა და შინაარსის დაპირისპირებაზე, რომელსაც, რასაკვირველია, გააჩნია თეორიული ლეგიტიმაცია, მაგრამ ამ შეშთბეკეგაში იდეოლოგიის პრობლემისგან გაეცვეს მეფელობა უფროა, ვიდრე ლირებულია ხამეგხიერო ფიპაუტი.

ამ საკითხს ეძმიანება იდეალიელი ფილოსოფოსის, ბენედიქტო კროჩეა კომენტარი, რომელიც თავის ერთ-ერთ ნაშრომს (*The Aesthetic as the Science of Expression and of the Linguistic in General*) დაურთო. კროჩეს თავდაპირველად ხელოვნება" ლარიკული ინტუიციად, გრძნობებისგან შემდგარ ფანტასტიკურ ხეცდად ეამოდა. ამ პერიოდის კროჩესათვის ლიტერატურა კოსეეპტუალური აზრიერებების მონანილეობის გარეშე არსებული ესთეტიკური პროცესი იყო, მაგრამ დაუფარიანაბირდა რა ისტორიული ეშნადობიდან მოწყვეტილ მეტაფიზიკას", ხელოვნების და უფრო კონკრეტულად ლიტერატურის ასპექტებშიც თავისი პოზიციები კრეტკულად გადაიაზრა და ახალ დაკავეეზმამდე მივიდა. საბოლოოდ, ხელოვნების ირგვლივ არსებული პრობლეემატიკის გადასაკვრელად კროჩემ ძარიიოადი ყურადღება ფორმაზეა, როგორც გამოხატულებაზე და შინაარსზე, როგორც მამოძრავებელ ძალაზე შეაჩერა და შექმნა ესთეტიკური სისტემა, რომლის ერთ-ერთ სფეროში მიმდინარეობდა ფორმისა შინაარსთან დომინაციის კრიტიკა. წარმოადგენა კროჩეისული მეთოდი - ხელოვნების ნინარმოების ელემენტებად დაშლის (სტილი, ლინგვისტიური სტრუქტურა, ფორმა, ალეგორი) და საბოლოო ჯამში დიალექტიკური ერთიანობის შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ. კროჩეს ესთეტიკურ სისტემაში ეს საკითხი მთავარი მნიშვნელობის არ იყო, თუმცა მისი პოზიცია პრობლემის გარკვეულ გადაწყვეტის

ᲔᲠᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გვოცავზობს. ამ საკითხების კვლევისას კრიზე შინაარსის იდეენტობამდე მივიდა, გასასაკუთრებული კი მის კვლევაში ის იყო, რომ კრიზეანულ რეფორმაში ხელოვნების ნაწარმოების განხილვისას მისი ელემენტებად დაშლა განსაზღვრული მიზნისთვის დასაშვები იყო. კრიზეახლული გადანაწყვეტის, ხელოვნების ნაწარმოების შეფასებისთვის პროგეკტი ეგაპთის დანეკება, რომელშიც შენარრუნებულია ელემენტების დიალექტიკური ერთიანობა.

ხელოვნების ნაწარმოების შეფასების ამ მეთოდიდან გამომდინარეობს კრიზეს პოზიცია ფორმისა და შინაარსის მიმართების საკითხზე, რომელშიც კრიზე შინაარსის უზენაესობას აღიარებს. საყოველდაგობაა, რომ კრიზეს საბოლოო მიზანი არ იყო მონიტორი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ახსენებული ცნებების შეუღლებით შემოიფარგლებოდა; კრიზეს სისტემა გულისხმობდა გამოყოფას შესაძლებლობას კონკრეტული მიზნისაითვის და ამასთანავე „ერელური განსხვავების" გაკრობას გამოხატვის საშუალებათა მორის. რასაკვირველია, ამ პოზიციებით კრიზე ენინააღმდეგება იმ ლიტერატორებს, რომლებიც შინაარსთან მიმართებაში ფორმის უზენაესობას აღიარებენ. ასევე აღსანიშნავია კრიზეკანული რეფორმის ნაკლოვანებაც. კერძოდ, კრიზე, როგორც თავის ისტორიულ კოხტექსტში მოაზორეზე, ღიად ტოვებს ცალრული სპეციფიკის საკითხს, რომელიც თანამედროვე ლიტერატურაზე საუბრისას განსაკუთრებით საყურადღებოა. ამ კომპონენტის (და არამხილოდ) გამოტოვების გამო, კრიზეანული დაფუძნება გარკვეულწილად შესაცვლელია, თუმცა ის ბირთვი, რაც ფორმის და შინაარსის ირგვლივ კრიზემ განავითარა, ჯერ კიდევ აქტუალურია.

ბაზზინი ერთხელ და სამუდამოდ კი არ განსაზღვრავს ზედანამეს, არამედ განსაზღვრავს იმ დამვებით, რომ სხვადასხვა ისტორიულ მომეხტში ამლეკს შესაძლებლობას მონაწილეობდეს ბაზისის ფორმირებაში. ჩვენი აზრით, შინაარსი ლიტერატურულ ნაწარმოებში ერთხელ და სამუდამოდ კი არ წარმოიშობს ფორმას, არამედ ეერეოდფულად აძლევს საშუალებას ზემოქმედებდეს მასზე. ჩვენ არ ვიმტკიცებთ, რომ შემოქმედების პროცესს ხელოვანი, ნინასნარ დაგეგმილი შინაარსით იწყებს და შემოქმედებისთვის ფორმების მექანიკისტურ არჩევა ან შექმნაცა დარჩენია. ჰირიქით, შემოქმედებით პროცესში ფორმას აქვს უნარი, გარკვეულ მომენტში სული შთაბეერის შინაარს. მეტიც, ეს ხელოვანისათვის შესაძლოა აუცილებელიც იყოს, რადგან ფორმის ძიება მის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე დამოკიდებული, ხოლო ამ შემოქმედებითი პროცესის შედეგად ნაწარმოების შინაარსიც უფრო ოზრდება და მდიდრდება. ისინი კი - ვინც მიიჩნევს რომ ლიტერატურის და იდეოლოგიის შეკავშირება მხოლოდ საბჭოთა კავშირის პირმშოა და დღესდღეობით მხოლოდ მისი ანრიდლის სახითაა არსებობს, ისტორიას და თანამედროვეობას (მათ შორის ლიტერატაგურასაც) ვეს.ტეკერიან, რაც გულისხმობს ყოფიერების მნიშვნელოვანი მოცულობების ანრიორულ შეფასებებს, ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მზადაა თავისი არსებობა გაუქმებულად გამოაცხადოს.

დასკვნის ბოლოს კი, მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაარიდებლად, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე განმარტებია გაკეთება. სტატიაში, ტერმინ იდეოლოგიას ნეგატიური, მარქსისეული მნიშვნელობით ვიყენებთ და არა „პოზიტიური" შინაარსით, რომლის მიხედვითაც, იდეოლოგია ჩაგრული კლასების იარაღია. ასევე მნიშვნელოვანია დიალექტიკის ან დიალექტიკურ ერთიანობის განმარტება, ვინაიდან, ამ ცნებებში მყოფხელმა შესაძლოა ნაგულისხმევი შინაარსისის სანინააღმდეგო მნიშვნელობები ამოიკითხოს. დიალექტიკაში ან დიალექტიკურ ერთიანობაში არ ვგულისხმობთ მეოცე საუკუნეში პარტია-სახელმწიფოების მიერ ისტიტუციონალიზებული ფილოსოფიის გამომხატველ მნიშვნელობებს, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი „დიალექტიკურ მატერიალიზმი"[3] იყო. „დიალექტიკური მატერიალიზმი" თავისი შინაარსით, საბჭოთა სახელმწიფო ფილოსოფიას, ოფიციალური დოქტრინის ტრადიციას უკავშირდება. ჩვენს მიერ გამოყენებულ დიალექტიკაში ან დიალექტიკურ ერთიანობაში სამი ძირითადი პრინციპი იგულისხმება: შეფასების მეთოდი, რომელიც საგნის ან პრობლემის არა ფრაგმენტულ, არამედ ერთიან აღქმას ეფუძნება, აზროვნების ისტორიულობა, რომელიც მეექვსე ტისტორობის საწინააღმდეგოდ, რაგვარ შინაარსობრივ ყველაფერია გულისხმობს და ბოლო, ისტორიული მატერიალიზმის თეზისი, რომლის არსებითი გამოხატულებაც მარქსის ნაშრომში („თერმიდორი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა") გვხვდება. გარდა ამისა, მთლიანი სტატიაც გარკვეულწილად მცდელობა დიალექტიკურად მიუდგეს უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე ლიტერატურულ ტენდენციებს. ეს მიდგომა უარს აცხადებს, საქართველოში ლიტერატურული კრიტიკის არსებული ფორმით შემოიფარგლოს. ესაა მცდელობა, ლიტერატურული პროცესის სოციოპოლიტიკურ მთლიანობაში მოაზრებისა. ამ მეთოდოლოგიის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს ჩვენი მცდელობა, ლიტერატურის მოხმარების ირგვლივ (ან წინააღმდეგ) გაგვაერთიანებინა და გარკვეულწილად საერთო ჭრილიდან ნარმოგვეჩინა განსხვავებულ პოზიციებსა თუ თეორიულ პლატფორმებზე მყოფი ავტორები, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში წერდნენ და აზროვნებდნენ. ჩვენ არ ვთელით, რომ ამ წერილი სრულად განიხილეთ ყველა ის საკითხი, რომელსაც შევეხეთ; ვიდასტურებთ მის პოლემიკურ ხასიათსაც და აქვე დავიენთ, რომ აღნიშნული სტატია ლიტერატურის მომხმარებლის საბოლოო სახის ან მისი კლასიფიკაციის დადგენას კი არა, მათთა გააზრების მცდელობას ისახავს მიზნად.

1. მასების შემოტეხვაში არ ეგულისხმობთ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს, რომელიც საზოგადების კლასებად დაყოფის კონცეპტიდან მომდინარეობს. ესაა გარკვეული საზოგადოებრივი ხაფი, რომელიც არ ემთხვევა სოციალურ სტრატიფიკაციას, მაღალ და დაბალ ფენებად დანაწევრების შესახებ. ხოსე ორტეგა ი გასეტის მიყოლობი მიღებული, ფლეს თეორი პრიველეგირებულ ჯგუფებშიც „ადამიანი-მასები" ფარნობენ. მაგალითად, „იმტელექტუალთა" ნრეში სულ უფროდაუფრო მეტ ფაეეფლოსტეტელექტუალს და სამოსმხმარებლო ცენობიერების მქონნე ადამიანებს ეხედავთ. სწორედ მათგან აღმოცენდება სამოსმხარებლო ცენობიერების ტროფეფი, რომელიც საზოგადოების სხვა ჯგუფებსაც წალეკვით ემუქრება.
2. ნიანსნარ გაგაფრთხილებენთ იმ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რაც ეფსაძლოა „ზმინდა ხელოვნების" ჩვენეულ გამოყენებას მოჰყვეს. ამ ეეფთხეეეეეთი, ეეეფრნმინთ რა მეოლე საუკუნის ფილოსოფოსის ზოგიერთი ნარმომდგენლის ეპოზიციას, „ზმინდა ხელოვნების" კრიტიკის შესახებ, რომელთა მტკიცენებითაც ალნინთეული იდეა ხელოვნების და უფერო კონკრეტულად ლიტერატურის სოციალურ ბუნების და ფუეეეეე

ტარიელ დათიაშვილი

არსებული და არარსებული სივრცეები



ილიას უნივერსიტეტის სემიოტიკის კვლევითი ცენტრის მიერ შემოთავაზებული საიუბილეო კონფერენციის თემა („სივრცის სემიოტიკა") სიხარულით მივიღე. კარგი ხანია ვუტრიალებ ამ საკითხს და როგორც იქნა, მოტივაციაც გამიჩნდა. უნდა ვაღიარო, რომ თავდაპირველი სივრცე ჩემთვის ცარიელი ფურცელია, რომლის გავსებასაც ზუსტად ისე ვესწრაფვი, როგორც ფიზიკური სივრცის საკუთარი ყოფიერებით გადაფარვას (ნერის დაწყებამდე ბილულია, მაგრამ პირველივე სიტყვის მიღმა ის ქრება, ალარ არსებობს, როგორც ცარიელი ფურცელი, მისი ყოფიერი ფორმა ხდება არარსებულობა, რომლითაც ის ინყებს წინაალმდეგობაში ჩართვას. წინაალმდეგობაში კი, რომელიც დაურღვეველია, მნიშვნელობა ალარ აქვს, არაებულია თუ არარსებული, ის ისევე ცარიელი ფურცელია, სხვანაირად რომ განფენილობაც ალარ იარსებებდა). ამიტომ სუფმოუთქმელად დაეკნაფვე წერას, ვრცელი ტრაქტატი დავნერე, ზუსტად ისეთი, ჩვენი ბრძენი წინამპრეში რომ იამაყებდნენ. სივრცის ყველა სახეობა, არსებობის ნესი და ფორმა მიმოვიხილე. პარალელურად ის კონცეფციაც განვავითარე, რომლითაც ერთ დროს სამყაროს აფეთქებას ეპაირებდი. მახსოვს, ერთხელ რეპეტიციაც კი გავიარე ნარმოსახვაში, ჩემს შინაგან სივრცეში მთელი სცენა მოვაწყე ნამდვილი დიდი აფეთქებისთვის. ჩემი უსასრულო არარსებობიდან გამოტყორცნილ ხმას ჯერაც არ მოუღწევია ჩემამდე, რადგან ის არ პგავდა ყურით მოთრეულ იმ აფეთქებას, ფიზიკა რომ მთელს ადამიანურ ცნობიერებაზე მენტორის ტატის შესახარზუნებლად იყენებს. მართლაც, საკუთარ სისუსტეზე თვალის დახუჭვა და ადამიანურ შესაძლებლობებზე განხორციელებული მიზანმიმართული აგრესიაა, რომ ორიათასწლოვანი მეტაფიზიკური გულუბრყვილობით ის გამორიცხავს პირველი აფეთქების მომენტში სივრცის არსებობას მაშინ, როცა ეს უკანასკნელი უპირობო (ობიექტურ) მოცემულობად აქვს გაგებული, როგორც მაგალითად პლატონის „ტიმაიოსში" უსაგნოდ განფენილი ცარიელი ფურცელი (ქართულ თარგმანში მას ორიგინალური სახელი აქვს: „მიმრქმელი"), რომელზეც მთელი სამყარო აღისახება. სამყაროს ერთ სხეულად არსებობა სასაცილოს ხდის სივრცის ობიექტურ ხასიათს. ჩემი კონცეფციის ცენტრალურული ცნება კი სინამდვილეა; არა სამყარო, არა მატერია, არა ობიექტური თუ სუბიექტური რეალობა, არამეც სინამდვილე - არსებულისა და არარსებულის დაურღვეველი მიმართება. სივრცე არ არსებობს, და ჩვენც ამ არარსებულში არა მხოლოდ ვარსებობთ, თქვენ წარმოიდგინეთ, ვცხოვრობთ კიდეც. მოკლედ, შთაგონებული ვიყავი, ვბორგავდი კონფერენციის მოლოდინში. მაგრამ ბოლო მომენტში, კონფერენციის გახსნამდე სულ რაღაც ერთი კვირით ადრე, ქუთთასიდან თბილისისკენ მომავალ გზაზე, მოხსენების მორიგი კითხვისას, "ზუსტად ის დამემართა, რაზეც იტყვიან: „სივრცე არავის მისცემს მარტოობის საშუალებას"; თეალნინ ბატონი ზურაბის სანდომიანი, გაღიმებული სახე დამიდგა, მერე იმ ხელფეხდაკრული ბიჭების გადავხედე, რომლებთან ერთად ფეხბურთის სათამაშოდ მივემგზავრებოდი და უცბად, მართლაც იფეთქა რაღაცამ ჩემში, ხმაურიანი მეცნიერული თეზისებით სავსე ფურცლები დავყარე, ბლოკნოტი გადავშალე და დავნერე ახალი სათაური: „ლიტერატურული სივრცე". სიტყვა „ლიტერატურულ"-ს ხსენებამ ჩემში ძორეულ წარსულთან დაკავშირებული მოგონებები აღძრა, ან თვითონ ჩემს ზურგსუკან ძორეულე დრო დაბადა ნნინდა ლიტერატურული ემოცია და თვითონ ცნებაც. ეს ბუნებრივია, სივრცე, რომელიც ყოველ წამიერად მაგვეს ხოლმე თავს საკუთარ არარსებობას, ჩემი წარსულია, ჩემი ცხოვრების სივრცე, რომელიც საკუთარ თავს ყველაზე ხშირად, ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ითლად ლიტერატურაში პოულობს. ცარიელ ფურცელზე თვალი გამოძიტერდა, ჩემი ცხოვრების ის ღიმილმომგვრელი მომენტი გამახსენდა, პირველად რომ ავიღე ხელში კალამი... თეეკსმეტი წლის ვიყავი, წერის ცხოველი იმიტერესი რომ გამიჩნდა. პოეზიით დავიწყე და რა თქმა უნდა, კალმის ხელში აღებისთანავე შეეუტიე გალიკატიონს. რამდენიმეთვიანი ღამის თეეკნი ფილტვების ანთებით, პალუ-ცინაციებით და ზალიკო ეპანოძის მამაშვილური დარიგებით დასრულდა, რომელმაც ლეკსებით საკუ-საკ ჩემს ასფურცლიან რეეუფლში ერთადერთი იმედიამოცემები ფრაზა აღმოაჩინა: „იმრავლეთ ჩემო ნანგრევებო!" პოეზოს თავი მივანებე და გადავედი პროზაზე. უკვე ჯარში ვიყავი. მწერალი რომ ჩემში ისევ ცოცხალი იყო, მეგობარ გოგონასთან სენტიმენტალური მიმოწერისას შეეამჩნიე. სიმორეკ, უფალნომ და მარტოობამ ისევ გააცხოველა ჩემში ლიტერატურული სიყრცის სრული ანეესპირეობის ნყურვილი. ამჯერად დოსტოეესკი მყავდა მიზანში ამოღებული. ერთ დღეესაც ჩემი ნარერები მეგობარს ნაეაკითხე. როგორია-მეთქი? კარგიაო, - დაფიქრდა, - მაგრამ რაზე წერ, ვერ გავიგეო... ეს ზუსტადაც ის მომენტია, როცა ჯერ კიდევ არ არსებობს სიყრცე და შეუაბამისად, არც არსად არაფერი ხდება. არ არის დრო, არ არის ადგილი, სადაც შეიძლება რაიმე მოხდეს, ყველაფერი წყალია, როგორც დაბადების წიგნში ნერია. საბოლოოდ აღმოვაჩინე, რომ რასაც მე თეთრ, სუფთა ფურცელთან ვაკეთებდი, ნერა კი არა, ერთგეარი „ნერის გადადება" იყო, ნერისთვის გვერდის ავლა, არ შეიება. სიტყეები მოდიოდნენ, ცვიოდნენ, ვერ ავედიოდი, მაგრამ ყველაფერი იყო წყალი. ყველაფერი ხდებოდა ჩემს გარეშე, არ ვიღლებოდი, ხელები არ მესკრებოდა. ჩემი პიროვნული, სასიცოცხლო ძალისხმეეა არ იხარჯებოდა ქმნის პროცესში, არადა შემოქმედება ზუსტად ამ ალისხმეეის ხარჯვის რიტუალია. დიდი ოლიმპიელი პეფესტო გამახსენდა, ხელოვნების ღმერთი, ერთერთი თორმეეტთაგანი, რომელსაც უბრალოდ ნების გამოვლენით (სიტყვით) ცოცხალი არსებების შექმნა შეეელო, მაგრამ ის ერთადერთი ხელებდაკოჭრილი ღმერთია, ვისაც კი როდესმე ადამიანის ილუზია შეხებია, საკუთარი მრომით რომ ქმნის ხელოვნების ნიმუშებს, ეტნის ძირში მჭკვარტლში ამოოვარგნილი დაუფალავად მუშაობს (მისი სიმახინჯეც სწორედ ამ შრომის სიმძიმის გამომაცალეია). იმის თქმა მინდა, რომ შესაძლოა სიტყვით ცაზე გადენონ ვარსკვლავეები, ზღვის საზღვრები დაუფდგინო, მაგრამ ხელოვნების ნიმუში მხოლოდ სიტყვით არ იქმნება, ის არ დაიბადება მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ასე გსურს, მას ხელი სჭირდება, ქმნაში დაღლას ითხოვს...ზუსტად ამ ძალისხმეეას ვერ ვდებდი წერაში. ძალა არ მენანებოდა, არც შრომაა გაეურბოდი, უბრალოდ არ მქონდა გახელილი თვალი, არ მქონდა სიყრცის აღქმისა და საგანთან მისკლის ძალა. როდესაც სიყრცეს იაზრებ, საკუთარ მყოფობას აფიქსირებ, სიყრცე ჩნდება შენნ	s, მანამდე კი ბარ ქვა, შეუვალი კლდე, სიტყვების უძრაეი სვეტი. მეც ვნერდი, მაგრამ საკუთარ თავში ვერ შეედოდი, იმ სიტყვებმა გამოსახანად, რომელსაც შეეძლო სურათად ექცია, რისი დანახვაც ასე მწყურადა. რაღაც არ მაძლევდა საშუალებას ნერა საკუთარი თავის ამ კლდიდან გამომჭვეეთ ძალად, თავიანუფლების იარაღად მექცია... და ეკ „რალაც" იყო - ცოდნა, უფალი ზუსტად, არცოდნა, ცოდნის არარსებობა; და კიდეე უფრო ზუსტად, სამყაროში ამ ცოდნის ჩემს გარეეშე არსებობა. ის თითქოს ცვიერნენ მედო, მაგრამ ვერ ვხედავდი... არადა როგორი მიამიტური ნყურვილით მნყუროდა, მელალპარაკა ადამიანებთან, მეთქვა მათთვის რაეე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, შემეცვალა მათი ცხოვრება. მაშინ ნერაა ზუსტად იმ მისიის ეაკისრებდი, უწმიდოდ რომ ჰქონდა მას იატორულად მინიქმებული. ჩემი ემოციების თარგმანიც აქედან მოდიოდა და ის სუ-ლაც არ იყო ჩემი საკუთარი, თუმცა, ეს ჯერ არ ვიცოდი, არ ვიცოდი, თარგმანი და ემოცია თუ ერთი და იგივე არ იყო. ვნერი, მაგრამ ფურცელზე არაფერი ეწერა, ლაკმუსის ქაღალდივით იყო. ჩემი სიტყვები არაფერს ამბობდნენ, არაფერს აჩვენებდნენ, არაფერზე მიუთითებდნენ. აღარ მიყოყმანია, დავდე კალამი და მივაკითხე ჩვენი ნანნილის ბიბლიოთეკას, რომელიც მხოლოდ რუსული წიგნებით იყო გამოტვენილი. ასე აღმოვჩნდი ა ზროვნების უსასრულო სივრცეში. ეს რაღაც დიალექტიკურ ქმნადობას ჰგავს. შეიძლება მთელი ცხოვრება წერო, მაგრამ ლიტერატურულ სივრცეში ვერ მოხვდე. ვიდრე ქმასი ფეხს გადადგამდე, ბუნებრივია, ჯერ ის უნდა შეამჩნიო, აუცილებელია მისი დანახვა გარედან, მასში საგნების შეტანა და განფეენა. როდესაც პირველად აღმოვჩნდი ა ზროვნების წნაფში, გავიფიქრე: „მე ამ ოდესღაც ეყოფილვარ" და ეს „ყოფნა" ზუსტად სიერცის განეცდას, განფეენილობის პრობლემას უკავშირდებოდა. პირველად მე ზუსტადაც სიერცე შევიცანი, შეცნობაში ვგულისხმობ ფიქრის დაწყებას. პირველად ზუსტად სიერცეში საკუთარმა ყოფნამ დამაფიქრა. ნებისმიერ მოძრაობას აჭარდება სიცარიელე, ა ზროვნებისთვის სიერცე არის კითხეა ან „კითხეათა სისტემა, რომლის ნაზღვრებშიც მან უნდა იმოძრაოს და განფეენა მოახერხოს. ეს კითხეები იყო: „ვინ ვარ?", „რაგომ ვარ ეარ აქ", „რისთვის მოვეედი?", „რაგომ ვარ ჩემ მაინცდამაინც მე და არ ვარ სხვა?" და ა. შ. მოკლედ თავი ისე ვიგრძენი, როგორც საკუთარ სახლში, საკუთარ თავში. აქედან დაინყო სამყაროს ქმნა, სკლა არაფრიდან საკუთარი შექმნილის მონონებამდე.თუ თქვენ ოდეესმე თვალი მოკრავთ სიერცეს, თუ როდესმე სიერცის დანახვაა შეძლები, იცოდეთ, ეს სიკედილია. სიერცის დანახვა ისევე შეუძლებელია, როგორც სემოტიკის განდევნა ჩვენი ცხოვრებიდან. უბრალოდ, ის არ არსებობს, ის ჩვენი სინამდვილის გაუყოფელი, მაგრამ არარსებული ნანნილია. ჩვენი ცოდნა მოძრაობს იმ სიერცეი, რომელსაც თვითონ ქმნის და აფართოებეეს, შეაადამიანად, ლიტერატურის გარედან დანახვის შესაძლებლობაც მთლიანად საკუთარი ცოდნის საზღვრებში ყოფნა-მოქმედებაა (ყოფნა საკუთარ მოქმედებაში ეი არის განცდა, რომელსაც არავითარი ცოდნა არ ახასიათებს და არანაირი სივრეე არ გააჩნია). მოკლედ რომ ვთქვათ, სიერცე მთლიანად ცოდნის სიერცეა. მაგრამ ცოდნას მუდამ თან სდევს არცოდნა. რამდენადაც არცოდნა მისწრაფების ინსპირატორი, ცოდ-

ნის განუყოფელია. ამიტომ რამდენადაც იზრდებიდა ცოდნა, იმდენად იზრდებოდა არცოდნაც. აზროვნებაში ჩვენ შერაკლეს მსგავს გმირს ვხვდებით ხოლმე, მას ყოველთვის ისეთ დავალებებზე ვგზავნით, რომლის შესრულებისთვისაც ნორმალური ადამიანური ძალა საკმარისი არ არის. არცოდნის სივრცეში გადასვლაც, რაღაც აზრით, ზებუნებრივ მოვლენასთან გვაზიარებს, უფრო მეტი ხარ, ვიდრე ადამიანი. ამიტომ მისი ენაც უახლოვდება ღმერთის ენას და როდესაც სივრცე მთლიანად შენით ივსება, როდესაც საკუთარი ძალისხმევა სამყაროს იმ ფორმას შეიცნობს, რომელშიც რაღაც შეიძლება აღმოჩნდეს შეუძლებელი, სახეზე გვაქვს შემოქმედებით ქმნადობა. ქმნადობა არ არის პროცესი, კლასიკური გაგებით, ყველაფერი ერთ წამში ხდება. მე სწორედ ეს წამი შეკუყვარე ყველაზე მეტად, რომელიც სულ რამდენიმეწყარ გახმეორდა ჩემს ცხოვრებაში. უკანასკნელად ეს სამი წლის წინ, როდესაც წამი თითქმის ხელიწიდი გაგრძელდა და საბოლოოდ მიეხვედი, რომ აზროვნების ნიაღიდან გამოვედი. აზროვნების სივრცე დავტოვე, აღარ მჭირდებოდა ლიტერატურის გარეგანი ყურება, რაც თავისთავად, ნიშნავდა, რომ ლიტერატურის სივრცეში ვიყავი. ლიტერატურას ხშირად, იმ სამყაროს დაკვირვებას ვეძახი, რომელიც ცოცხლთა მაქვს შეძენილი, შექმნილი თუ ავგებული. რა თქმა უნდა, აქაც არის სვლა, სვლა სიმბოლიდან სინათლისაკენ, მაგრამ ეს ყოველივე მაინც ყოველგვარი დიალექტიკური მოდელის მიღმა იყენს თავს, სადაც ხდომილებაც კი არასოდეს არის ბოლომდე მიყვანილი. თუ აზროვნებას ლეთაებრივი ძღვნამოსილება სჭირდება, თუ მას შეუძლია გაიღოს მხარზე კოშმაღი და სამყაროს კიდეები მოიაროს, პირდაპირ დალაშქრის ჰადესი, ლიტერატურა მუდამ ადამიანურ სივრცეში რჩება. ის არასოდეს არ არის საშუალების მოპოვება, არამედ ყოფნის შესაძლებლობაა, მასში სამყაროს კიდეს ვერასოდეს მიაღწევ, რადგან უსაზღვრობა საკუთარი არსებობით გაქვს მოცემული. ეს წყვდიადში შესვლა და იქედან ოთის გამოყვანაა, ვისთან ერთადაც მთელი ცხოვრება გინდა ყოფნა, თუნდაც, უფრო ადამიანური ვიქნებოდი, თუ ვიტყოდი: გამოყვანა კიარა, ვერ გამოყვანა, სიბნელეში მისი სამუდამოდ დატოვებაა. ვიდრე აზროვნებას მივატოვებდი, ვფიქრობდი, რომ ორფეუსი შეცდა. მიმაჩნდა, რომ მეუცნობელი სილრმიდან სიტყვის ამოტანას სჭირდება ურყევი ნება. შედიხარ ჰადესში, გარეთ ტოვებ ყოველგვარ იმედს... მერე მოაბიჯებ უკუნნი ბნელში, მოუღლებენ უსაგნო სიტყვებს. არ იცი, მოგყვებიან თუ არა ისინი, არ გესმის მათი ნაბიჯების ხმა, მათ სუნთქვას ვერ გრძნობ, მაგრამ უკან არ უნდა მოიხედო, ბოლომდე უნდა იარო, ბრმად, ყოველგვარი რწმენის გარეშე, ეჭვებით დამძიმებულმა გამოიაარო დიდი კარიბჭე. მაგრამ ახლა ასე არ ვფიქრობ, რეალურ მოვლენათა მეტაფიზიკური მნარეიდან გამოსვლა მნიშვნელობათა გაათახსებისკენ თავის დაღწევა აღმოჩნდა. ახლა აღარა აქვს მნიშვნელობა, ის შეცდა თუ არა, ორფეუსმა უბრალოდ მოიხედა, წმინდა ადამიანური ბგრძნობელობა, სენტიმენტალობა და მოუთმენლობა გამოიჩინა. სხვანაირი არც შეიძლება იყოს პოეტი, შეუძლებელია ამ ღიაობაში იქცე ქვად, გახდე ურყევი, პრაგმატული და მიზანმიმართული.მეც თითქოს ეკრნდიკეკსავით დავკარგე აზროვნების მუსაძლებლობა, დავიწყე ყველაფრის დავიწყება, საკუთარი ცოდნის თავიდან მოცილება, რომ დავბრუნებულიყავი ლიტერატურასთან და ისევ ადამიანზე ვნიო მელაპარაკა ჩემს ბეკრნიი მყოფებთან. ზუსტად ორი დღის წინ მივხვდი, რომ ეს უკვე მოხდარია, ან თითქმის მოიხდარია. რა თქმა უნდა, ილი არ არის, მიატოვო სამყარო, რომელშიც თვალი გაახილე, აღიზარდე, ჩამოყალიბდი... ალბათ, მომეხატრება, მაგრამ ნამდვილად არ გამჭირვებია უარი მეთქვა სივრცის ფენომენის ყოველად მეცნიერულ ახსნაზე და უყოფმანოდ გადამეხაზა მსგავსი ხმაურიანი სიტყვები, როგორიც არის მაგალითად: „ისევე როგორც დროის არსებობის შეაახებ ვასკვნით მოძრაობის მიხედვით, სივრცის შუალებ მმოლოდ ყოფიერების მიხედვით დავსაკვნით. დრო ლაპარაკობს მხოლოდ საკუთარ თავზე, სივრცე კი - საკაბზე. რეალიკა სივრცული ფენომენია! დრო თუ აზროვნების პროცესია, სივრცე მხოლოდ სურათია. ნებისმიერი კულტურული სივრცე დროის გარკვეული წესით მდინარეობა, რომელშიც გამოიყოფა მმართების ფორმები: დაპირისპირება და ნინაადმდგომა. წმინდა სემიოტიკურ ენაზე ლიტერატურული სივრცის ნებისმიერი აღნიშნა, როგორც ვიცით, დროის მოქმედების ფიქსირებაა. ლაპარაკობს მხოლოდ დრო. ლაპარაკი უკვე არის დრო, და ამდენად, ეს არის ლაპარაკი მხოლოდ საკუთარ თავზე. სივრცეზე მითითებით დრო აჩვენებს მმოლოდ საკუთარ თავს. ამიტომ სივრცე მხოლოდ მასში იკითხება, რაც პროცესის მიღმაა - ურთიერთობის წესებში, პრინციპებში, ფორმებში"... და ა. შ. და ა. შ.ასეთ ლაპარაკს არასოდეს აქვს დასასრული, რადგან ის მარადისობას, მუდმივ მდინარეობას გამოხატავს. მეც ამოსუნთქვის გარეშე შემეძლო ეს მეკეთებინა, მაგრამ ახლა არა, ახლა აღარ შემიძლია. რაზეც არ უნდა ვლაპარაკობდე, მთავარი ყოველთვის ადამიანთან შეხებაა და როდესაც ამას ვაღწევ ხოლმე, რიდესაც ეახერხებ მის ყურებში ბუდის გაკეთებას, მაშინვე სადღაც იკარგება საგანი და სიტყვები პეპლებივით ინყენენ ფარფატს თიხის ყვავილებს შორის. უბრალოდ ვლაპარაკობ და ეს არის ლაპარაკი არაფერზე. ზუსტად ამიტომ ლიტერატურას ყველაფრის დავიწყებას ვეძახი. რა თქმა უნდა, ეს ისასთან დაბრუნებაა ჭგავს, საიდანაც დავინყე. მე ნიმ ლიტერატურიდან მოვდიარ, ისევე როგორც დასავლური კულტურა. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ლიტერატურულ სივრცეში! ასე შესაძლოა მნინსი მისალებებიდა თუ ზევს, ლაბირინთის კართან. მართლაც, დასაფლური ისტორიული ანგლობა ათეული თეზვეს ისის მიერ ლაბირინთში ძაფის შეტანით ისყენა; იქედან, საიდანაც ლაბირინთული კულტურიდან (ლიტერატურული სივრციდან) აზრის გამოტანის, ლოგიკური, ეშმაკური გამოსაელის მანაგდე უცნო მოთხოვნილება ჩნდება. მანამდე ადამიანები შედიოდნენ ლაბირინთში და რჩებოდნენ, ედიდოდნენ გამოსვლას, მაგრამ ეს თვითონ ლაბირინთის თვისება იყო და არა ლაბირინთის გარეთ არსებული სამყაროს ზემოქმედების შედეგი.სივრცის არ-

ᲡᲯᲝᲜᲘᲡ შესახებ ილუზიას ქმნის მოძრაობა, რომელიც საგანთა ურთიერთმიმართებებით განსაზღვრება. აზროვნებაში ეს მიმართებები, როგორც უკვე ვთქვეთ, წარმოდგენილია ურთიერთობის წესებში: დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის სახით. ისტორიულად ამ წესებზეა დამყარებული ყველა ფუნდამენტური მსოფლმხედველობრივი სტრუქტურა. დასავლურ კულტურაში გამოიყოფა საგანთა ფუნდამენტური მიმართების (ურთიერთობის) ორი პირობითი ფორმა: ე. წ. პლატონური და ჰეგელიანური. სამყაროს პლატონური გახლეჩა, მაგალითად, აისახა ღმერთისა და ეშმაკის დაპირისპირებაში, რომელმაც ქრისტედან კლასიკური ირაციონალისტური მსოფლმხედველობის უკანასკნელ ეტაპამდე, ყველა სახის ურთიერთობა მართა, ყველა სახის მიმართება მის ნიაღში ჩაისახა და განადგურდა. მიმართებათა ტრადიციული წესის ცვლის ნიშნები ჩნდება ჰეგელის დიალექტიკაში (დაპირისპირებულთა ერთიანობაში), სადაც მსოფლმხედველობრივი სხეულის ღერძია არა ღმერთისა და ეშმაკის დაპირისპირება, არამედ მამისა და ძეს შორის წინააღმდეგობა (თუმცა მისი გააზრების დასაწყისად მეორე მსოფლიო ომის დასასრული უნდა ჩავთვალოთ). ეს ზუსტად ის წესია, რასაც ლიტერატურის გარეშედან დანაზეის აუცილებლობა დავარქვი. აქ წინააღმდეგობა არ არის სამყაროს განუყოფელი მთლიანობისაკენ მიმავალი გონიერი პროცესი, იგივე დაპირისპირება, არამედ ურთიერთქმნის განუყრელი ყოფიერება, იგივე ლიტერატურული ლაბირინთი...მოკლედ, ძალიან ხშირად მე არ ვიცი ხოლმე (და ალბათ, არც არასოდეს მცოდნია), რას ვგულისხმობ ლიტერატურაში. როდესაც ვამბობ: „ლიტერატურა", ხან მთელი სამყაროა წარმომდგები, ხან ერთი ადამიანი, რომელმაც ვერაფრით ადგილი ვერ იპოვა ამ სამყაროში, ან იპოვა, დაბადებით, მაგრამ სიკვდილამდე მას ამის შესახებ არ გააგებინეს; ხან - რაღაც ისტორიული პროცესი, ხან ქალის სურნელება და ასე დაუსრულებლად. მოკლედ რომ ეთქვა, ნებისმიერი სიტყვის მაგიერად, რომელსაც უბრალოდ საუბრის დროს ვერ გაიგიხსენებ, შეიძლება გამოიყენო სიტყვა: „ლიტერატურა". მაგალითად, თუ მინდა ეთქვა: „უკვე, ნელნელა, ვუახლოვდები სიბერეს" და დამბავნყდა სიტყვა: „სიბერე", მე ვიტყვი: „ვუახლოვდები ლიტერატურას". ასე მოვიქცევი, რადგან ვიცი, ის არაფერში არ არის, ლიტერატურას არანაირი კონკრეტული სახე, არანაირი სიტყვიერი გამოხატულება არ გააჩნია და ამავე დროს ის ყველაფერში, ყველა სიტყვაშია. შესაძლოა, ეს წმინდა თეოლოგიურ განსაზღვრებას ჰგავს და ვინმეს ახლა ფსევდდიონისიე არეოპაგელიც გაახსენდა, მაგრამ სხვაგვარად ჯერ არც მე ვიცი, როგორ გავათავისუფლო ლიტერატურა ისტორიული დანაშნულებისგან. შესაძლოა, ეს უბრალოდ ლაპარაკით, უბრალოდ წერით, არაფერზე ნერით შეიძლება, მაგრამ წერას თუ ასეთი მძიმე ისტორიულ მისიას დაკაუნტავ, ის ხომ უბრალოდ წერა, უბრალოდ ლაპარაკი ალარ იქნება? რა თქმა უნდა, ლაპარაკი და არაფრის თქმა, უბრალოდ ლაპარაკი, ლაპარაკი ადამიანთან იოლი არ არის. ვოლტერი ამბობდა: „ისინი უძღვნიან ღმერთს ერცელ მონოლოგებს, რადგან არ იციან ადამიანთან ლაპარაკი". დიდი ხანი იცხოვრა ადამიანმა ამ მონოლოგებით, ტრადიცია რაციონალიზმმა გააგრძელა, რომელმაც თითქოს შეიყვარა ეს „დიდებული" არსება, მაგრამ ზუსტად ამ დიდებულებამ, მგრძნობელობის ადამიანური გონების მწეურვალზე ატანამ ისევ მიუწვდომელი დატოვა ის თბილი, უსაგნო სიტყვებისთვის. ის მისაწვდომი შეიქნა თვითმფრინავების და ხელოვნური თანამგზავრებისთვის, ხალხისთვის, კაცობრიობისთვის, მაგრამ არა ადამიანისთვის. ჩვენ დღეს-აც ვსაუბრობთ სისტემატიზებულად, ლოგიკურად, კონცეპტუალურად, ვსაუბრობთ ტერმინებით და ყოველად გაუგებარი ფრაზეოლოგიით, რაც თითქოს სამყაროს ფორმების ცოდნაზე მიუთითებს, და ეს ლაპარაკი ისეთი „ადამიანური" ხდება, რომ ტერმინების გარეშე სიყვარულის ახსნაც წარმოუდგენელია თითქოს. რაციონალიზმმა ყველა სიტყვა გახადა ტერმინი, უკეთეს შემთხვევაში ცნება და ჩვენც ხშირად გვრცხვენია კიდეც ადამიანური ენით ლაპარაკი. ლიტერატურის სივრცეში არასდროს არაფერი არ ხდება და იქ გაჩერება, ადგილის პოვნა, მეტაფიზიკური მისწრაფებებით დამძიმებული ცივილიზაციის შვილებისთვის ძალიან ძნელია. შესაძლოა, არაფერზე ლაპარაკით ლიტერატურის გათავისუფლება მართლაც ჩვენულებრივი მორიგი ისტორიული მისიაა, შესაძლოა ის თავისთავად პოოლის ჩვენს ენაში საკუთარ თავს და მისიაც ამ ყოფიერების გამოხატულებაა, შესაძლოა, ლაბირინთში დაბრუნება გარდუვალობაა და კულტურამ უკვე გარდაგვქმნა პრედასავლურ არსებებად, ან შესაძლოა, მართლაც ვბერდები და ნაკლებად მინდება თანდათან რამის ახსნა, რამის თქმა, უბრალოდ ადამიანთან ლაპარაკი მწყურია, ბაღში სკამზე ჩამოჯდომა, თუთუნის გაბოლება და ლაპარაკი.

პროკუბალის ბიბლიოთეკა

მანანა მათიაშვილი

კონტაქტი



ჩვენი კონტაქტი ჰგავს პიესას, ერთი სხვაობით:
მას არ სჭირდება რემარკები, ავტორის ჩართვა.
ის იწერება მხოლოდ პირდაპირ ნათქვამებით.

რომ ყოფილიყო სადმე რემარკა,
იქ იქნებოდა ახსნა-განმარტება იმის შესახებ,
რასაც ვგრძნობთ, როცა ვლაპარაკობთ სულ სხვა თემაზე.

რემარკა იმის შესახებ, თუ როგორ მოძრაობს მსახიობი,
როდის დამუნჯდა, რამ გააშემა,
როდის გაბრაზდა, მოენატრა, გული დასწყდა ანდა გაგიჟდა.

რა ნაპერწკალი გაუკრთა თვალში,
როგორია მისი თითები, ხმა და თმები,
სად არის ტახტი, სად მაგიდა, სად აივანი.

ამ პიესაში ლაპარაკობენ მეტაენაზე -
აზრი სიტყვებად არ იქცევა, თვალებში ჟონავს.

გარედან შიგნით

არსებობს ქვეყნად ისეთი წამიც, რომელიც არცერთ დროს არ ეკუთვნის,
მარადიული აწმყოა თითქოს;
მით უფრო ის არ ეკუთვნის არვის: ორთაგან არც ერთს.

ის ორის შექმნილ სივრცეში ხარობს, ჯადოსნური თვისებები აქვს,
თვითკმარია და გამჭვირვალე,
ბაგშვების მიერ გამოშვებულ საპნის ბუშტებს ჰგავს.

ასეთ წამებში სისხლძარღვებსა და ნერვებს მოჰყვება ნაპერწკლები
და ანათებს ხელებს და თვალებს.
ამ ცეცხლს ჟანგბადი არ სჭირდება, ისედაც იწვის.

შესამჩნევია გულისძგერა, რომელიც მხოლოდ თავის თავს ებრძვის.
არ ვიცი, ასეთ წამებში ხშირად
ჩაძირვა რამდენ ფატომზეა მოსალოდნელი.

(ფატომი ზღვაში სიღრმის საზომი ერთეულია,
შეესაბამება 6 ფუტს, 2 ინჩსა და 183 სანტიმეტრს,
ინგლისურად ნიშნავს „ჩაწვდომას").

ჩაძირვის დროს წყლის ზედაპირი უცვლელი რჩება,
თავდაყირა დგება ზღვის ფსკერი.

ქალაქში

შენ ამ ქალაქში,
ობილ ქალაქში,
ალერგიით დაბერებულ
მავნე ქალაქში
ჟანგბადამოცლილ სხეულებს შორის
შენს ქალაქში.

მე სხვის ქალაქში,
ვივ ქალაქში,
მყიფე ქალაქში,
ბელშესახები სიბარულით
უცბად ავსილ
მზეებისგან დაცლილ ქალაქში.

ჩვენ ერთ ქალაქში.



პენელოპე II

* * *

სულხან-საბას ლექსიკონით - გზა სავალია,
„ზომიერი კაცთა სავალი" და, საერთოდ, „ყოველ სავალი".
„შარა" - ვრცელია, „ბილიკი" კი ვიწრო გზა არის,
ხოლო „ქაშანი - შამბნართა ან თოვლთა ზედა
სავალი ძნელი"; „კვალად გზად ითქმის შუკანიცა და
ფილორცნიცა", კიდევ „ნავარნა -
გზა, რომელზეც მხეცები ვლიან".
გზა გატკეპნილი სივრცეაო, - გვასნავლის საბა.

* * *

ხოლო მე რა ვქნა, სად წავიდე, რას მივეახლო,
ცით მოწყვეტილი მე რომელი სფერო გავტკეპნო,
რა გზა ვუჩვენო სულს, რომელსაც მეხად დაეცა
თვალუნვდენელი გზის და გზების ნელი მოთმენა;
რა გადავუგდო, სავარცხელი თუ შავი დანა
გზაზე მიმავალს რომ მომდევენ ცხელი ენები;
გზადაგზა უნდა ვცვალო მალ-მალ თეთრი ცხენები,
ვცვალო, დავლალო, გადავლალო და მოვასვენო.

* * *

არაფერია დაძლეული ხიზმრად მანძილი,
რომელსაც დალევს სიცხადეში მცირე ნაბიჯიც.
ფრთაშესხმული თუ გადაივლი, გალიქცევა
ის უერცელესი გზა და შარაც მცირე ბილიკად.
არაფრად მოჩანს თვით სიცხადის გამანძილება
თუ შეგიძლია თითით სნევდე ცაზე პლანეტებს!
დამაგდე თუნდაც შენს ქაშანზე, გავივლი შამბში
და მზის ნაპერწკლებს ხელალებით მოგიტან კარზე!

* * *

მე - „შაბათის გზა", შენი გზა და შენი საგზალი,
საგზაური და საზღაური გრძელი ვნებისთვის.
შენივე ნებით მე გავხდები გინდა საზრდელი,
გინდა ვიქნები მცირე ჯერი მოგზაურისთვის,
რომ დაქანცულმა თავისა და გზის ძიებისას,
თავგადასავალს მინდობილმა და თავგასულმა
დააგემოვნოს ქაშან-შარას შვება გვიანი
და გაიაროს გზა ბოლომდე, გალიოს ნება.

* * *

ორგზის, ათგზის და ათასისგზის ცეცხლგამოვლილნი,
ნადირნი ელიან ნავარნაზე კლდის ვიწროებში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა იათაშვილი

აღდგომა 2018

რომ მოახლოვდებოდა შობის დღესასწაული,
დაუდგებოდა ბროდსკი,
მოიმარჯვებდა სანერ-კალამს და
მთელს თავის პოეტურ გამოცდილებას
და გამოიცდობდა თავის ახალ საშობაო ლექსს.
დათქმული ჰქონდა აივ,
და კიდევც გამოსდიოდა.
და რატომღაც ქობაზე აურდა ენერა ლექსები
და არა აღდგომაზე,
ეგეთი ზნე სქირდა უცნაური,
არ, მე კი სულ პირიქითა ვარ:
შობაზე არ მენერინება,
აღდგომის დღეებში კი შემიშნდება ლექსის ჭია და
არ მასვენებს.
ყოველ ნელს კი არ გამომდის
(ამა იად მე და სად ბროდსკი),
მაგრამ წითელ პარასკევზეც დამინერია,
აღდგომაზეც,
ახლაც, დავდექი და გამომყავს ეს სტრიქონები,
ვცდილობ, თქმას მიეუახლოვდე,
დედაჩემმა საიდანღაც იეღოველების ბროშურა გამოჩირეკა
და ათვალიერებს,
ხმამაღლა კითხულობს:
„არე ღვთის სიტყვაში...“
რა არის ეს, რა ქართულია -
ბრაზობს თან,
რატომღაც არ მოსწონს ეს სიტყვათწყობა,
მე მხრებს ვიჩეჩავ და წერას ვაგრძელებ,
ეითომდა ღვთის სიტყვაში სიარული,
თუ ბორძიკობას,
თუ ბოდიალს,
იოსიფ, ნეტა ასე ბორძიკობდი,
იმ საშინაო დავალების შესასრულებლად
რომ ჯდებოდი მაგიდასთან,
რომელსაც მამა-მასნავლებელი გაძღვევდა ყოველდღიურად?
დღეა ხატიამ ზღაპარი მეთხრა
ლოკოკინაზე და კეთილ მეფურნეზე.
ფურნეში ფქვილის გამცრელი სჭირდებათ
და მიავ ლოკოკინა,
უნდა, რომ აიყვანონ სამუშაოზე,
მაგრამ არა აქვს ლოკოკინას ხელები
და აბა როგორ გაცრას ფქვილი,
არადა მეფურნე კეთილია და არ გაუშყებს ლოკოკინას,
დაიტოვებს და ცდილობს, რამე სხვა საქმე გამოუძებნოს...
აი, აქ გაიცვდა ხატია,
კეთილი მეფურნის ნაცვლად ფიქრობს,
რა დაავალოს ლოკოკინას და
ვერაფერი მოუგონა,
მეც მთხოვა დახმარება და ვიჭყლიტე ტკბილი,
ვერაფერით მივხვდი,
რა ხერი შეიძლება იყოს ლოკოკინასგან ფურნეში,
მერე დამიგინყდა ეს ამბავი,
და ახლა ისევ გამახსენდა,
რომ დავდექი ბროდსკიეით და
ჩემს თავს ამეფუკვეთე ლექსი საალდგომო თემაზე.
ვფიქრობ, ასეთ კეთილ მეფურნეს ჰგავს ალბათ უფალი,
ხელები რომც არ გვქონდეს,
მაინც რომ მოგვიძებნის საქმეს ფურნეში,
ხელები კი ძალიან განსაკუთრებული რამაა,
უშფიგისოდ ვერც წიგნს დაინერ,
ვერც კაცს მოკლავ,
ვერც პირჯვარს გადაინერ და
ვერც ტრაკს გამოიხოცავ,
ყველა კეთილ თუ საზიზღარ საქმეს
ხელი უნდა შეამეველო,
ფეხბურთშიც კი საჭიროა ბინდახან ხელი გოლის გასატანად,
ოლონდ ღმერთის ხელი უნდა იყოს ეგ ხელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მარადონას დავუჯერებთ,
მაგრამ ავუოჩიე მე,
სად აღდგომა და სად არგენტინა-ინგლისის მატჩი
1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე,
და სიმართლე თუ გინდათ გითხრათ,
არც გამომივიდა ამ ჯერზე
ბრიდსკიეთი მაგიდასთან ჯდომა
და აღდგომაზე ლექსის თხზვა,
ამ ადგილას გამანყვეტინეს წერა,
მერე ტაქსიში ვიჯექი,
მერე მალაზიებში შევდიოდი,
მერე ეკლესიასთან გავყევი ცოლ-შვილს,
გადავსებული იყო ეკლესიაც და ეზოც,
გამიხარდა, გარეთ დაგელოდებით-მეთქი, ვუთხარი და
რამდენიმე წუთში ჩემმა ბიჭმა
ანთებული სანთელი გამომირბენინა
პირზე მოციმციმე ღიმილით,
მა, აი, გეყიროს ხელშო.
მეც მეჭირა პატრონსნად ხელში,
კედელთან მიყუდებულს,
დავინყე ფიქრი ჩემს დანჯღრეულ ცხოვრებაზე,
ქარი წამოუბერავდა და მიქრობდა სანთელს,
ვანთებდი და ისევ მიქრობდა,
ხელს ვაფარებდი და ტარკოვსკის „ნოსტალგია" მახსენდებოდა,
იანკოვსკის გმირს რომ მიაქვს სანთელი
რაღაც დანიშნულების ადგილამდე
(რატომღაც თვითონ რომ მოისმენა, ისეთ ადგილამდე)
და რომ უქრება და უკან რომ პრუნდება
და თავიდან რომ მიბარბაცებს მონდომებული და
სასონარკეეთილი და ვითომ იმედანიც,
ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...
ძალიან არ მიყვარს ეს კადრი,
ძალიან ყალბი მგონია,
არადა ამეკკიატა, მატერიალებდა ფონებაში და
მეტზე ეელარაფერზე ვფიქრობდი,
ეელარ ვფიქრობდი ჩემს დანჯღრეულ ცხოვრებაზე,
და ისევ მოვიფიქრე,
რომ ჩავაქრე სანთელი,
ჩავიდე ჯიბეში
და ჩამოვჯექი ბორდიურზე.
ასე ჯობდა.
წამოვიდა ისევ ფიქრები,
ხალისაც ვათვალიერებდი, ეაკვირდებოდი,
ძმაფრად აღვიქვამდი,
მაგრამ ვერ ალვნერ ახლა იმ განცდებს,
ხელიდან გაგეშვი ის მომენტი,
სამშაბათია უკვე ახლა,
და ვნვალობ,
რაკი ჩავიფიქრე აღდგომაზე ლექსის დაწერა,
რაკი დავიწყე, ვცდილობ დავამთავრო,
არადა გაგრილდა უკვე გული, ნელთბილია,
ტარკოვსკის იმ გმირს დავემსგავსე,
თავად რომ არ მიყვარს,
ვცდილობ, ეს ლექსი რაღაც გაურკვეველ ადგილამდე მივიტანო,
ისე რომ, არც კი ვიცი, რა ხეირია ამაში,
და თანაც მიქრება ლექსი გზაში,
ჩამიქრა უკვე რამდენიმეჯერ,
აი, ახლაც ჩამიქრა,
ჰოდა საკმარისია,
რაკი ჩაქრა, ბარემ დამთავრდეს აქვე,
ტყუილა რატომ უნდა ვინვალო,
მითუმეტეს, რომ ვიცი
ლექსის ბოლო სიტყვები:
ქრისტე აღდგა!
ფუშმარიტად!
ლამაზი სიტყვებია,
დანჯღრეულ ცხოვრებაში შემოღის,
გაიელვებს,
და სვავს
რაღაც ნაგავს.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენე გიორგაძე

ცხვარი

როცა ღამე მოახლოვდება,
დაკარგულ ცხვრად გადაიქცევი,
ამაღამ რომ უნდა დაგეკლა და შეგეწამა.
დანას გალესავ, ფარეხისკენ გაემართები,
და დაკარგულს ძებნას დამინყებ.
შუაღამით, ტყის უკუნეთში
შენი ფანარი ერთადერთი მჭრელი თვალია.
გამთენიისას დამინახავ, რომ ზედ ხრამთან ვდგავარ
და ბღავილით ოთხივე ფეხს უმწეოდ ვიქნევ.
ჩემსკენ მოდახარ.
ცოცაბოა ეს ადგილი, და შეიძლება ორივე ერთად გადავიჩეხოთ,
მაგრამ რისკავ, რადგან ცხვრის ხორცი გიყვარს ძალიან.
ძლიეს ამომაირევ, ტალაბში ერთად ამოვისცრებით,
ერთმანეთზე ვიგორავებთ... ღამეს შევაკრთობთ...
ახლა ვდგავარ სასაკლაოზე, თოკით მიმათრევ,
მე კი უკან მრჩება ფეხები,
და უკანასკნელი ძალით ვბღავი, რომ იქნება გაგაგებინო,
ქალი რომ ვარ და არა ცხვარი.
მაგრამ შენ ჩემი ენა არ გესმის.
ერთი მოსმით, ოსტატურად გამიყრი დანას
და ოდესღაც უფუთრესი ჩემი ბენეი სისხლისფერად შეიღებება.
უკანასკნელი ამოსუნთქვა და სხეულიდან გამოდის დანა.
ჩვრის ასაღებად მობრუნდები,
და მზერას ფრთხილად ისევ ჩემსკენ გამოიპარებ.
დაინახავ, შენს მიერ სიკვდილს გადარჩენილი
ცხვრის მაგივრად სისხლისაგან როგორ იცლება
გამოფატრული ქალის სხეული

რადიო

იცი, რა არის ჩემი პრობლემა? ტელეფონით ვერ ვესაუბრები ჩემთვის ძვირფას ადამიანებს. ქალაქებში, ქვეყნებსა და კონტინენტებზე ვარო გაფანტული, და ჩემთან რომ დღეა, მათთან ღამეა... ან თუკი ვიპოვით ისეთ დროს, ადამიანური საუბარი რომ შეგვეძლოს, ერთ-ერთი მაინც ყოველდღიური რუტინის ქსელში ბუზივითაა გახლართული და საუბარი არაფრით გამოგვდის. მოკლედ, ტოტალურად დრო-სივრცეში ვართ აცდენილი. ამ ტექსტური მესიჯების კრეფითაც დავიღალე, მინდა ხმა გავიგო, ინტონაცია დავიჭირო, ეს ოხერი სიტყვები ხომ ტანსაცმელია, რომელიც მხოლოდ ფარავს სიშიშვლეს. მე კი შიშველი ბგერები მჭირდება, მათი კანი თავისი ფაქტურით და გრაფიკით უფრო მეტს მეტყვის, ვიდრე საუკეთესო დიზაინის ეთიკა. მოვტყან კულტურა, მოაშორე ეს ტანსაცმელი. ფორმამ საბოლოოდ გამოშიგნა, მოკლა სათქმელი, სიცარიელე შეიფუთა ყველაზე ვეირად. მხოლოდ ხმა მინდა რომ გავიგო, იმაზე უკვე აღარ ვდარდობ, რომ ვერავის ვეღარ ვნახულობ, აღარც მინდა არავის ნახვა. ისევ ტანსაცმელი, ისევ ღიმილი საუკეთესო დიზაინის. მე კი უტიფარი და შიშველი ხმა მჭირდება.

თმები

- ყველა შენს ქალს გრძელი თმა ჰქონდა, - ნიშნისმოგებით თქვა ქალმა და კაცის გარუჯულ სხეულს მიეკრო.
- ყველას? ამაზე არ მიფიქრია.
- დიახ! და თმას როცა მოკლედ იჭრიდნენ, პრობლემა სწორედ იქ ინყებოდა. ჰო, ზუსტად მახსოვს, ახე იყო. ღია ფანჯრიდან ნაირ-ნაირი

არმატი შემოდიოდა, როცა ქალები ამზადებდნენ სხვადასხვა კერძს. შენ კი ამ დროს წვრილმანებზე ედავებოდი: ხან მარილი აკლიაო, ხან - სიცხარეო... მიყურადებულს, კედლის აქეთ ყველაფერი კარგად მესმოდა, სეფსის დროსაც სხვადასხვა ხმაზე გმირვას ვარჩევდი, აბალი ქალის გამოჩენაზე თვალში მცემდა მისი გრძელი და ლამაზი თმები...

- მოიცა, აბა, გავიხსენო: ანას მკერდამდე ჩამოშლილი წაბლისფერი თმა ქონდა თითქოს. ..

ქეთის პირველად ბოშასავით აავდევნე, სახეზე არც კი შემიხედავს, ჭალ ტალღებს მთელი ქუჩა მიქონდა; მარის ქცრა თმა აბრეშუმის ქსოვილივით ეფინა მხრებზე... სალომესაც... უცნაურია... მერე ცოტა ხნით გაყუჩდა კაცი.

- ის დროა, მეც რომ დამაკვირდე, - ამობედა ქვემოდან ქალმა.

- კი, ფისუნიავ, შენი თმა ყველაზე ლამაზია...

- ყველაზე გრძელიც! - დაამატა ქალმა ცბიერად, - აბა, ტყუილად კი არ ვიზრდიდი ამდენი ხანი... გუმანით ვგრძნობდი, რომ მხოლოდ მაშინ გაიღებოდა სახლის კარები, თუ წარმატებით ეითამაშებდი პატარა გოგოს. ასეც იყო და ლამისაა, შენს ქალიშვილად მომნათლა ყველამ. მე კი ჩემი გეგმები მქონდა: თმები უნდა გამეზარდა" შეუმჩნეველი რომ ყოფილიყო, უკან ვიკრავდი...

აქ კი კაცმა გაანყვეტინა: და ერთხელაც, ნითელ კაბაში თმაგაშლილი გამომეცხადე... უცაბ ვერ მივხედი შენ რომ იყავი... არა, მივბედი და...

- კარგი, კარგი, რომ წამოგცდა, თავს ნუ იმარცხებ, - იცინის ქალი და პაუზის შემდეგ აგრძელებს: ჰოდა, როცა საიდუმლო ამოხსნილია, საკმარისია, თმა შეივიჭრა, და განშორების მოსაწყენი სცენების ნაცვლად, ეს იქნება ჩემი ნიშანი.

- კარგი, შევთანხმდით. - და ნელთან თმის ქვეშ შეუცურა ხელები კაცმა...

კანფეტები

ღარიბი ქვეყნიდან კანფეტები ჭრელა-ჭრელეთში მიიწვიეს ვემოვნების ბიენალეზე. ცოლ კანფეტინას ფერ-უფარილი ბლომად ნაუსვეს, კოფებამდე მაქმანებით განყობილი კაბა ჩაიცვეს, ქმარ კანფეტინის მელოტი თავი ტკბილი პარიკით ააფუეს, ატლასის ბაფთა გეტრებსა და პანტალონებს შეუფერეს...

ჰოდიუმზე გამოსულებმა ერთმანეთი ვეღარც კი იცნეს... შოუს შემდეგ დიდ ფურშეტზე ალკოჰოლი საკმარისზე მეტი იყო და კანფეტებმაც არ გაუუშვეს ხელიდან შანსი. სეფსის დროსაც ვერაფერს მიხვდნენ _ რაღაც სიმწარე შერეოდათ, თითქოს ზედმეტად მოხალული თხილის მსგავსი...

მეორე დღეს, ერთმანეთთან შეხვედრისას სმორედ ისე გაიღიმეს, თითქოს მთელი ათეული ნელი ძაფივით გამოშმულებს არ ეცხოვრათ.

თავიანთ ღარიბ ქვეყანაში როცა დაბრუნდნენ, ისევ მოირგეს სადა ქაღალდის ტანსაცმელი და მომხდარზე ერთი სიტყვაც კი არ დაუძრავთ, მხოლოდ გემო ეცვლებოდათ, როცა ჩუმად იხსენებდნენ ამ ერთადერთ სასიყვარულო თავგადასავალს.

როცა ენაზე რჩება ხოლმე თხილის ან ნუშის მომწარო გემო, ეს კანფეტები ეძლეიან ტკბილ მოგონებებს

ზურგი

ყველა იმ ზედსართავი სახელის საპირისპიროდ, შენ რომ რეალურად დაგახასიათებდა, ჩემს ფიქრებში მტაცებელი გამოდის შენგან: ბაცი ფერის, თხელი ბეწვით, სხრაფი, მოქნილი და ჩემსკენ მორბის... წყლის ზედაპირზე მოლიფლივე ანარეკლივით იბრიცებიან სლაიდები... თითქოს ქურეს იხდის, მტაცებლიდან ადამიანი გამოდის ისევ. ჯერ სახეს ვხედავ, მერე გაბრუნებ, შიშველი ზურგი რომ დავინახო. ზურგი იმდენად მაინტერესებს, რამდენადაც სახე მაღელვებს „ როცა წაიგალ, შენი ზურგი უნდა ვიცოდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ასეთი კადრია ჩემს საიდუმლო კინოსტუდიაში: ღამეა. ცივა. ქალი გამოკრავს ასანთს, ნაპერწკალი კაცს ხვდება და ორი შემთხვევითი გულის ხახუნისაგან ცეცხლი ინთება. „ვინა ხარ? რა მანქანებმა მოგიყვანა ჩემს გვერდით?" - ეკითხება ქალი. „ნებისმიერ ექსპერიმენტში მცირე რისკი მაინც არსებობს, და სწორედ იგია ყველაზე ღირებული". „პასუხობს კაცი და ქალს ეხვევა. სულ ესაა. მერე შორდებიან. დამშვიდობებისას, რამდენიმე მეტრის გაელის შემდეგ, თავებს ერთმანეთისკენ ატრიალებენ. ერთ სიბრტყეზე" სახე და ზურგი. კადრი აქ წყდება

ავტორი

1.
დასაწერი ლექსებით ვარ სნორედ ძლიერი.
დაწერილები ჩავანგეთე მკითხველებს თვალში.
ზოგისაში წირპლიევით ჩანდა,
ზოგისა კი აცრემლიანდა,
ზოგიერთმა მომიხურა თვალის კარები.
მე სამივე შემთხვევაში ისევ მშვიდი ვარ,
რადგან ვარსებობ დასაწერსა და დაწერილის შუა სივრცეში,
მხოლოდ ესაა ჩემი აწმყო, ვერასოდეს რომ ვერ ვიხელეთებ.

2.
დაუნერელი სიტყვები, რომლებიც
ნიგნის ფურცლებს შორის ცხოვრობენ -
ჰაერია, ჟანგბადი,
რითაც სუნთქავენ დაწერილი ლექსები.
ეს სიტყვები ზოგჯერ ისევე მჭრელია,
როგორც ნაუკითხავი ფურცლის კიდე,
სანამ მას თითის ბალიშები დაარბილებენ

ქანქარა

დედა ასეირნებს შვილს საბავშვო მოედანზე.
ბავშვი მხიარული ყიჟინით ქანაობს საქანელაზე.
დედა ამრეზილ მზერას ესვრის
საბავშვო მოედანზე მჯდარ ლოთს არყის ბოთლით ხელში.
დილაა და მოედანს სნრაფი ნაბიჯით კვეთენ მოქალაქეები.
უსაათო ლოთი მხოლოდ ბავშვს ხედავს და ილიმება.
დედა უყურებს ლოთს, რომლის მზერას მიყავს საქანელამდე,
სადაც ქანაობს ბავშვი, რომელიც დედას უყურებს.
ბავშვი ალარ ქანაობს სიხარულით.
საქანელა რიტმს აგდგლს და ბოლოს ჩერდება,
როგორც ქანქარა კედლის საათის.
დილაა და მოედანს სნრაფი ნაბიჯით კვეთენ მოქალაქეები
უზადოდ დაქოქილი საათებით.

ამინდის პროგნოზი

დილით მოსალოდნელია
ცეცხლებადი მოღრუბლულობის წინადადებები
უნალექო სიტყვებით.
შუადღისთვის გაიზრდება
ატმოსფერული ზედსართავების რაოდენობა,
შესაძლოა სასვენი ნიშნების ხანმოკლე სეტყვა.
საღამოს ჩრდილო-დასავლეთის მეტაფორა
აამაღლებს ტროპულ ტენიანობას,
ძლიერი ნვიმა ელ-ჭექით ანიდან ჰაემდე.
ღამით კი სინოპტიკოსი აბზაცები
ტემპერატურის მატებას ეარაუდობენ
ტექსტის მთელ ტერიტორიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჩუთლაშვილი

ქალის საშლელი. კაცის სარკე.

კაცი რომელიც ჯიბით პატარა სარკეს ატარებდა
შეხვდა ქალს რომელიც ჯიბით ფანქრის საშლელს ატარებდა

1
კაცმა არ აალაგა ლოგინი, არ გაიხეხა კბილები,
საჭიროდ არ ჩათვალა რადიოს ჩართვა
და კარში გაჭედილი დილის გაზეთის ოთახში
შეტანა.
უბრალოდ ყავა დალია,
ფეხსაცმელებს ახალი
თასმები გაუკეთა, პატარა სარკე შარვლის
ჯიბეში ჩაიდო და სახლიდან გასვლისას
სახლის კარი ისე მაგრად მიაჯახუნა, რომ
საკუთარ მოგონებას სახურავი ახადა...



მზე რომ ჩავიდა,
ცდუნება რომ გაინაფა,
საკუთარი თავის ცდუნებაში
კაცმაჯიბიდან პატარა სარკე
ამოიღო, მასში ჩაიხედა და ველარ დაინახა
ქალის სახე,
ქალის, რომელიც ჯიბით ფანქრის საშლელს
ატარებდა, შეცდომებს უშვებდა და
უგემოვნოდ იცვამდა...

2
ქალმა აალაგა ლოგინი,
კბილები გაიხეხა,
შხაპი მიიღო,
მერე
აკვარიუმიდან თევზი ამოიყვანა,
ხალათის ჯიბეში ჩაისვა,
და სანამთევზს სახლთან ახლოს მდინარეში
გაუშვებდა, სარკეში ჩაიხედა
და ნაუყრუა საკუთარ შიშს...

თევზი მალე მოკვდა...
(თევზმა ორი დღის წინ ნახა სიზმარი
რომ ხალათის ჯიბეში მოკვდებოდა)
ქალი ოდნავ დასუსტდა...

3
ოცი წუთის შემდეგ...

ქალმა შარვალი ამოიცვა,
შარვლის ჯიბეში ფანქრის საშლელი
ჩაიდო
და გაახსენდა სკოლაში დაშვებული შეცდომები,
დედასთან დაშვებული შეცდომები,
მამასთან დაშვებული შეცდომები,
უკვე ზრდასრულობაში
კაცებთან დაშვებული შეცდომები.
მერე გაახსენდა კაცის დაშვებული
შეცდომები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცის, რომელიც ჯიბით პატარა სარკეს
ატარებდა
და მასში საკუთარ თავს ვერასდროს ვერ
ხედავდა...

4
ოცდასამი წუთის შემდეგ...

ქალმა მდინარის პირას
დამარხა მკვდარი თევზი
და სიახლის შეგრძნებებიც
მიწაში ჩადო...
მერე საშლელი მაღლა ასნია
ცას დაუმიზნა და რალაც ნაშალა...

ბავშვი მდინარის პირას ყვითელ
ფურცელზე განტოლების ამოხსნას
ცდილობდა,
ერთ თვალს ხუჭავდა
მეორეს კი დიდ ლოდს ატოლებდა,
ლოდს, რომელზეც ქალის
წითელი ტრუსი ეგდო...



5
კაცმა ქუჩაში ამოიღო სარკე და
გაწმინდა.
ქუჩაში ბიჭი მისდევდა გოგოს.
ძაღლი მისდევდა ავტობუსს.
ბიჭს არ ედო ჯიბეში პატარა სარკე,
გოგოს არ ედო ჯიბეში ფანქრის საშლელი,
გოგო უშვებდა შეცდომებს.
ბიჭი უშვებდა შეცდომებს.

ლია ბარათების ანგელოზი

„პირველად
ჩემს სახლთან ახლოს დავინახე
როცა ტაქსის მძღოლს ხურდის
ნაცვლად ხელს ართმევდა
და თავს უკრავდა
მადლობის ნიშნად.
მისი ფეხსაცმელების
ბზინვარება თვალს მჭრიდა"

ბარათები მოიტანეს,
ლია ბარათების ანგელოზი
უკვე აქ არის.
გახამებულ თეთრ პერანგზე
ლაქა აქვს.
ფრჩხილები ძირამდე
აქვს დაჭრილი.
როგორც ვიცი,
ლია ბარათების ანგელოზები
ერთი მაკრატლით იჭრიან ფრჩხილებს,
მათ ცაც ერთი აქვთ, კბილის ჯაგრისიც
და იდუმალების თეთრი საცვალიც...
ანგელოზს ხელები ცხიმიანი
აქვს,
ალბათ სანამ აქ მოვიდოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარის ენა. თევზის ენა

ჩემს საძინებელ ოთახში
კედელზე სინათლე ჩამოდის,
სინათლე მდინარეს ჰგავს.
სინათლე იცვლის კალეიდოსკოპს
მზის ჩასვლისას,
მზის ამოსვლისას
და მაშინაც, როცა
ფარდაში გახვეულ
საკუთარ ჩრდილს
წელში ვმართავ...

ყოველ დილით კარადიდან
ვიღებ საკუთარ სხეულს და
ოთახივით ვანიავებ.
მდინარე ჩემში მოედინება
და მე ბანდახან ღრმა ვხდები.

ჩემს საძინებელ ოთახში
ყოველ დილით ათი წუთი
ვუყურებ ჩემს ნახატს,
სადაც
თევზის ენიდან მდინარის ენაზე
გადამაქვს ცარიელი თვალები და
ყვითელი აბივით ვადნობ.
ნახატი დაუსრულებელია
და არ მაქვს სურვილი, რომ
დავასრულო.

ხმოვანი შეტყობინების გაგზავნას
ვცდილობ დღეგამოშვებით
ქუჩის სინათლისკენ,
და როცა მხოლოდ სიჩუმე გამომდის,
ამ დროს მესმის შენი,
თევზის და მდინარის ენა...

* * *

შენი შავი ბოლოკაბა
ჩემს ბოლო თეთრ ლექსზე
ბევრად მოკლეა...



გზაში ნაიხემსა,

მოლრუბლულ ცასაც შეუცურა ხელი
და დაავინყდა ხელ-პირის დაბანა საპნით...
ჯერ ხმას არ იღებს,
არც ქურთუკს იხდის.
მე ვფიქრობ:
„ცხადია, მან ყველაფერი
იცის ჩემს შესახებ".
დაჯდომას ვთავაზობ,
გაზქურასთან გათბობასაც
და ახალგარეცხილ კოვზში,
რომელიც ორი თითით
მიჭირავს,
ვხედავ მის ჩაშავებულ
თვალებს...

ღია ბარათების ანგელოზი
არ ჯდება, ფეხზე დგომას
ამჯობინებს...
კოვზიდან
წყლის წვეთები
ძირს ეწვეთება და
ანგელოზი თვალებს ძირს ხრის,
თითქოს წყალი გუბდებოდეს
მის ფეხებთან ჩაზნექილ იატაკზე
და მოპარულ ნავს მიათრევდნენ
იქვე ბავშვები,
ისე უყურებს იატაკის ერთადერთ წერტილს,
თან თავს იბერებს.
წელში იხრება,
ჩინური სათამაშოების სუნი ასდის...
მისი გაპრიალებული ფეხსაცმელები
დაბზარულ ქვერს და ასვატიან
ნათურას ირეკლავენ...

მადიანი ამოსუნთქვის შემდეგ
ღია ბარათების ანგელოზი ბარათს იღებს,
გულში კითხულობს და რაც არ უნდა
ნარმოუდგენელად მოგეჩვენოთ,
მე მისი ყოველი სიტყვა გარკვევით მესმის...

ღია ბარათი ანანოსგან:

„შეგიძლია მშვიდად იყო.
გუშინ ჩამოვედი ნეპალიდან
და
შენს სახლთან ახლოს რომ ქარხანაა,
იმის მოპირდაპირე კორპუსში
გადავედი საცხოვრებლად.
იქნებ გვეეახშმა დღეს სალამოს...

იმედია, მეყოფა გამბედაობა
და ღია ბარათების ანგელოზს ვკითხავ,
თუ როგორი შეგრძნებაა იყოს
ღია ბარათების ანგელოზი..."

გიო ლომიძე

ჰმ

დაიფიცე ბიბლიაზე რომ არ ხარ ვერაგი,
შენ რომელმან განიზრახე შთანთქა საზვერე,
ამ სოფელსა და იმ სოფელს შორის.
თითების ყდასთან შეხება წარმოშობს ბიოდენებს,
განიხვნება ზეცა და მოგეცემა დასტური
რა ფორმით შთანთქა სიცოცხლე კაცთა,
კრავთა, მხეცთა და ცოდვათა.
მკვდარ ენაზე აღზევებული წიგნი ქუმარიტებისა
შენს მიერ გაცვეთილია შინაგანად ხელის ფათურით.
ბრიყვი აქ არავინ არის.
ყველა მკვდარი ენა უკვდავია.
უფლება არსებობის ქადაგებებიდან არ ისწავლება.
ვლინდება ჩვენში პრეადამიანური აღზევება
და ჩურჩული თავისუფლებაზე ლაჩრული თვალთმაქცობაა.
არავის სახელითა არ ხდება ან და მარადის ეს ყველაფერი
უკუნითი უკუნისამდე.
უკუნი არს უკუნი და ,,მართალნი'' სახეებს იბრეცენ
კბილთა ღრჭენით.
ჩემს ლექსებზე ისე ილრიჯებით როგორც განსხვავებულ
ადამიანთა არსებობაზე.
მზად ხართ განრისხდეთ, მზად ხართ იხუვლოთ,
მზად ხართ იცინოთ და „გაიმარჯვეთ".
არა და ყველაფერი სხვაგვარად არის.
ჩემი ლექსები შეცოდებას არ ითხოვენ.
მათი არსებობა უნდა აღიაროთ.

ძახილი

ცას უნდა ასძახო - მელოდე,
გაბედო ბოლოჯერ ამოსუნთქვა
და გამქვირვალე ქუთუთოებში ჩაიფინო
გადამფრენი იმედები.
თბილი ქვეყნების ილუზია.
საკუთარი ანარეკლის ალეგორია
მოაქციო შიშის მარწუხებში
და გაისროლო.
მოიხელო ღიმილი.
ბოლო თეთრი ღამიდან
პოლარული სიზმარი
მოგიყვება დანარჩენს,
როგორ უნდა ეხვიო,
როგორ უნდა ეხუმრო,
უხეირო ფლიდებს და
ხეირიან ჯამბაზებს.
თავს უნდა დასძახო გაები
ყოფნიდან ყოფნამდე ბოგად
არ იუკადრისო მეგზურობა
მოუნელებელი სიცოცხლის,
დანაცრებულ ადგილადაც რომ იქცეს
შენი ხსენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვერ იხანძრო
სულერთია, ვისაც გამურავ
მათ შორის იქნებ ვინმეს სული გაუმტკერიანო.
ჩაეხშობა მარაქა,
სხვა კვერცხსა და ქათამზე.
უნინ ვინ ითარეშა
დასაბამის ნაპირთან.
შენი თავისუფლება უნდა იმშობიარო.
ჭას უნდა ჩასძახო ტაეში,
შენი ჩაზნექილი ტანიდან,
დანის პირზე გავლილი სისხლივით ჩაეწვეთო.
ექომ ამოგისროლოს
როგორც ძაფის ბორგალი,
როგორც სვავის ხორხიდან
ამოზრდილი კივილი.
ულრანებში კედარი
ვეღარ გამოესარჩლოს
ნისკარტიან მხეცებს და
უნისკარტო ფრინველებს.
ჭენი თავისუფლება უნდა იმშობიარო.

შეხვედრიდან

დღეს სხვა ფიქრებმა დაიკავეს დრო და ადგილი,
რაღაც მსგავსია ალბათ ვაზის შემოკავების
იმ დღის შესახებ ამ ქალაქში კაცს რომ ვესტუმრე
ღვინის თანხლებით,რომლის ფერზეც არ გვიფიქრია
და ვისაუბრეთ ყველაფერზე მან, მე და ღვინომ.
ვსვამდით ერთმანეთს, საფიქრალს და თურმე მხარდამხარ
ლამის ჩაგვადნა საათები, შემოგვათენდა,
თურმე არ იყო საკვირველი იმ თანხმობიდან
არც არაფერი გამოთორობას რომ ეთავსება.
და ყველა ოხვრას უთქმელობით ვესალმებოდით.
ვიკარგებოდით აბსურდების კორიანტელში
ჩვენთვის რომ მაინც უსაშველოდ სასიცოცხლოა.
მხდალ სიკვდილებზე აშენება მყუდრო ბუნაგის
სადაც ადრე თუ ალბათ გვიან შევიყუჟებით
და ერთმანეთზე მოგონებებს მოვამარაგებთ
გადარჩენილი საათების ამოსავსებად.
თან გადავიხდით სიმარტოვის თუ სიმარტივის
ჩასაფრებული უძლურების ცრემლით საფასურს.
ვადგასული იდეები იღლაბუცებენ,
ხელიდან ხელში ნანილობრივ პირიდან პირში;
მაშინ კი ალბათ ვიქნებით ან აღარ ვიქნებით.
ეს სულერთია მთავარია ახლაც არა ვართ...
ყოფნა არყოფნის ზღვარზე ქარი ახლაც ბოგინობს
და პოეზიაც იშვიათად უადგილოა.

ფრენა

იმ ფრინველებზე მინდა გიამბო
შენ რომ ხატავდი, იმ ფრთიან ქვებზე;
როგორ იჭერდნენ ჰაერში მწერებს,
როგორ იკრებდნენ სურვილებს, ძალებს
უკანასკნელი გადაფრენისთვის.
ცა პეპლებივით უფერულდება დალამებისას.
და ეს ამბავი მათთან ერთად შეკრავს ირაოს.
ამ ამინდებზე საყვედური ვისაც ჩვენია
ფრთებგარეშეა დარჩენილი დიდი ხანია.
ცამ ჩაიგუბა ხეიბარი ჩიტის სიმღერა.
იმ ხეობებზე მინდა გიამბო
მზე რომ ხატავდა.
ძალა არ მყოფნის...
თვალი არ მყოფნის ჩავაწვდინო სხივები სადაც
ახავსებული ქვაბულების კედლებს კენკავენ.
ცამ ჩამოხეთქოს გზაშეკრული ფრენის სიმღერა,
დამარცხებულ და გადაკარგულ ყველა სხეულად;
ჩამოაღწიოს იქ, დღემდე სადაც
თითქოს ლოდინით იბერებიან
უსწორმასწოროდ გამოზრდილი ქვები-კუზები,
ზედ მიაფინოს ან მათ შორის გადაინახოს,
ადრე თუ გვიან სხვა კუზები შეიხორცებენ.
ქვამ ჩაიგუბა ხეიბარი ჩიტის სიმღერა
ნახატიდან რომ გაფრენილიყო
და ჩამოვარდა.

შეუძლებელი

ახლა ქარები იმეტებენ იმაზე მეტად
გუბეებისთვის მოტორმტანე ბზართა იარებს,
ვიდრე სხეულში, ღრმად სხეულში უცნობმა მეტას-
ტაზების რიგმა ფეხაკრეფით გადაიარეს.
და ბაყაყებიც გაიტყორცნენ დუმფარებიდან...
და ბაყაყებმაც გამოტყორცნეს ყიყინი წყალზე,
მედიდურობა შეიმჩნიეს დაუფარავი
ჯერ არნახული ჩემი თვალით და ვიცი ხვალ-ზეგ
მივაჩერდები მოძრაობას უძრაობაში,
მომაჩერდება პირაქეთ და პირიქით მწყრალი,
საყვედურები ბუშტუკებად ამოძვრებიან
გუბის ფსკერიდან, სანატრელი რომ გახდა წყალი
მარადიული წყურვილების დასაოკებლად;
მარად უბრალო მწყურვალები ვმარცვალვდით ქვიშას,
ქვიშასთან ერთად - წლებს, ერთმანეთს. ზეცას კოკები
ქვემეხებივით მივუშვირეთ და რალა გვიშავს,
თუ ვერ შევწყვიტეთ არსებობა, ჩვენზე ახია,
ცრუ მოლოდინმა ამოშრიტა სულის ემბაზი;
როცა ხეები ქარიშხლებში ტოტებს დახრიან,
ბუმბულს დაყრიან ფრინველები როცა გემბანზე
- შესამჩნევია არსებობის დაქუცმაცება.
მაინცდამაინც „ბრინჯის ყანებს ნასკდათ გოლება",
მაინცდამაინც დავყრუვდით და არ გავიგონეთ,
ვერ გავამხილეთ ნიაღვარი რად გვიგროვდება
მარტოობისას, დამძიმებულ ქუთუთოებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბინე შიფნერი - პოეტი კარიატიდი

გერმანულიდან თარგმნა ბელა ჩეკურიშვილმა

საბინე შიფნერის სახელი კელნის პოეტურ სცენას უკავშირდება, სადაც ბრემენიდან სტუდენტად ჩავიდა და საცხოვრებლადაც იქ დარჩა. 90-იან წლებში მუშაობდა კელნის შაუშპილჰაუსის თეატრის რეჟისორის ასისტენტად და საკუთარ პიესებსაც იქ დგამდა, იყო სატელევიზიო გადაცემების რეჟისორიც, დოკუმენტური და ინდუსტრიული ფილმების ავტორი. ენევა სარედაქციო საქმიანობას, როგორც რედაქტორი, მთარგმნელი, გამომცემელი (თარგმნის ესპანურიდან და კატალონურიდან). პოეტური კრებულების გარდა, გამოცემული აქვს რომანები და რადიოპიესები. 2004 წელს მიენიჭა მარტა ზაალფელდის პრემია. მისი სადებიუტო რომანი „მელოგინეთა ცხელება" 2005 წელს იურგენ პონტოს პრემიით დაჯილდოვდა. მიღებული აქვს არაერთი გერმანული და საერთაშორისო სტიპენდია, მათ შორის ვილა ავერორას სტიპენდია ლოს-ანჯელესში, ლიონ ფოიხთვანგერის ლიტერატურულ სახლში. 2007 წლიდან არის გერმანული პენცენტრის წევრი.

ბოლო წლებში მისი აწკარდების მიხედვით გერმანულად ითარგმნა ზურაბ რთველიაშვილის, რატი ამაღლობელის, ზვიად რატიანის საავტორო კრებულები და 35 ავტორისგან შემდგარი თანამედროვე ქართველ პოეტთა ანთოლოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარიატიდი

ასე, უთავოდ,
უთავსახუროდ, ყველა ქვაბს რომ საკუთარი აქვს
მან კი ვერცერთი ვერ მოირგო
შეჰყუდებია
და მკლავებით უჭირავს
სახლი
ოჯახი სამსახური და ილუზია
რომ შემოსავალს თუ გაუზრდის
ფიტნესკლუბშიც უნდა წავიდეს
ის მარტოხელა დედაა და ისე იქცევა
როგორც ყველა
საღამოს ჭამს კი
ჩამავალ მზის ოქროს სხივები
მოპირდაპირე სახლს რომ ეცემა
და იქიდან მის ბინას ავსებს
უსიტყვო მზერით დგას ფანჯარასთან
მერე ნელ-ნელა
ხელებს სნეულ მაღლა
თითქოს საქმისგან ისვენებსო
მისი სხეული ამ დროს ჩრდილს ხატავს
ის კი თავისი კლასიკური განათლების წყალობით
ამჩნევს
რომ ეს ჩრდილი ბერძნულია
და უკვე ორი ათასი წლისაც

კიბის თავში

გოგონა ზურგზე გყავს მიკრული
და ადიხარ
დღეს საერთოდ არაფერი დაგიწერია
და თუ ასეა რატომ მერე
დანაშაულის გრძნობა გიდგას თვალებში
აქამდე რაც გიფარავდა
ხელოვანის სტატუსი იყო
თან სულ სხვადასხვა ეტაპზე ახლა
ისე ხარ თითქოს ეს საყრდენი გამოგაცალეს
და შეჭყურებ სინათლეს სადღაც
ზემოდან რომ ეშვება შენსკენ
სულ გგონია, კიბის თავში რაღაცა იწვის
თითქოსდა ეთქვათ,
არაფერზე არ უნდა წერო
მთვარის შუქის დაისის და აისის გარდა
ზღვებისა ზღვის ნაპირების დათოვლილი პეიზაჟების
ეკლესიათა ეზოების კლდოვანი მთების და მათთა
მსგავსი
ამასობაში გეკვანძება ფეხი აი
მაგნეზიუმს რომ არ სვამ ეიდრე
კიბეზე ასვლას დაიწყებდე
ის ნერვებსაც აწყნარებს თურმე
შიგნიდან რომ გიფუთფუთებენ
გარეგნული სიმშვიდეც მოიქცეს და
ახლა ხომ ძალა გჭირდება
ტკივრთის საზიდად
შენი გოგონა ხაზებს ხედავს რადგან ის
შენთან ასე ახლოა ხაზები სახლი
სადაც კიბე აყუდებულა
დარტყმას გრძნობ შიგნით
ასწრებ სახელურს ეჭიდები
ღრმად ისუნთქავ თავს ისე გრძნობ
თითქოს არც რა გეკალებოდეს
იმ ქალს ეგავარ ხანძრისკენ რომ მიდისო
ამბობ

სხვაგან

წვიმას ინყებს ეშურება ჰორიზონტისკენ
წყნარი ოკეანის თავზე ახლა რომ
თვითმფრინავი წამოუფრინდა
აგურისფერი შუქის ციმციმით
ამ ღამეში
ერთი ამბობს უსაფრთხოაო
შეგიძლია მშვიდად იარო სხვა ამბობს
როცა მანქანით ხარ, მშვიდად ყოფნა არ შემიძლია
ოღონდაც კი თავს გაუფრთხილდი
დედა იტყვის ჭკუით იყავი
და გულისხმობს ნვიულებას და ნარკოტიკებს
აი ამინდი იმუხტება
და ელვა ჰკვეთს ნითელ ცას ტალღებს
სანტა მონიკას სანაპიროზე
თუმც ჩვენი სახლი არ ნათდება
და არც იმათი მდიდრებისა
ნასტურციებით და როზმარინით
გადაპენტილ გორაკებზე
ხოლო პატარა თვითმფრინავი
რაღაცას გვინერს
ჩაბნელებულ ზეცაზე ნავითით
შენელებული კადრის მსგავსად
რომ ეკითხულობთ
ოღონდაც კი თავს გაუფრთხილდი
სადაც იქნები

როცა ქრის ქარი

ჩემს ბაღში ახლა
დაქრის ქარი
და მოუხმობს ვირთხებს და ყვავებს
ჩემს ბაღში ახლა
ქარი არწევს ფელოდიას
ალუბლებში გაღაავნის თავზე
სახლის ჭიშკართან ჩამომომდგარი
მენაყინის მანქანიდან რომ გაისმის
მზიან დღეებში
ჩემს ბაღში ახლა
სასუქის გროვა ისე მშვიდად
ელოდება ბებუას მოსვლას რომელიც
მოდის და ჭიაყელებს არჩევს იქიდან
ჩემს ბაღში ახლა
იორდასალამი მზეს უშვერს სახეს
მცენარეთა წიგნი ამბობს
მას ადგილის ერთგულება სცოდნია თურმე
ჩემს ბაღში ახლა
იჭრება ქარი
თან მოპყვება უკმაყოფილოდ მოქაბჭახე კაჭკაჭის
ხმები

ჩემს ბაღში ახლა
მებაღე მოდის
თოფს უმიზნებს ვირთხებს და ყვავებს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გლეეგს ჭინჭრებს ანწლებს ვარდებს მხოლოდ
ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲐᲚᲐᲛᲘᲡ ᲑᲔᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲮᲚᲘᲡ
ის ხომ ადგილის ერთგულია
ᲔᲘᲠ ᲘᲢᲐᲜᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡ
მინისპირამდე ცელავს ბალახს
ᲩᲔᲛᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲐᲮᲚᲐ
დაქრის ქარი მე ეახმოვანებ
ᲰᲣᲣᲣᲣ ᲰᲣᲣᲣᲣ ᲰᲣᲣᲣᲣ

სად შეიძლება იყოს ჩემი ქრისტიანი

ისიც ერთი მათგანი იყო
მუცელში რომ მეზრდებოდნენ
ოდესღაც რომ ვერც მივხვდი როგორ
ფიპლარზე მომწყდა და როცა უკვე
ᲔᲤᲘᲥᲠᲝᲜᲓᲐ ᲐᲘ ᲨᲝᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲐ
ᲔᲒᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲖᲐᲓᲐᲐ
გამქრალი დამხვდა
ერთი მათგანი ვინც კბილებს შორის მემალებოდა
და ᲯᲐᲒᲠᲘᲡᲘᲗᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲕᲬᲕᲓᲔᲑᲝᲓᲘ
ერთი მათგანი ვინც ᲑᲠᲔᲛᲔᲜᲨᲘ გადაიკარგა
და ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲨᲘ არასოდეს არ ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲐ
ერთი მათგანი ქურთუკიანი რომ ᲣᲠᲑᲔᲜᲓᲐ ᲥᲣᲩᲐᲡ
შეუსვენებლად მე კი
ᲮᲔᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲛᲐᲒᲝᲕᲐ ᲙᲐᲠᲘᲣᲨᲘᲜᲘ და დამაყუდა
ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲛᲔᲙᲠᲣᲚᲛᲐ რომ გავიღვიძე
ის იყო ისიც
ვის გამოც ღამით კინალამ მოვკვდი
ერთი მათგანი ყოველ დილით რომ ამბობდა
დღესაც ᲘᲡᲔᲗ ᲖᲐᲖᲣᲜᲐᲡ ᲓᲦᲔᲐ
ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ რომ მიდიოდა და იქიდან სამუდამოდ იკარგებოდა
ერთი მათგანი ვის მოსცლასაც ᲛᲣᲓᲐᲛ ᲕᲘᲒᲔᲑᲓᲘ
რადგან კიბეზე უსტვენდა მაგრამ
ᲙᲐᲠᲘ რომ ᲕᲐᲦᲔᲑᲓᲘ მისაგებებლად
იქ არავინ აღარ მხედებოდა
ვინც ფიქრობდა სასტიკია ჩვენი სამყარო
და გარდატეხის ასაკისას საღამოს ᲟᲐᲛᲘ
ფანჯარიდან გადახტომით იმუქრებოდა
ᲕᲘᲜᲪ ᲛᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ მთელი ეს ᲬᲚᲔᲑᲘ
დაბადების დღეც რომ არ ᲕᲘᲪᲘ
ისიც ერთი მათგანი იყო
მუცელში რომ მეზრდებოდა
ᲕᲘᲜᲪ ᲭᲘᲞᲚᲐᲠᲘᲗ გამომება და
ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲣᲙᲔᲑ სადღაც გადაიკარგა

ხეტიალით გატაცება

როცა ჩემგან იბარგებოდი მიხსნიდი
რომ ᲮᲔᲢᲘᲐᲚᲘ მეწისქვილის გატაცებაა
მაგრამ მე სულაც არ მხიბლავდა
იმისი ცქერა
შენი მშვენიერი თვალებით

ოთახში რომ წინ და უკან იყურებოდი
თან ფეხსაცმლის თასმას იკრავდი
ამბობდი ახლა სამსახურში უნდა წავიდე
ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲢᲧᲝᲓᲘ
ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲠᲑᲝᲓᲘ

მერე შენგან ელექტრონული წერილი მოდის
მეწისქვილის ცოლს რომ ეძღვნება
მაინც ვერ ხვდები რა ამაყები არიან
ეს მეწისქვილის ქალები და
საკუთარი ფასიც იციან

რომ ისინი ჩამოფქვამდე იცდიან მხოლოდ
და არც ერთი წამით ხანგრძლივად
თუნდ ტელეფონი ჩართული იყოს
სამსახურთან და წერილებსაც
ცრემლი ანვიმდეს

მეც აქ რაღა გამაჩერებს მივდივარ
ან სხვანაირად როგორ იქნება
მეწისქვილის ცოლი ვარ და ხელშეკრულებაც
არსებობს რომ სიყვარულისთვის კი არა და
სახეტიალოდ შექმნა ის ღმერთმა

სოჭის ტყე

სოჭის ტყეში არ ბუდობენ აკი სულები
ამბობს დედა
შეგიძლია მშვიდად იყო და ერთხელაც მარტო შეხვიდე

სიჩუმეა სამარისებური სიჩუმეა ტყეში რაც უფრო
ღრმად შევდივარ მით უფრო მეტად ვიწროვდება გზა
და ბნელდება აღარაფერი იზრდება აქ გარდა
სოჭების ფესვებისა მიწის გულისკენ

სოჭების ტყეში ამბობს დედა
აქ იყვნენ ჩვენ რომ ვთამაშობდით ისევე და ისევ
წითელქუდა და რუხი მგელი ვიდრე მე ძაღლმა არ მიკბინა

პა წადი წადი მაგ ბავნის იქით
მოიტანე კენკრა და სოკო მანამდე კი
თუგინდ სულაც ნუ დაბრუნდები
სოჭების ტყიდან რომელიც უკვე რა ხანია აღარ არსებობს

ფორთოხლის ჯემი

და მთელი ის სიგარეტები მწარე ფილტრამდე
რომ ყენეოდით სუპერმარკეტში მოპარული
ოქროსფერი კარაქი დარბილებული იოლად რომ ესმებოდა
ფუმფულა თეთრ პურს მხატვარი ასე რომ გვიყვარდა
ხშირად გვსტუმრობდა მოპქონდა ზეკტი და თავმომწონედ
ლაპარაკობდა ნალების ტორტი ჩვენ თვითონ რომ ვრთავდით
თხილებით და მარციპანით და ბოლოს ყველა გემრიელად
შეეექცეოდით ფეხებს გვატკიებს სიგარეტი ვასკვნიდით
დილით გაღვიძებულზე და ვითვლიდით ნამწვავების
რაოდენობას საფერფლეზე ვიტაცებდით დამქრალ ნარჩენებს სალამოს
მერე იქ რომ ეყარა და პაკეტების შავ ჩაის ესვამდით
რძითა და შაქრით ვჭამდით ხმიადებს არაფერი რომ არ ღირდა
თითქმის ვატანდით კარაქს და ფორთოხლის ჯემსაც ზემოდან
გავყურებდით ფანჯრიდან კელნს ხანდახან კიდეც
შემთვრალები ხშირად მშივრებიც ასეთი იყო სტუდენტობის ლაღი
დღეები ვიცინოდით ხმამაღლა და გადარეულად და დავდიოდით
ქუჩაში კვამლით სავსე ფილტვებით კარაქნასმული ხმიადით კუჭში
და ზემოდან ფორთხოლის ჯემით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაბა ზარქუა

დაკარგვა ხრუშოვკაში

მეორე მოთხრობა ციკლიდან „ხრუშოვკის ტრილოგია"

1. კლარას პირველი დაკარგვა

კლარა კანდელაკს მშვენივრად ახსოვდა, რომ ამ 15 სექტემბერს 93 წლისა შესრულებულიყო, ისიც უნყოდა, რომ კლარა კანდელაკი გახლდათ და ისიც, რომ ოჯახში მის გარდა ერთი შვილი, ერთი რძალი, ორი შვილიშვილი და ერთიც ძაღლი ბინადრობდა. მიუხედავად უბადლო მეხსიერებისა, რომელიც ცოტათი გასაკვირიც კი იყო მის ასაკში, ერთ მშვენიერ დღეს სასტუმრო ოთახიდან საპირფარეშოსკენ გასულს კიბილი აღმოხდა:

- მიშველეეეეთ! არის აქ ვინმე?? გესმით ჩემი?? დავიკარგე, მარტო ვარ, მიშველეეეთ!

ბესარიონი და მაკა სუფრასთან ისხდნენ და ჩახოხბილს გეახლებოდნენ. ბავშვები საძინებელში გასულიყვნენ. ძაღლს კი ეძინა. კლარას ხმაზე ყველანი მისი მიმართულებით გავარდნენ და უცნაურ სანახაობას წაანყდნენ - მოხუცი საპირფარეშოს წინ იდგა, დაბნეული იყურებოდა იქითაქეთ და არ იცოდა სად წასულიყო.

- უი, რა კარგია რომ აქვე ყოფილხართ, გადავრჩი მგონი. - სახე გაებადრა და ოჯახის წევრებისკენ დაიძრა. - რატომ მიყურებთ ასე?

- რა დაგემართა, კლარა? მშვიდობაა? - სერიოზულად ჰკითხა ბესარიონმა.

- რა უნდა დამმართნოდა. არაფერი ისეთი, ერთი პრობლემა მაქვს და...

- რა?

- ტუალეტი სადაა? - ჩურჩულით და ეშმაკური ღიმილით გახედა თავის შვილს.

- ტუალეტში მიდიოდი?

- ჰო, და გზაში დავიკარგე.

- ჰაჰაჰა... - გადაიხარხარეს ბავშვებმა და საკუთარი საძინებლისკენ გასწიეს.

- არაფერია სასაცილო! - დატუქსა მაკამ და სასტუმრო ოთახში გაბრუნდა.

- აგერ არის ტუალეტი, დე. მის წინ იდექი. რა გჭირს. - ბესარიონმა ხელი მოხვია მხარზე და საპირფარეშოს კართან მიიყვანა.

- ბესო, აქ იყავი რა, მეშინია ისევ არ დავიკარგო და მერე ვაიდა არ გამიმართლოს და აქ არ დამხვდეთ, რა მეშველება. - გაუღიმა მოხუცმა და საპირფარეშოში შევიდა.

ეს იყო პირველი შემთხვევა, რამაც ბესარიონი ძალიან დააფიქრა. იმ ღამეს თავის ცოლთან ანყობდა გეგმებს. ფიქრობდა, რომ დედა სასწრაფოდ ნევროლოგთან უნდა ნაეყვანა. მაკა კი ეუბნებოდა, რომ ნევროლოგიური არაფერი სჭირდა მოხუცს და ფსიქიატრს უნდა სნეეოდნენ. ამაზე ბესარიონი გახელდა, დედაჩემი გიჟი კი არ არისო. მაკა არ დანებდა და აუხსნა, რომ აუცილებელი არაა შიზოფრენია ჰქონდეს ადამიანს ფსიქიატრს რომ ენახოსო. ბესარიონი არ ტყდებოდა მაინც, აქაოდა ჯიუტია დედაჩემი და რომ გაიგებს ფსიქიატრთან მიგვყავს, ცოცხალი თავით არ წამოგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვყვებაო. მაკამ კი გამოსავალი იპოვნა და შესთავაზა, რომ მოეტყუებინათ და დაემალათ ექიმის სპეციალობა. მაშინ ბესომ უპასუხა, რომ დებილი კი არაა დედაჩემი ასე ბრმად წამოგვყვეს ექიმთანო. მაკამ გამოსავალი იპოვნა - სახლში მოვიყვანოთ ფსიქიატრი, ვითომ ჩვენი მეგობარია რომელიმე და უბრალოდ გეესტუმრაო. ბესარიონი ცოტათი კი შეყოყმანდა, თითქოს ჭკუაში დაუჯდაო ეს იდეა, მაგრამ მერე თქვა, რომელი ექიმი მოვა სახლში ამ სპექტაკლისთვისო. მაკამ კი უთხრა, რომ ერთი მეგზურებაო, რომელიც გამოძახებებზე დადის და ასეთ სიტუაციებში მოქმედების გამოცდილებაც აქვსო. ბესარიონი დაინტერესდა ექიმის ვინაობით და გაიგო, რომ გუგა ბუთურაშვილი ჰყოლია მაკას მხედველობაში. პირველად მესმინა, აითვალწუნა ზრდილობის გულისთვის. მაკამ კი უთხრა, განა რამდენ ფსიქიატრს იცნობ, თითქოს გაგეგებოდეს ამ საქმეში რამეო. ბესარიონი ისევ გახელდა, შენ საიდანღა იცნობ ფსიქიატრს, საყვარელი იყო შენი თუ ექიმი. მაკა არ დაიბნა და უპასუხა, არც ერთი და არც მეორე, ნინოს ბაბუამ როცა გარეკა სიბერეში და მოლანდებები დაეწყო, მას დაჰყავდა სახლში და იკიდნა მახსოვსო. ისიც დასძინა, ერთხელ მეც შევეხსწარი მის კონსულტაციას და ძალიან ჭკვიანი და სანდომიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებსო. ასე შუა ხნის იქნება, თუმცა თმაშეჭაღარავებული და სათვალიანი. ცოტათი გიჟივითი კი იქცევაო შიგადაშიგ, ასე მაგალითად, შუა ლაპარაკში შეიძლება გაშტერდეს, ბლოკნოტი დაკარის ჯიბიდან და რაღაცეები მოინიშნოსო, მაგრამ ეგრე ხომ ყველა ფსიქიატრი იქცევაო. ფსიქიატრი კი არადა, ყველა ექიმი მასეაო, რასაც ჭკურნალოვინენ ის სჭირთო. ეგო როგორო, პროქტოლოგებს ბუასიელი სჭირთო? გადაიხარხარა ბესარიონმა, მაკამ კი შუბლზე აკოცა ქმარს, ეგეერი იცვალა და სანათი ჩააქრო.

იმ ღამით ბესარიონს ესიზმრა, რომ თავის აგარაკზე იყო. მდიდრულად მოეწყო ყველაფერი. ფართო ვერანდიდან ადევნებდა ბუნებას თვალ-ყურს, სიგარას ეწეოდა, ფორთოხლის ნვეხს სვამდა და უკანალს იფშანდა. უკნიდან ქალი მოეხვია, მაკა, ასე 20 წლით ახალგაზრდად გამოიყურებოდა. კაცმა ქალს ტუჩებში აკოცა, შემდეგ ისევ მოაჯიქს გადაეყრდნო და ხმამაღალი მორთო ყვირილი: „ბესარიონ ბრეგვაძე ვარ, ჩემი თავის ბატონ-პატრონი და არა მარტო ჩემი თავის, ყველამ იცოდეთ, ბესარიონ ბრეგვაძე ვარ, ჩემი თავის ბატონ-პატრონი და არა მარტო".

- დამშვიდდი ჩემო სიცოცხლე, ვიცი რომ ბესარიონ ბრეგვაძე ხარ, დაიძინე ახლა, ჩვენც დაგვაძინე. - მაკა ქმარს მოეფერა და მალევე დააშოშმინა.

2. 597 39 01 00 - გუგა ექიმი

- მიშველეეთ! სად ვარ, სად გამეელვიძა, მიშველეეთ!

ბესარიონის წინა ღამის ყვირილი მონაგონი იყო, რადგან დილის 8 საათიდან რომ მორთოდა ყვირამ, სანამ ძაღლსაც არ გაეელვიძა, მანამდე არ გაჩერებულა. ძალიან ზარმაცი და მცონარა ძაღლი ჰყავდათ, შარპეის ჯიშის. გვიან იღვიძებდა, ბევრს ჭამდა და შეუქცევადად სუქდებოდა, ბოლოს იმდენად გასუქდა, რომ ამ ჯიშისთვის დამახასიათებელი ნაოჭებიც კი გაუქრა და კანი სიფოსტე გადაეტკიცა ორი ზომით პატარა მაისურივით. იძულების წესით დასვეს დიეტაზე, რასაც თავიდან ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მერე დაჰყვა პატრონთა ნებას, რადგან ძაღლი იყო მაინც და სხვა გზა არ ჰქონდა.

- რა ხდება, დედი? აქ ვარ, ნუ გეშინია, რა მოხდა? - გულგახეთქილი ბესარიონი შევარდა ლოჯაში, რომელიც დედის საძინებელს ფუნქციას ითავსებდა. საქმე იმაში გახლდათ, რომ სანამ ამ ბინაში მმოლოდ კლარა და ბესარიონი ცხოვრობდნენ, დედას ნამდვილ საძინებელში ეძინა და ბესარიონს - ლოჯში, ტელევიზორთან. მას შემდეგ რაც ბესარიონი დაოჯახდა და მვილებიც შეეძინა, საძინებელი მათ ხვდათ წილად, ხოლო ქალმა ლოჯაში დიდო ბინა. დიდად არასდროს შეუწუხებია ამ ფაქტს. მთავარია, სითბო სულ იყო, ტელევიზორიც ჰქონდა და საპირფარეშოც ორი ფეხის ნაბიჯზე ეგულებოდა. საერთოდაც, ძალიან კეთილი და უბოროტო ქალი იყო კლარა, რის გამოც მსგავს სიტუაციებს არასდროს იხვევდა გულში და მსგავს დეტალებს არასდროს აქცევდა ყურადღებას, ყოველ შემთხვევაში, თავად ამ სიმარილისა სჯერდა. აბა ახლა საძინებლადან რომ მისი მეგობარი თინა გამოეცხალებინა შვილსა და რძალს, ნარმოგიდგენიათ რა დღეს დაანვედა? შეიძლებოდა გაზიც კი შეეშვა მიგნით და ორივე ამოეგდო. ბევრი მოხუცი იყო ასე, საკუთარ საძინებელს მიჯაჭვული. კლარას კი რა დარჩენოდა. ქმარი მაინც არ ჰყავდა ბოლო 30 წელია და სულ იმას ამბობდა, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს სად დამდებთ, ბოლოს მაინც მინაში უნდა ჩამდოთ და ახლა აბა ლოჯიაში გამიშლით თუ ზალაში, რა მნიშვნელობა აქვსო. მთავარია გარეთ არ გამაგდოთ დროზე ადრე და ყველაფერზე ყაბულს ვარ, თქვენ იყავითო ოლონდ კარგადო.

- დედა გენაცვალოს, გაგაღვიძე დედი? ბოდიში ჩემო ლამაზო ბიჭო, მაგრამ ახლა ადგომმა მინდოდა და როცა ლოგინიდან ავდექი, დავიკარგე და არ ვიცი სად უნდა წავიდე. შეგიძლია ტუალეტამდე მიმიყვანო? ძალიან მინდა და რა მექნა აბა. სულ ვიკარგები, სულ... რა ჯანდაბაა... გუშინ გახსოვს რა დამემართა? იგივე მჭირს ახლაც!

- ნამო დედი... - მხრებზე ხელი მოხვია ბესარიონმა. - მოიცა, მოიცა, რა მითხარი ახლა გუშინდელზე?

- რა და, იგივე დამემართათქო.

- კი მაგრამ, გახსოვს გუშინ რომ დაიკარგე?

- აბა? როგორ გამიმართლა რომ ახლო-მახლო აღმოჩნდი!

- ისიც გახსოვს, სად დაიკარგე?

- ტუალეტის წინ ვიდექი.

- მოიცა, მოიცა. ვერაფერი გავიგე, დე. ყველაფერი გახსოვს და მაინც გგონია რომ დაიკარგე?

- ჰო დედი, მეც ვერ გავიგე ბევრი ვერაფერი, მაგრამ რაცაა ეგაა. ახლაც დავიკარგე. რა ვქნა აბა.

ბესარიონი ჩაფიქრდა და დედა საპირფარეშოსთან მიაცილა.

- მაკა, - მას შემდეგ რაც დედა უკანვე გამოიყვანა ლოგჯში, თავის საძინებელში შეეყარა და ცოლს შეხედა მყმუნვარე სახით, - ვერაფერი გავიგე მაკა, ყველაფერი ახსოვს და არაფერი ახსოვს თან.

- ნინოს მიეწერო და გავიგო ფსიქიატრის ნომერი?

- მგონი კი. შენ როგორ ფიქრობ?

- მე დარწმუნებული ვარ, რა ფიქრი ამას უნდა. ჩვენ რამდენიც არ უნდა ვიფიქროთ, რას მივხვდებით? სპეციალისტი უნდა ამ საქმეს, სპეციალისტი! 93 წლისაა, ხუმრობა საქმე კი ნუ გგონია კაცო. მაგ ასაკში კი არა, მე მერეცა ხოლმე რაღაცეები ახლა.

- მართალი ხარ. დამიბერდა დედიკო. - ბესარიონი ლოგიზზე ჩამოჯდა და თავი ჩაქინდრა სევდიანად.

მაკა მრრებზე მიეფერა, შემდეგ მობილური ამოაძვრინა და ნინოს მისწერა მესენჯერში:

„Ro naxav, damireke~.

ნინომ მალეევე გადმოურეკა.

- რატომ გაგვიძავს ამ დილაუთენია?

- რავი აბა. რა ხდება მაკ, ხო მშვიდობა გაქვს?

- გუგა ბუთურაშვილის ნომერი მომწერე რა. შუა დღეს შეგხვდები ყავაზე და აგიხსნი რად მიხდა, ახლა დაკავებული ვარ. მშვიდობაა, არ ინერვიულო.

„Ok. Kavis saxlshi gavidet da vilaparakot. Ha nomeri - 597 39 01 00, guga eqimi".

3. ჭორაობა

- კაი სპეციალისტია ხო, გოგო? - მაკამ უშაქრო კაპუჩინო მოყლუპა და ნინოს შეხედა.

- კი, მართლა. არ გახსოვს ბაბუაჩემი რა მძიმე დღეში იყო?

- ჰოო, გოგო, როგორ არ მახსოვს.

- დადიოდი ამხელა კაცი და ყველა მკვდარი ელანდებოდა, ვისაც ვიცნობდით და არ ვიცნობდით. მერე ერთ დღეს, აუ რა სასაცილო იყო... - გულიანად გაეცინა ნინოს და თვალნინ დაუდგა რაღაც სცენა.

- მომიყვი რა!

- რა და ერთ დღესაც ეს ჩვენი გრიშა, შენ ხარ ჩემი ბატონი, გაგვეპარა სახლიდან. ჰოდა, თურმე კარის მეზობელს მიადგა და ჩამოუღო კარები. იმან რომ გაუღო, გაუკვირდა, რა ხდება გრიშა ბიძიაო. საუკუნე იყო გრიშა სახლიდან არ გაგვეყვანა და ძალიან უცნაურად მოეჩვენა ალბათ ეს სტუმრობა. რა ხდება კი არა, შენი დედაც ვატირე მეო, შე უნამუსო კაცო, დამიბრუნე ჩემი შლანგი ჩემი ეზოდან რომ გააყოლე ხელს, გგონია ვერ დაგინახეო?! ხელითაც იწევდა თურმე, ხმაურზე გამოვედით და ძლივს გამოვაცალეთ იქაურობას. აუ, რომ გენახა კობას სახე, რა დაბნეული იყო. რა შლანგი წაელო, როდის, რა არ დაებრუნებინა, ნარმოდგენა არ ჰქონდა სანყალს და გრიშა კიდევ ისეთი ზიზღით უყვიროდა, ცოტაც და დაიჯერებდა რომ მართლა მოეკარა რამე.

- აუ კაი რა, არ ვიცოდი ეგ. რა მოხდა ნეტა?

- რა და, ეს კობა თურმე აერია მის გარდაცვლილ კარის მეზობელში, რომელსაც რატომღაც აბრალებდა რაღაც შლანგის მოპარვას. რავი მე, მიდი და გაიგე. რა მნიშვნელობა აქვს ამას ახლა, თვითონ სიტუაცია იყო სასაცილო ზოგადად.

- აუ რა მოუვიდოდა წარმოიდგინე ახლა, ძალიან უცნაურია.

- ჰო. ჰოდა, იმას მოვაყოლე, რომ ასეთი კაცი მოარეულა გუგა ექიმმა, წარმოგიდგენია?

- როგორ?

- როგორ ქნა არ ვიცი ეგ, მაგრამ ფაქტია, რომ სანყალი აღარ წვალობდა ბოლოსკენ. ეს ჰალუცინაციები რა საშინელებაა რა, წარმოიდგინე მკვდრებს რომ ხედავ და ნუ კაი ჰო, ის მაინც შეღავათია რომ ცოცხლები გგონია ყველა, მაგრამ რა საშინელებაა მაინც არარსებულ ადამიანებთან რომ იწყებ ცხოვრებას, არა?

- ცუდად ვარ რაღაც, თემა შეეცვალოთ რა, ძალიან მეშინია.

- რისი? ნუ გეშინია, აგერ ნახავ კლარას როგორ მოგიწესრიგებთ გუგა ექიმი, ძალიან საყვარელია თან.

- კლარას ჯანდაბამდე გზა ჰქონია კაცო, მაინც აღარ დარჩენია ბევრი, რაც მაგან მე ამაკლაგაზრდოდა ჩამიმნარა, ახლა ბესოს გამო ვღელავ, თორემ გგონია ძალიან მაადარდებს ეგ ბებერი?

- აუ კარგი რა, ყველა დედამთილი მასეა, ნუ აბუქებ ახლა, ცოდოა.

- მოიცა რა, არ გახსოვს დასანახად რომ ვერ მიტანდა?

- ახლა ხომ აღარ ეჯავრები?

- ახლა დაჩიავდა, თორემ სან

ნა ის აციწყდება რომ თავისი საბლია, უბრალოდ ოთახიდან ოთახში ვერ გადის და შუა გზაში თავს დაკარგულად თვლის. თან ძალიან სასაცილოა, როცა ნინა დაკარგვის ეპიზოდი ახსოვს და ანალიზებს, რომ დაიკარგა თავისიივე სახლში, მაგრამ მაინც იკარგება ხელმეორედ. ამას ჯობია გრიმასაციან ბოლომდე გარეკო თუ გარეკვაა, არა?

- რავი გოგო, მართალი გითხრა თავს ყარიდებ ამ თემებზე ფიქრს. რაღაც მძაბავს ძალიან. შენ ის მითხარი ახლა სამსახურში რა ხდება?

- უჰ, კაი გამახსენე, რამდენი მაქვს მოსაყოლი...

ზუსტად ამ დროს გუგა ბუთურაშვილი უკვე სახლიდან გამოსასვლელად ემზადებოდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ფეხით მისულიყო დანიშნულების ადგილამდე, სულ ორი კეარტალი აშორებდა, სადღაც ასე ოცი წუთის სავალი გზა, ისიც აუჩქარებლად.

4. 10 ოქტომბერი

- ბატონი გუგა ბრძანდებით?

- დიახ, დიახ, გისმენთ.

- ბატონო გუგა, შვიდზე გელოდებოდით ჩვენთან.

- რომელი ხართ? - თითქოს სიზმრიდან გამოერკვო გუგა ექიმი, ადგილზე გაშეშდა და დაბნეულმა მიმოიხედა ირგვლივ.

- ბატონო გუგა, მე ბესარიონ ბრეგვაძე ვარ, ჩემი ძეულლე გესაუბრათ შუადღეზე და შეხვედრაზე შეგითანხმდათ. დედაჩემთან დაკავშირებით, თუ გახსოვთ.

- დედა, დედა... აჰმ, გამახსენდა! - გახარებულმა შესძახა. - ასაკოვანი ქალბატონი ჩივილებით დეზორიენტაციაზე, ხომ არ მემლება?

- ჰო, აი რომ იკარგება საკუთარ ბინაში...

- დიახ, დიახ, მახსოვს. უნდა შევხვედროდით ხო?

- დიახ, გადაიღო ბატონო გუგა? თუ გადაუდებელი საქმე გამოგიჩნდათ, არ არის პრობლემა, შეგვიძლია ცოტათი გადავნიოთ ან სულაც სხვა დღე ავარჩიოთ.

- არა, არა, როგორ გეკადრებათ, შეთანხმება - შეთანხმებაა. ბიდიმს გიხდით დაგვიანებისთვის, შვიდზე უნდა ვყოფილიყავი, არა?

- დიახ.

- კეთილი, აუცილებლად მოვალ, გზაში ვარ უკვე. თუ შეგიძლიათ, მისამართი გამიმეოროთ. ტელეფონში მქონდა მონიშნული და ვეძებ და ვერსად ვპოულობ ახლა.

- სერგო ზაქარიაძის მ ნომერი, მესამე სართული, შემოსასვლელი ეზოს მხრიდან, მეორე სადარბაზო.

- გამახსენდა, გამახსენდა, არ არის პრობლემა, ვიცი რომელი სახლიცაა. მაქსიმუმ ხახევარ საათში ოქვენთან ვარ. კიდევ ერთხელ ბოდიში დაგვიანებისთვის!

- როგორ გეკადრებათ, დროებით.

- დროებით.

გუგა ექიმმა ეკლესია შენიშნა. მიუახლოვდა და მისამარი ამოიკითხა: კონსტანტინე კაპანელის ქუჩა, ნოეკუბიძის მეორე მიკრორაიონი. აქედან ფეხით ჩასვლის დრო აღარ იყო უკვე და სახწრაფოდ ტაქსს დაუქნია ხელი, რადგან მოერიდა კიდევ უფრო დაგვიანების. სამ ლარად შეთანხმდნენ. გუგა ექიმი უკანა სავარძელში მოთავსდა, უბიდან ბლოკნოტი ამოაძერნინა და წერა დაიწყო:

„რა ჯანდაბა დამემართა, ისევ დავიბენი. პაციენტთან მივდიოდი გამოძახებაზე და წარმოდგება არ მაქვს როგორ აღმოვჩნდი იქ, სადაც აღმოვჩნდი. აბსოლუტურად სხვა მხარეს. თურმე რას ნიშნავს ფრაზა „ფიქრებმა გაიტაცა". მართლა გამიტაცა და რომ არა ტელეფონის ზარი, ვინ იცის სადამდე გავიდოდი.

საქმე იმაშია, რომ ამ ბოლო დროს ხშირად მეფიქრება 10 ოქტომბერზე. თან ჩვეულებრივ 10 ოქტომბერზე კი არა, არამედ 525 წლის წინანდელ-



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ზე. მართლა საოცარი სიტუაცია იყო მაშინ გემზე. არასდროს მიმგზავრია გემით, მაგრამ რამდენიმე თვის წინ რომ ამოვეკითხე სადღაც ერთი საინტერესო ფაქტი კოლუმბის მოგზაურობის შესახებ, მას მერე მეფიქრება.

მოკლედ, ესპანეთიდან 1492 წლის 3 აგვისტოს გავიდნენ კოლუმბის გემები. მოგზაურობა უსაშველოდ გაინელა. მეზღვაურებში უკმაყოფილება იმატებდა. კოლუმბი ორ ჟურნალს აწარმოებდა გემზე თურმე - ერთში აღრიცხავდა ნამდვილ მანძილს, რომელიც გამოვლილთ და მეორეში კი - ტყუილს, მასზე ნაკლებს. მეზღვაურებისთვის მხოლოდ მეორე იყო ხელმისაწვდომი. საბრალოები, ალბათ რაზე არ ფიქრობდნენ ამდენხნიანი მოგზაურობის შემდეგ როცა უყურებდნენ ჟურნალში რა მანძილი გაევლოთ. თან მიდი და ამტკიცე მერე სინამდვილეში, რომ უფრო მეტი იქნებოდა გაელილი. ასე ინტუიტიურად ვგრძნობ და უბრალოდ ასე მგონიაო, ხომ არ იტყოდნენ? არადა ბერძნობდნენ ნამდვილად, რომ რაღაც წესრიგში ვერ იყო. ამ ტყუილში როგორღაც გაუტარებიათ კვირები, მაგრამ 10 ოქტომბერს უკვე ემოციებს პიკისთვის მიუღწევია და ბუნების საძიებოებაც რეალური გამხდარა. სასონარკვეთილი მოგზაური მიმხვდარა, რომ საშველი არ იყო და შეუთავაზებია მეზღვაურებისთვის, კიდევ ორი დღეც მაცალეთ და მიწა თუ არ გამოჩნდება, მერე გავბრუნდეთ უკანო. ბედდად, 11 ოქტომბერს მიწაც გამოჩენილთ და მერე კი ვიცით ყველაფერი, მაგრამ 11 ოქტომბერი საინტერესო არ არის უკვე. მე 10 ოქტომბერი ამეკვიატა.

წარმოიდგინეთ, იქით მეზღვაურები გრძნობენ რაღაცას, აქეთ კოლუმბი გრძნობს რაღაცას და სინამდვილეში ნარმოდგენა არ აქვთ საით მიდიან და სად უნდა მივიდნენ. ნეტა რა მოხდებოდა იმ ორ დღეში მიწა რომ არ გამოჩენილიყო? უფრო უარესიც - არც მიწა გამოჩენილიყო და ვერც უკან ნასასვლელი გზა გაეკვლიათ?

ხდება ზოგჯერ, რომ სადღაც მიდიხარ, იცი რომ არც სწორად მიდიხარ და არც არასწორად და ისიც იცი, რომ მაინც უნდა იარო. ცუდია რომ 11-ში მიწა გამოჩნდა. კაცობრიობისთვის როგორ იქნებოდა არ ვიცი, მაგრამ მეზღვაურებსაც და კოლუმბსაც ბევრად საინტერესო ინდივიდუალური აღმოჩენები ელოდათ წინ, დარნმუნებული ვარ. ამერიკამ ყველაფერი გააბანალურა და ჩამალა. როგორც პრინ...”

- აქ გავაჩერეთ?

- დიახ, დიახ, აქ ჩამოვალ.

გუგა ექიმმა რკინის ფულები გაუწოდა მძღოლს, მადლობა გადაუხადა, საათზე დაიხედა და ჩავიდა. ოცი წუთი გასულიყო. ათ წუთში თუ კარზე დაკაკუნებდა, ზუსტად ჩაეტეოდა დროში.

კარი ბესარიონმა გაუღო.

5. ბავშვების თეორია

- ადვილად მოგვაგენით, ხო?

- დიახ, აქვე ვცხოვრობ, არ ვარ ბორნ, უბრალოდ გზაში შევყოვნდი, დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შემხვდა და ბევრი მელაპარაკა.

- არა უშავს. ქურთუკი მომეცით და აქეთ გამობრძანდით, - ბესარიონმა ქურთუკი გამოართვა და ყორში ჩასაწურჩული. - ვითომ თანამშრომლები ვართ, ყველაფერი რომ ბუნებრივად გამოჩნდეს, ძალიან ექვიანი და ჭკვიანი ქალია დედაჩემი, კარგით?

- კეთილი, არ არის პრობლემა, ამის მეტი რა მიკეთებია, ეს ჩემი საქმეა, არ იდარდოო. - გაუღიმა გუგა ექიმმა და ხელგაშლილი შევიდა სასტუმრო ოთახში. - ოო, კეთილი იყოს ჩემი ფეხი ბრეგვაძეებში, კეთილი იყოს!

სუფრასთან მაკა, ბესარიონი, გუგა ექიმი და კლარა ისხდნენ. ბავშვები მაკას გაეფრთხილებინა, რომ ექიმი უნდა მოსულიყო და ცხვარი არ გამოეყოთ ოთახიდან, რადგან კლარა ბებიამ არ იცოდა, რომ ეს კაცი ექიმი იყო და უმალავდნენ ამას. ბავშვები დიდად არც შეწინააღმდეგებიან, რადგან ისედაც ეჯავრებოდათ უფროსებთან სუფრაზე ჯდომა, სავალდებულო ლექსების თქმა, შეყვარებულების შესახებ მოყოლა და ა.შ. და ა.შ. მიუხედავად ამის, აღნიშნულმა კონსპირაციულმა ვითარებამ მათი ცნობიერსაფილი მაინც გააღვივა და გაცხოველებულ მსჯელობაში გაატარეს მთელი საღამო. საბოლოოდ დაასკვნეს, რომ ზოგი ადამიანი სხეულით ბერდება და ტვინით არა, როგორც ბებია კლარას შემთხვევაში იყო. შესაბამისად, ვერდაბერებული ტვინი ძალიან ნუხდა იმაზე, რომ დაბერებული სხეული ცოტა ხანში უნდა მომკვდარიყო და სხვადასხვა თამაშებს იწყებდა, რაც სხვა ადამიანებისთვის ცოტათი უცნაურიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგალითად, კლარა ბებიას შემთხვევაში, ტვინი ცდილობდა უგზოუკვლოდ დაკარგული ადამიანი ეთამაშა, რომელიც სიკვდილისკენ მიმავალ გზაზეც დაიკარგებოდა და თუ ეს ასე მოხდებოდა მართლა, არც მოკვდებოდა კარგა ხანს. ბავშვებს კი ვერსია იმდენად ლოგიკურად მოეჩვენაო, რომ ერთი სული ჭქონდათ ექიმის მოსაზრების გაგებისა, თუმცა დიდი იმედებით არ იყვნენ გამსჭვალულები, რადგან იცოდნენ რომ ექიმი რამე უცხო ტკრმინოლოგიის კორიანტელს დააყენებდა და თავდაჯერებული სახით რაღაც უცხო ნამლუს დანიშნავდა, რომელიც ბებიას ისევ იმ გზაზე შეაყენებდა, რაც ბუნებრივი და გარდაუვალი აღსასრულისკენ მიდიოდა. არადა ბავშვებს უყვარდათ ბებია და ერთგვარად გულშემატკივრობდნენ კიდევ მის ამბოხს. თავიანთი ბავშვობა ახსენდებოდათ, ბავშვები კი იყვნენ ისედაც, მაგრამ ყველა ბავშვს აქვს კიდევ უფრო ბავშვობა, ჰოდა ისინიც ისხდნენ და იხსენებდნენ იმ წუთებს, როცა გარდაუვალ გზებზე სიარულს დაუძვრნენ და მაგალითად, სკოლაში არ წავიდნენ ან ასაკრელად ვიზიტი აირიდეს თავიდან ან რა და ან რა. რამდენი რამის გამოვნებება უწევდათ ამისთვის, რამდენი მარცხი უნვნეგიათ კიდევ, მაგრამ ის სიამოვნების შეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნნება, რაც თუნდაც ერთი გარდაუვალი გზიდან გადახვევით განუცდიათ, ამ ნუთამდეც ახსოვდათ.

- ქალბატონო კლარა, შეგიძლიათ მიმასწავლოთ საპირფარეშო?

„არა ბებო, არა! არ მოტყუედე, ექიმია ეს კაცი და გამოწმეს, არა!" - კარს მიღმა იყვნენ ბავშვები ატუზულები და გულდასმით ადევნებდნენ სიტუაციას თვალ-ყურს.

- უი რა საინტერესოა, შეგიძლიათ უფრო დეტალურად მომიყვეთ? რას ბრძანებთ, ჰაჰა.

„ბებო შეჩერდი, ნუ უყვები შენი დაკარგვის ისტორიებს, გიმკურნალებს, გაჩერდი. გთხოვ!!!!"

- მოიცათ, მოიცათ, ერთი რამ ვერ გავიგე ? - ყველაფერი გახსოვთ? ანუ გახსოვთ რომ იკარგებით? პარადოქსიეთია, არა?

„ბებო, ინყეს უკვე უცხო სიტყვების რახარუხს! მგონი მოგწონს, მგონი შენი ნდობა მოიპოვა ბებო, რა გჭირს, არ გატყდე!"

- იცით, ასეთი შემთხვევის შესახებ არასდროს მსმენია. ძალიან, ძალიან უცნაური რამაა. ერთი მეკობარი მყავს, იშვიათი ნეიროსენსორული აბსტრაქციების კოლექციონერია და ნება მიბოძეთ მოვუყვე თქვენი შემთხვევა. მასაც თუ ნანახი არ ექნა, მართლაც უნიკალური იქნება! ხოლო თუ ნანახი ექნა, იქნება და დაგვეხმაროს რამით. დისკომფორტს გრძნობთ, არა? განუხებთ ხო ეს სიტუაცია? ისე კი არ იფიქროთ, თითქოს ძალიან ვცდილობდე თქვენს დახმარებას.

„აუ ბე, ძაან აფერისტია ეს კაცი, ძალიან!"

- კეთილი, მაშ ასე მოვილაპარაკოთ. მე დღეს საღამოსეე დაველაპარაკები ჩემს მეგობარს და ხვალ დაგირეკავთ და გადმოგიცემთ რას მეტყვის. თუ დაინტერესდებით, მერე შემიძლია შეგახვევროთ კიდეც. როგორ? აჰ, ეგ მეც არ ვიცი რას ნიმნაგს. ჰაჰა, იშვიათი ნეიროსენსორული აბსტრაქციების კოლექციონერია და დაე მივანდოთ ეს რაღაცა მასვე, ნუ ჩავეძიებით, აბა ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, არა? მთავარია, რომ ძალიან კარგი ადამიანია, გულკეთილი და სხვისი ჭირის და სხვისი სიკეთის ბოლომდე გამშიაარებელი.

„ბებია უნდა გადავვარჩინოთ, სხვა გზა არაა!"

დაასკვნეს ბავშვებმა, რომლებიც იყვნენ რვა წლისები და რომლებსაც იმ ღამით არ ეძინიათ. აი ბესარიონს კი ეძინა და ისევ ის აგარაკი ესიზმრა. ამჯერად საძინებელში იყო. აბრეშუმის ხალათი ეცვა, სარკეში იყურებოდა და სიგარას ეწეოდა. ხან ერთ გვერდს მიუშვერდა სარკეს და ხანაც - მეორეს. „ჰმ, ბესარიონ ბრეგვაძემ ყველაფერს მიაღწია და შედგა, ბესარიონ ბრეგვაძემ იპოვა თავისი თავი და ანი დუნე ცხოვრებით ტკბობაღა დარჩენია", ჩურჩულებდა თავისთვის.

6. იშვიათი ნეიროსენსორულ აბსტრაქციათა კოლექციონერი

გუგა ექიმი ფიქრობდა რომელი წამალი დაენიშნა პაციენტ კანდელაკისთვის. შემთხვევა მარცლაც უცნაური და რთული ეჩვენა. ქალი მხოლოდ დეზორიენტაციას უჩიოდა, თუმცა ეს დეზორიენტაციაც უცნაურად იყო გამოვლენილი. ისეთი შთაბეჭდილება შეექმნებოდა ადამიანს, თითქოს რაღაცას თამაშობს და იტყუება ყურადღების მისაქცევადო. აბა როგორ იყო შესაძლებელი ზუსტად გხსომებოდა რომ გუშინ ტუალეტის საძებრად წასული დაიკარგე და ტუალეტის წინ აღმოგაჩინეს აყვირებული? ანუ პაციენტი აანალიზებდა, რომ საკუთარ სახლში იყო და ამ სახლში საპირფარეშოც არსებობდა. ცოტა უფრო ფართო სპეკტრის დეზორიენტაცია რომ აქონოდა და სიტყვაზე, დავიწყნოდა რომ სახლშია, ეგ კიდევ ჰო. მოკლედ, გუგა ექიმი აშკარად ვერ ერკვეოდა წესიერად საქმის არსში და ასე გაურკვეველად კი ნამლის დანიშვნა არ შეიძლებოდა.

ცოტა ხანი აივანზე გასვლა გადაწყვიტა. სიგარეტს მოუკიდა და ინატრა, ნეტა მართალი ჰყოლოდა იშვიათი ნეიროსენსორული აბსტრაქციების კოლექციონერი მეგობარი. მაგრამ კი მოაფიქრდა ეს რაღაცა, სუფთა იმპროვიზაცია იყო, ასეთი სიტყვათშეთანხმება არასდროს გამოუყენებია აქამდე. ნეტა თუ არსებობდა ვინმე მარცლა? რომ არსებულიყო, აუცილებლად დაუშეგობრდებოდა და კლარას შემთხვევას მოუყვებოდა კოლექციისთვის. ის კი გულდასმით მოუსმენდა და ეტყოდა:

- გუგა, რთული შემთხვევაა, მსგავსი არასდროს მინახავს.

- ვა, მართლა? ათასობით უიშვიათესი ქეისი გაქვს აღწერილი და შენახული შენს ჟურნალში და ასეთი არ არის არც ერთი, დავიჯერო?

- იცი რა, ბევრი ვიფიქრე და არა, ასეთი არ არის. ერთი კითხვა მაქვს - ცალი მხოლოდ საპირფარეშოში გასვლის დროს იკარგება?

- არ დამიზუსტებია. რა მნიშვნელობა აქვს?

- გადამწყვეტი. საპირფარეშო არის ერთადერთი ადგილი ჩვენს ბინაში, რომელიც გვახსენებს ბუნებრივ საჭიროებებს და პირიქით - ბუნებრივი საჭიროებები გვახსენებენ ამ ადგილს, თუმცა ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს. არსებობს რაღაც, რაც გარდაუვალია.

- საინტერესოდ მსჯელობ. რა არის გარდაუვალი?

- ბევრი რამე, მაგრამ ეს ორი გამოვყოთ ახლა

- მოფსმა და სიკვდილი.

- ძილი?

- ძილი სასიამოვნოცაა, დასვენებაა, რელაქსაცია. თან როგორ გითხრა ახლა, ძილით სადაც გინდა იქ დაიძინებ, გინდა შენს საძინებელში და გინდაც იატაკზე. აი მოფსმისთვის კი მხოლოდ საპირფარეშო უნდა გამოიყენო. რაღაცნაირი ძლიერი აგდილია, სრულ დომინაციას ამყარებს ადამიანებზე და ახსენებს მათ, რომ არსებობს რაღაც, რაც გარდაუვალია. ადამიანებს კი ასოციაციური მეხსიერება გვაქვს და ხშირად ერთი რამის გახსენებას, სხვა ბევრი რამის გახსენებაც მოჰყვება, ამ შემთხვევაში კი იმისი, რომ არსებობს მეორე რა-

ᲕᲘᲠᲝᲚᲐ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ლაცაც, რაც ასევე გარდაუვალია.

- სიკვდილი!

- გამარჯობა მეგობარო, სიკვდილი.

- ქალი 93 წლისაა.

- კიდევ ერთხელ გამარჯობა, მეგობარო.

- და ძალიან ჭკვიანი და საღ გონებაზე მყოფია. მთელი არსებით, გულითა და გონებით ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ...

- უნდდა მოკვდეს! და აი ისიც, მისი გონება იწყებს მოქმედებას მის გადასარჩენად.

- და ავიწყებს მას ადგილს, რომელიც ასოცირებულია სიკვდილთან, როგორც მეორე გარდაუვალ რამესთან.

- სწორია. და იცი რა არის ამ მდგომარეობის პროგნოზი, რომელსაც წარმოდგენა არ მაქვს რა ჰქვია?

- არ ვიცი.

- მალე აუცილებლად დაინყებს ჩაფსმას.

- მართალია!

- ჩაფსმას კი იცი რა მოჰყვება?

- არ ვიცი.

- ჩართავს უკუეკოლუციის მექანიზმს მის ტვინში, რომელიც ყველას გვაქვს, მაგრამ გამორთულ მდგომარეობაში. სიკვდილისაგან თავის დაღნევის მიზნით, ქალი დაინყებს უკუუანვითარებას. მის უკან კი ნაკლები ასაკი და სულაც - ბავშვობა დგას. ამას ნელ-ნელა მოჰყვება კოგნიტური ფუნქციების გაუარესება და ეს ჩვენი ჭკვიანი და საღ გონებაზე მყოფი ქალი აღარ იქნება ჭკვიანი და საღ გონებაზე მყოფი.

- დეპრესონალიზაცია, დეზორიენტაცია დროსა და სივრცეში, მოკლედ მთელი ბუკეტი!

- კი და კიდევ უფრო ტრაგიკული რა არის იცი ამ შემთხვევაში?

- რა?

- არ ვიცი როგორ უნდა მართო ეს მდგომარეობა.

გუგა ექიმი რეალობაში დაბრუნდა დროებით. მიხვდა რომ სწორ გზაზე იდგა ახალშეძენილი ნარმოსახვითი მეგობრის ნყალობით და იმასაც მიხვდა, რომ ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა გადასადგამი, მხოლოდ ერთი. ის დრო იყო, როცა ინტუიციას უნდა მინდობოდა. ინტუიციამ კი უთხრა, რომ პაასუხს გემზე იპოვნიდა, 10 ოქტომბერს, ატლანტიკის ოკეანეში.

7. ნამდვილი აღმოჩენა

ნყალი მშვიდი იყო. გემბანზეც უჩვეულო სიმშვიდე ჩამონოლიილიყო, თუმცა ყველა გრძნობდა, რომ წუთი-წუთზე რაღაც უნდა მომხდარიყო.

- კაპიტანო, მგონი ბუნტი მზადდება. - კოლუმბს ასისტენტმა უჩურჩულა. ძალიან ნერვიულობდა ეს ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც პირველად იყო ამხელა მოგზაურობაში.

- საიდან იცი?

- ლაპარაკს მოვკარი ყური. მგონი, გონსალო ფრანკო და ჯაკომელ რიკო ხლართავენ რაღაცას. ეგენი უნდა იყვნენ მეთაურები ალბათ. ასე ამბობდნენ, ყელშია უკვე ეს უთავბოლო ხეტიალი, შეპყრობილია კაპიტანი და ამ თავის აკვიატებებს გადაგვაყოლებსო. დრო ხმა ამოვიღოოთ.

- სხვები მხარს უჭერენ?

- ასე მგონია - კი.

- რაზე დაყრდნობით?

- ყველა ეთანხმებოდა. ცოლები გვეხატრებაო. არ გვინდა აქ სიკვდილიო.

- ჰმ, როცა მეზღვაური ცოლზე და სიკვდილზე იწყებს ფიქრს, ვერ არის კარგი ნიშანი კაპიტნისათვის. ყველანი ფერრიბე ქვემოთ, სანამ იმოქმედებენ უნდა დავასწროთ.

- რას იზამთ, კაპიტანო?

- შეკრიბეთქო.

მალე მოიყარა თავი მთელმა ეკიპაჟმა. მოუთმენლად ელოდნენ კაპიტანს, რომელიც მცირე დაგვიანებით წარსდგა მათ წინაშე.

- 2 დღე, მეგობრებო. - მოკლედ თქვა კოლუმბმა.

- რა ორი დღე? - დაიღრიალა ვიღაცამ ბრბოდან.

- დღეს არის 10 ოქტომბერი. თუ რრ დღეში მიწა არ გამოჩნდება, უკან ავიღებთ გეზს - ჩვენი ცოლებისკენ. კაპიტნის პირობა არ დაირღვევა.

- ეს ორი დღე რაღას უნდა ველოდოთ?

- 2 თვეზე მეტია ველითთ და ორი დღე მე მაწუქეთ, რა მოხდა. გული მიგრძნობს, რომ რაღაც დიდთან ვართ ახლოს.

მეზღვაურებმა გადაწყვიტეს ორი დღის ჩუქება კაპიტნისათვის და დაწყნარდნენ.

11 ოქტომბერს ისევ ნყალი იყო ირგვლივ.

12 ოქტომბერსაც.

13-ში კი გეზი აიღეს უკან.

ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა კაპიტნის გარდა, რომელმაც ზუსტად იცოდა, რომ უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობდა. გემებს კი უცვალეს გეზი, მაგრამ როგორ უნდა გაეგნოთ მარშუტი ესპანეთამდე, ნარმოდგენა არაგის პქონდა, რადგან ისედაც დაკარგულები იყვნენ და ახლა უფრო დაიკარგნენ. კოლუმბი მიხვდა, რომ ბრიყვი და მოუთმენელი მეზღვაურები ნყალში უთავბოლო ცურვისთვის იყვნენ განწირულები, თუმცა აბა ამას რა მნიშვნელობა აქვს - მთავარია ეგონათ, რომ სახლში მიდიიოდნენ, ერთგულ ცოლებთან თბილ ლოგინებში.

კოლუმბი ერთ რამესაც მიხვდა - სახლში რომ დაბრუნებულიყო, აუცილებლად მოკვდებოდა, რადგან განაგრძობდა დაბერებას და როგორც მოხუცთა ხვედრია, ცოტა ხანში მიწაშიც ჩაწვებოდა. ნყალში კი ეს არ ეწერა ან ენერა, მაგრამ სულ სხვა დროს, ვიდრე მიწაზე უნდა მომხდარიყო. კაპიტანი დაფიქრდა, რომ ყველა ადამიანს თავისი სიკვდილი აქვს. სიკვდილი სწავლობს ადამიანის ცხოვრების მიმდინარეობას, იჭერს კანონზომერებას და უსაფრდება იქ, სადაც გარდაუვალია და ლოგიკური. ძალიან დაიბნეოდა კოლუმბის სიკვდილი, როცა ერთ მშვენიერ დღესაც აღმოაჩენდა, რომ

მისი საკბილო იქ არ იყო, სადაც ელოდა. განა რა, განა არ იცოდა რომ ამით უკვდავი ვერ გახდებოდა, მაგრამ... ვინ იცის, იქნება და...

ოკეანე იყო მშვიდი და ღურჯი. მეზღვაურები იყვნენ მშვიდები და გარუჯულები. გემი იყო ხის. ეს ყველაფერი კი კოლუმბს ეკუთვნოდა, რომელიც სარკის წინ იდგა და იმეორებდა: „მე კაპიტანი ვარ, ეს ყველაფერი მე მეკუთვნის, მე დავიკარგე და აღმოვაჩინე ჩემი თავი".

8. წამალი, რომელიც არაფერს კურნავს

- გამარჯობა პატარა, მე გუგა ვარ, ორი დღის წინ ვიყავი თქვენთან სტუმრად, მამას მეგობარი. სახლში არიან უფროსები?

- მე ლიზიკო ვარ, გუგა ექიმო, აქ არ დარეკოთ, ბებია კარგადაა და არ უნდა არაფერი.

- საიდან იცი რომ ექიმი ვარ?

- დედამ გვითხრა ყველაფერი.

- რატომ აღარ დაურეკო? მამას შევპირდი რომ დავურეკავდი და...

- და ბებიას წამლებს დაუნიშნავდი, არა?

- არ გინდა ბებიას ეუმკურნალოთ?

- არა!

- რატომ?

- იმიტომ!

- კი მაგრამ, რატომ ლიზიკო? უნდა ვუშველოთ ბებიას.

- მოკლავთ მკურნალობით! არ მინდა რომ უმკურნალოთ!

- საიდან მოიტანე? კარგი წამალი უნდა დავუნიშნო, არ მოკლავს.

- არ გვინდა მე და ნიკუშას და მორჩა, არ მოგცემთ საშუალებას რომ ბებიას უმკურნალოთ.

- ლიზიკო, მისმინე, თუ არ მეტყვი რატომ არ გინდა რომ ბებიას ვუმკურნალო, მაშინ მოვალ თქვენთან და პირადად შევხვდები მამას, რა პრობლემაა.

- (პაუზა) (ჩურჩული - „უთხარი, უთხარი").

- მითხარი ლიზიკო, ყველაფერს გავიგებ.

ლიზიკომ ყველაფერი მოუყვა სიკვდილთან ამბოხებული კლარა ბებიის შესახებ. გუგა ექიმი ყურადღებით უსმენდა. ბოლოს კი უთხრა:

- იცი რა ლიზიკო, ყველაფერში გეთანხმები. მეც მასე ვფიქრობდი.

- ეეე... ეგ როგორ?

- როგორ და ზუსტად ისე, როგორც შენ მომიყევი.

- მაშინ წამალს რატომ უნიშნავ?

- მაინტერესებს დალევს თუ არა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ თუ დალევს, ე.ი. დაბმარებას ითხოვს და სხვა რამეშია საქმე. თუ არ დალევს, ე.ი. სწორად ვხვდებით მე და შენ ყველაფერს და უნდა შევეშვათ. თან უფრო მეტსაც გეტყვი, ეს წამალი სინამდვილეში წამალი სულაც არაა, უწყინარი აბია, რომელიც არაფრის სამკურნალოდ არ გამოიყენება. უბრალოდ, იმის შემოწმება მინდა დალევს თუ არა.

- რომ დალიოს?

- მაშინ კიდევ ვიფიქრებ და რამე მართლა წამალს დავუნიშნავ.

- არა, არა, რომ შეეშინდეს ან ხათრით რომ დალიოს?

- როცა ავუხსნი და ვეტყვი, რომ სერიოზული წამალია და ამის დალევის შემდეგ არასდროს დაიკარგება, ხათრით აღარ დალევს.

- და თუ დალევს?

- მაშინ ე.ი. შეელას ითხოვს ჩვენგან, ცოდო არაა? ასე ხომ არ მივატოვებთ?

- (პაუზა) (ჩურჩული - „მართალია, მართალია, სწორია").

- ლიზიკო, ახლა ჭკვიანი გოგო იყავი და დაუძახე მამას.

- კარგი. (ყვირილი - „მაააა, მოდი გუგა პიძიაა ტელეფონზეეეე").

- გამარჯობა ბატონო ბესარიონ.

- ოჰ, გამარჯობა ბატონო გუგა. როგორ ველოდი თქვენს ზარს. აბა, რა მოიფიქრეთ?

- მეორე ვიზიტი მჭირდება თქვენთან. მაქვს გეგმა, ოღონდ პაციენტს პირადად უნდა ავუხსნა, ასე ტელეფონზე არ გამოვა.

- დღეს საღამოს მოახერხებთ?

- აუცილებლად.

გუგა ბუთურაშვილს ხელში ეჭირა 5 ტაბლეტი, რომელზეც არ იყო მარკირების არანაირი ნიშანი და კლარა კანდელაკს უხსნიდა ამ ექსპერიმენტული ტაბლეტების ნარმომავლობას, იშვიათ ნეიროსენსორულ აბსტრაქციათა კოლექციონერთან დიალოგის შედეგად რომ მოეპოვებინა. თურმე არ ყოფილა კლარა კანდელაკის შემთხვევა ისეთი იშვიათი, როგორიც ეგონათ და თურმე ამ მდგომარეობის სამართავად პრეპარატიც არსებული, ოღონდ ჯერ კიდევ ცვლევის სტადიაზე მყოფი. უსაფრთხოების ეტაპი წარმატებით ჰქონია პრეპარატს გავლილი და საწყისი მონაცემებით, კარგ შედეგებსაც აჩვენებდა თურმე. კლარა ზრდილობიანად უსმენდა და არ ანყვეტინებდა.

- ყოველ დილით, კვებიდან 15 წუთში ერთი ტაბლეტი. საკვები არ იყოს ძალიან ცხიმიანი, ქალბატონო კლარა. ეს გადმომცა მეგობარმა.

9. უგზო-უკვლოდ დაკარგული

- მიშვ ელეეეეთ! ღმერთო რა სირცხვილია, ბეესოოოო! მოდი ბესო დროზეეეე!

ბესარიონი შუა ძილში იყო. აგარაკზე ისვენებდა. ამჯერად გრეიფრუტის წვენს გეახლებოდათ, ყალიონს ენეოდა და ეზოში სეირნობდა.

„ბაბუ, როგორ გამახარე, აქ რა გინდა? რას აკეთებ?"

ჯემალი ბაბუა ეზოს კუთხეში მიწას ჩიჩქნიდა. ხმა არ გაეცია შვილიშვილისთვის.

„მოხმარება ხომ არ გინდა, ბაბუ?"

ბესარიონი მიუახლოვდა, ჩაიმუხლა და მიწის

ჩიჩქვნას შეუდგა ბაბუის მხარდამხარ. ბაბუა არ ელაპარაკებოდა. ზედაც არ უყურებდა. ჯანდაბა, სულ დავიივარე, ფიქრობდა ბესარიონი და მუშაობას არ წყვეტდა. მთელი დღე იმუშავეს, სანამ კარგა მოზრდილი ორმო არ ამოთხარეს. ბაბუა ფეხზე დადგა და პერანგი გაიხადა.

„რას აკეთებ, ბაბუ?"

ჯემალი ბაბუამ შარვალიც ჩაიხადა. შემდეგ შემცივნებულმა ხელები მხრებზე მოისვა და წინდებისა და ტრუსის ამარა ორმოში ჩაძვრა. პირველად შეხედა შვილიშვილს სახეში.

„მომაყარე დრობზე, რას მიდგახარ უსაქმოდ, ვერ ხედავ, ვიყინები?"

ბესარიონმა ორმოს გუერდზე დაგროვილი მინის გორაკიდან მუჭა-მუჭა დაინყო მიწის მიყრა. ნელ-ნელა იესებოდა ორმო. ჯემალი ბაბუა კანკალმა აიტანა. ბესარიონს ტირილი აუტყდა, თუმცა არ გაჩერებულა.

„შვილიშვილები მარხავენ ბაბუებს, ყველაფერი ლოგიკურია, მე ბესარიონ ბრეგვაძე ვარ და ყველაფერი ლოგიკურია, შვილიშვილები მარხავენ ბაბუებს და ყველაფერ..."

- მიშველეეეეეთ! ბესოოო!

- ვაიმე, რა ხდება, დედა! - წამოხდა ოფლში გაბვიფქული ბესარიონი და ლოჯისკენ გაიქცა.

- ბესო, რა ხდება? - გამოიღვიძა მაკამაც, თუმცა ქმარი უკვე ოთახში აღარ იყო. ფეხები ფაჩუჩებში გაუყარა და ლოჯისკენ გაქანდა.

- ჩემო პატარა დედიკო, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, ნუ გეშინია, არაფერი ცუდი არ მომხდარა.

ლოჯში შესულ მაკას ეს სცენა დახვდა - ბესარიონი დედას ეხვეოდა, ლოგინის კიდეზე ისხდნენ. ქალს საბანი ჰქონდა მოხვეული. ზეწარზე დიდი ყვითელი ლაქა ისახებოდა.

- გამოვცვალი, არა უშავს. - მაკა დაფაცურდა და ახალი ზეწარის მოსატანად გავიდა.

- დედი, წამალს რატომ არ სვამ, ხომ გითხარი უნდა დალიოთქო, ასეთი რამე არ მოგივიდოდა.

- არ მინდა, არ მინდა, არ მინდა, ბესოოო...

- ჩემი ნათრიო დედი, მოდი ვჭამოთ ახლა რამე და მერე დალიე, არაფერი მოგივა, პირიქით, ყველაფერი მოგვარდება, არაფერი დაგემართება.

- ძუძუ მინდა. - თქვა ქალმა, სანოლზე მინვა, ებმრიონის პოზა მიიღო და ცერა თითის წოვას მოჰყვა.

„იეს! ყოჩაღ ბე!" - ბაუშეებმა ყველაფერი გაიგეს და გაბარებულები ერთმანეთს ჩაეხუტნენ.

მაკა ზეწარს ცვლიდა და გულში ეღიმებოდა ამ სიტუაციაზე. სამართალმა პური ჭამაო, ფიქრობდა. ეს ბილნი და ამაზრზენი ქალი ზუსტად ისე კვდება, როგორც ბილწი და ამაზრზენი ქალები უნდა მოკედნენო. ვერ პატიობდა წლების წინ, ჯერ კიდევ ახალი რძალი რომ იყო, ყველაფერს რომ უნუნებდა - ტან-ფეხიდან დაწყებული, ტანისამოსით დამთავრებული. მერე რა, რომ ეს ყველაფერი ნლების წინ მომხდარა და დროთა განმავლობაში კლარაც მორბილებულა, მაკას მაინც მწარედ ახსოვდა ის პერიოდი.

ბესარიონი თავზარდაცემული იყო. ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც არ უნდა მომხდარიყო. საკუთარი დედა საკუთარ შვილად ქცეოდა და არ იცოდა რა მოეხერხებინა მისთვის. ის, ბესარიონ ბრეგვაძე, ცხოვრების გზაზე შემდგარი წესიერი ადამიანი ასეთ მუთანათურ მოულოდნელობას არ იმსახურებდა. ხომ შეიძლებოდა დედა უბრალოდ ამდგარიყო და მომკედარიყო, როგორც ეს მისი მეგობრის, გურამ რობაქიძის დედამ გააკეთა, მაგალითად?

მას შემდეგ კიდევ 10 ნელიწადი იცოცხლა კლარა კანდელაკმა, სრულიად უუნარომ და ჩვილი ბავშვის მდგომარეობაში მყოფმა გაატარა დარჩენილი წლები. 103 ნლისა გარდაიცვალა - თევზის ფხით დაიხრჩო, ხარება დღეს.



რამაზ გიგაური

არჩევნები

„შეგინახავენ სამი და აცალესოთ ხმალი."
ლოზუნგი საარჩევნო პლაკატიდან

„ოპტიმისტ კაცს დედა მოუტ**ეს
და ნეტავ ბიჭი გაჩნდესო."
კახური ანდაზა

სოფლის გამგებელს კოჭლამაზაანთ გოგიას გამგეობის წინ თავისი ნათესავები, მეზობლები და მოკეთეები შეეყარა და მოძღვრავდა:

- ყველაა უოხარით, თავი დედისა არა ჭამონ და ხმა ენანაგ ბიჭ ზაურაგ არ მისცენ, თორენა ვერ გადამირჩებით. სუ კაპიკ-კაპიკ გადაგახდევინებთ რაც თქვენთვი ძატივი მიცია. აბა, სოციალურიო, აბა, მინდვრიდან ბალახი და ხორბლი ზიდვაო, აბა, პრემიებიო. კარგია არა?! - გამგებელმა აქ ხმას ერთი ტონით აუწია: - ზაურა არ მაიყვანთოთ, თორე შაბლაყუყუფი მოგვცემს ყველასა და სოფლიდან გასაქცევად გაგვიხდება საქმე. გაიგეთ თქვენა?

ამას თქმა აღარ უნდოდა. ყველას კარგად ესმოდა საქმის არსი - თმაშეღებილი და გალესტუკიანი გაქალაქებული ზაურა სოფელში ჩამოსულიყო, კარდაკარ დადიოდა და ხმების აგროვებდა. თანაც რისთვის? რაიონის დეპუტატობაზე კენჭის ყრას აპირებს თურმე. ბიჭს პარლამენტში მონდომებია შესვლა.

სოფელ-სოფელ დადის და თან არასამთავრობო თუ რაღაც ჭირი და სიკეთილი დასდევს - ვილაც გოგო-ბიჭები ფოტოაპარატებით და ვიდეოკამერებით ისე დაჰყვებიან როგორც მსოფლიო ჩემპიონს. არიგებენ ფერად-ფერად გაზეთებს, სადაც ყველა გაურდზე ზაურაა გამოჭიმული. ვისთან აღარ არის გადაღებული - მსახიობებთან, მოქცდაველებთან, პარლამენტარებთან და მღვდლებთანაც კი. იქ ანთებული სანთელი უჭირავს, აქ ყანწი. იქ ბავშვებს ეფერება, აქ რომელიღაც საპენსიოს სახლში მოხუცებთან ერთად წვნიანს ხვრეპს. აფერისტი ეგა! თან თურმე იმუქრება, „ქალაქიდან მხარს მიჭერენ. ჩემი ამბავი გადანყვეტილია. არავის არაფერი შეგეშალოთ, თორემ დეპუტატი რომ გავხდები, ქვას ქვაზე არ დავტოვებ, ყველა მოეხსნი და ყველა უკანონო საქმეს სამართლდაცვაებს გადავცემო".

ამას ცუდი სუნი უდიოდა. სნორედ ამიტომ იყო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რომ გოგიას ბრაზისგან ყელზე ძარღვები ებერებოდა:

- რაიონის გამგებელმა სუ კეთილები მაგინა, აქამდე როგორ ვერ სცვლეთ, თქვენი სოფლიდან მაინც არ იყოსო? ამხელა კაცმა დაიუწყო ჭიდაობა? ნახეთარ სოფელ რითვინ გაჭმეენთ ᲨᲣრსა, რითვინა, ი ჩემი გადაწყვეტილი ვერ გიცემიათ?

გაცეცხლებულმა გოგიამ ხალხს გადახედა. ყველა გარინდებულიყო, ზოგი გამგებელს თვალს ვერ უსწორებდა და მინასკენ ჩასცქეროდა. გოგია მიხვდა, რომ ხალხს ავად თუ კარგად გააგებინა სათქმელი და გამგეობისკენ იბრუნა პირი. თან თავის ძმიშვილსა და სოფლის ჭიდაობის მასწავლებელს „ჯული" გოდერძას თავი ცერად გადაუქნია, „თან გამომყეო".

კაბინეტში შესულისთანავე ფიცხლავ მოტრიალდა და გოდერძას ლამის ხელუკუღმა გასცხო ყბაში:

- შენ რაღამ დაგადედლა, მაგითვინ ვეხვენე რაიონში შენი ხელფასი მომატებაზე? ეგ არის შენი სანაქებო კისრული და მოგვერდი? ფეხებზე მკიდია, ან ორ დღეში შენ და შენი ძმაკაცები სადმე მაიგდეთ კარგა-მაგრა მიიეყავთ ან არა და შენ ადგილზე იგე მუტრუკა ჯუმალაჲ დაგნიშნავ. მერე არ გეწყინოო! ვილუპებით შვილო. მე თუ ცეხეში გამიშვეი, მამაშენსაც გვერდით მამისკენაც. ძაუშვი მაგ გოგრაში!

„ჯული" გოდერძამ თქმა არც დააცალა ბიძასს:

- როდი მითხარი ძიავ და დაგე'ხარე. დედაჲ ვუტირებთ მაგასა! შენ მარტო ის მითხარ, საღამოდ სად არი ხოლმე და მერე მე ვიცი. იგრე გადაუარო როგორც „გრეიდერმა".

- აბა შენ იცი შვილო, აბა შენ იცი, - აქ გოგია ცოტა დაბტაბა: - ი შენი ძმაკაცებიც დაიხმარე. ცემის დროს სახეები არ დაანახოთ. თავზე ქუდები ჩამაიფხაკეთ. დანა არ იხმაროთ და თვალები არ დაულურჯოთ. დანარჩენზე მწვანე გაქვთ ანთებული. მაგ საქმითვინ ორი დღე მამიცია. მაზეგ უკვე არჩევნებია. ვარჯიშზე შენი ბალღებიც გაიფრთხილე, მამეტ უთხრან, ეგრე თქვა გოდერძამ მასწავლებელმა, რომელი მშობელიც ზაურაჲ მიცემს, ჭიდაობიდან გავადგებ-თქო. ეგე, შიბლიანელ კოლაჲ ბიჭ მიცენ. მერე რა რო შიბლიანელია. რაიონში იგრე მითხრეი და გადაწყვეტილია. გოდერძო, ე ზაურა მიცემე და შემოდგომით ტონანახეკარ ყურანი ჩაბარებაჲ გაგიფორმეს. რაიონსი ეეტყვი გამგებელ და იქითა წელ ერთი-ორჯელა საზღვარგარეთაც გაგიშვებენ. ერთ ნასვეა ზე თურმე ხუთასი დოლარი რჩება.

* * *

გოდერძას ამ საქმისთვის ორი დღე შეიძლება არ პყოფნოდა, მაგრამ სხვა გზა აღარ იყო დარჩენილი. ბიძამისი რომც არ დაეჭირათ და მხოლოდ მოეხსნათ, უკან მთელი გამგეობა უნდა გაპყოლოდა, რადგან ყველა გოგიას ნათესავი და ახლობელი იყო. თვითონნაც ჭიდაობის მასწავლებლობიდან ამოჰკრავდნენ კუკუს და სულ ბავად წავიდოდა საქმე. ძია გოგია ჭკვიანი კაცი იყო და რახან თქვა, ცემეთო, უნდა იცემათ.

საუწროფოდ „კლუჩა" დათუა უნდა ენახა, თავისი მეჯვარე კაკო და გუდლაყაანთ მიძა. ეგენი იყვნენ მისი ძმაკაცებიც და მუშტის კარგად მომქნევებიც. არა, იმ ნიტიან ზაურას თვითონაც ეყოფოდა, მაგრამ ოთხი კაცი მაინც იმედი იყო. დედას უტირებს, დედასა! ორჯერ ხუთასი უკვე ეთანსია. თან თუ სიზლეარგარეთ წავიდოდა, კუდს სულ ყაკარზე გასდებდა. და ამ ყველაფერს მხოლოდ ზაურას ცემა აშორებდა - თმაშეღებილი და გალსტუკიანი გაქალაქებული ზაურანი.

„იგრე მიგძახეეავ, როგორც დაგიბარებია", იმუქრებოდა გულში გოდერძა და თავის „ეილიხს" „კლუჩა" დათუას სახლისკენ მიაქროლებდა.

- ჰაი კლუჩა, ბეჯო კლუჩა, - „ჯული" გოდერძას „ეილიხიდან" ერთი ფეი გადმოეყო და „კლუჩა" დათუას ჭიშკართან მთელი ძალით ღრიალებდა. მის ღრიალზე ტუალეტიდან დათუას შეშინებული ბავშვი ნახევრადჩაწყვეტილი გამოვარდა და სახლისკენ ატირებული გაიქცა. სათონეში ქალებმა კივილი დაიწყეს. ბავშვის ტირილზე და ქალების კივილზე დათუა მარნიდან დედის გინებითა და ძველი უნაგიანი ხანჯლის ტრიალით გამოვარდა.

გოდერძა გაშტერდა. დათუამ კი ჭიშკარი გამოეკიდა და „ეილიხზე" შემომდგარ გოდერძას შეეჩეხა:

- ვინ იყო გოდერძ, დედაჲ ვუტირებ, ვინ გადმოხტა ეზოში, ვინ შამიშინა ბალლი?

- შენხა ბიჯო ხო არ გინუოლებს? რა ვინ გადმოხტა. დაგიიახე და ბალლი ტაკიეტში მჯდარიყო და შეეშინდა, ბალლის ტირილზე კიდენაც ქალებმა დაიწყეს კივილი.

„კლუჩა" დათუა სახლში გინებით შებრუნდა და ბავშვს თავში ნაშოარტყა, „შენი კუანა დედა კი ვაგირე, შენო".

„კლუჩას" გოდერძა უკან მიპყვა და ორივე მარანში შელაგდნენ. დათუა ქვევრს რეცხავდა. კაკო და გუდლაყაანთ მიძაც ეხმარებოდნენ. თან იქვე ძველი „ბორკის" თავზე სუფრა გაეშალათ - მწნილზე, დამშვრვეულ კაკალზე და გუდის ყველზე შარშანდელ ღვინოს სვამდნენ.

- თქვენ გენაცვალეთ, სამივეჲ გეძეზდით და როგორ დაქუჩებულხართ, თქვენი დამქუჩებლი დედაჲ...

- ჰა-ჰა-ჰააა, - ამოიყვარა ქვევრიდან გამწარებულა კაკომ და ქვევრის კედლებს ცოცხი უფრო ძლიერად გაუსვა.

- ჯერ არაფერი დაგილევია და უკვე გინებაზე გადახვედი ვერრა? - გაიღრიჭა მიშა და წინაკის მწნილი ყუნნინანად შეჭამა.

- ვილუპებით ბიჭებო, დედები გვეტ*ვნება, - ამოიგმინა გოდერძამ და იქვე მიყუდებულ ქვევრის სახურავზე ჩამოჯდა.

ეს ისე გულწრფელად ნათქვამი იყო, რომ ვერც „კლუჩამ" და ვერც მიშამ ზმა ვეღარ ამოიღო. კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოცაც ფეხები ააფხარკალა და ქვევრიდან ამოძვრა. არცერთს ასეთი დაბეზღავებული გოდერძა არ ენახა. თანაც ვინა?! გოდერძა! „ჯალობანში" საქართველოს ძიუდოს ნაკრების ორი ნევრი ერთმანეთის მიყოლებით „ეისრულით ძირს რომ დასცა და ფალავანი გახდა. მერე კიდენა მოგებული ჭიდილა ეისრით რომ ჩამოიყვანა სოფელში. ჰაი, დედასა!

ბოლოს ისევ „კლუჩამ" მიაგნო მფეველში ჩავარდნილ ენას:

- ბეჯო გოდერძ, მითხარ, ვის გადაუწყვეტია მამაჩვენი გახდეი და მერე გაჩვენებ იმის სეირსა. დედაჩემ მარტო მამაჩენი ოთარა უმედაეს და იმანაც მაშინა, როცა ცხვარში ეარ, ანდაც ვენახში.

- წეღან გოგიასთან ეიყავი, - ბოხსნა სათქმელი პირი გოდერძამაც: - ზაურა იმარჯვეებს არჩევენებში. მაგ... მაგ... მაგ... - ვერაფერთ მიაგნო ყველაზე მეურაცხმყოფელ სიტყვას და ბოლოს ისევ „ჩემისა" მოიშველია:

- მაგ ჩემისამ არჩევენები რომ მოიგოს, გოგიასაც და მამაჩემსაც დაიჭერენ. მე ჭიდაობი დარბაზიდან გამამაგდებენ. ვენახებ წამართმეეენ და მემრე თქვენნაც მოგდგებიან.

მარანში სრული სიწყმე ჩამოვარდა. გოდერძამ ჯერ კაკოს შეხედა, მერე მიშას, ბოლოს „კლუჩას" და განაჩენი გამოაცხადა:

- უნდა ვცვიმოთ!

სამივემ შვებით ამოისუნთქა. ეს ყველაზე იოლი გასაკეთებელი იყო.

- დღეს ჩამოდის ქალაქიდანა და ხვალ მთელი დღე ხალხში იქნებაა. ხვალ საღამოს უნდა ჩავეყაფრდეთ სადმე. გოგიამ დანა არ იხმაროთ და თვალებზე არ დაეტყოსოო. მუცელში უნდა ვურტყაო, ფეხებშიც. ისე რომ ზეგ, არჩევენები დღეი ლოგინიდან ვეღარ ადგეი.

- შენ არნეინად იყავ გოდერძ, - გოდერძას მხარზე ხელი დაჰკრა „კლუჩა" დათუამ: - მაშინ სიყრმე მამიკვდეი, თუ მაგაჟ ჩემი მუშტი გემო დაავინყდეი. მთელი ნათესაობა შაყრილი მაქ ძმაო, ზაურაჟ ხმა არ მიცეთ-მეთქი. ჩვენ სოფელში ნაადგებს. ბალღებ გეფიცები თუ არ ნაადგოჟ. შიბლიანში კიდენა მაგაჟ ხმაი არ მიცემენ. რაიონი გამბაგრებულია, მიდის აგიტაცია და ბასტი-ბუბუ. ერთი ცემაღი დაგვრჩა და მაგაში როგორ დაგზარდებით. არა ბიჭებო? - მიუტრიალდა კაკოს და მიშას.

იმათაც თავები დაუკანტურეს. გუდლაყაანთ მიშამ ჰერანგის სახელოები დაიმკლაკვა, ვიითმეც და თუ გინდა ახლავე წავიდეთ მაგ საქმეზეო.

გოდერძამ შვებით ამოისუნთქა - საქმეს კარგი პირი უჩანდა. საზღვარგარეთ წასვლაზე, ხუთას დოლარსა და როგორც ფიქრობდა, იმ ფულის ბიჭებთან გაყოფაზე ხმა აღარ ამოუღია. საქმე ისედაც კეთდებოდა.

- მაშინ სანამ თქვენ ამ ქვევრ ამორეცხავთ, სახლში ჩავრბენ და ბურკაკ დაეკლავ. რომ მორჩებით, ჩემთან ჩამოლაგდით ყველა.

„კლუჩას" კი უნდა დაეწყო „ჩვენთან რა ნეიმა ჩამოგვდისო", მაგრამ „ბიჩკის" თაეწყენდგარ ძნელის თეფშს დახედა, რომელიც მიშას უკვე გაეწალეკენებინა, მერე გოდერძას ნიფელზე და რკოზე გაზრდილი ბურვაკები გაახსენდა და ხმა აღარ ამოუღია.

ცოტა ხანში გოდერძას ეზოში ბურვაკმა ეყიენილით ცა მინაზე ჩამოიტანა. ამ ხმამ ელვასავით დაუარა უბანს და „კლუჩას" მარანში გაზაფხულის მერცხალივითი შეეარდა. ისინიც თითქოს ამას ელოდნენო, გარეცხილ ქვევრს სახურავი სასწრაფოდ დაადგარეს, მარნის კარი გამოკეტეს და გოდერძას სახლისკენ ფეხბალრეფით დაეშვნენ, თან ისე, რომ „ბირეულზე" არ ვაეკლოთ - არც უცხო თვალი უნდოდათ და არც ბურვაკის ხორცში შემზიარებელი.

იმ ღამეს ეიღაცამ მთვრალ გოდერძას შუა ქეიფში დაუძახა, გარეთ გაიყვანა და ჩუმად უთხრა, „ზაურა ხვალ საღამოს, ათი საათის შემდეგ საოფლის კლუბიდან სახლში მარტო წავაო". სოფლის კლუბიდან ზაურას სახლამდე „მნარე ხევი" იყო გასაკლელი.

ჩასაფრება სწორედ „მნარე ხევში" გადაწყდა...

* * *

მეორე დღეს ზაურა და მისი მომზრეები ოთხი მანქანით სოფლის მთავარ გზაზე ბლეილ-ბლეილითი არბოდნენ და ჩარბოდნენ. ზაურას ხელში მეგაფონი თუ რაღაც ჯანდაბა ეჭირა და შიგ მთელი სოფლის გასაგონად ჩაპკეოდა: „შემოხაზეთ სამი და აკლესოთ ხმალი!", „დღეე დაგვიდგა დარიანი - ზაურაა სამიანი" და ასეთებს.

რაიონიდან გადმოსულ დამკვირვებელს, რომელსაც უნდა ზაურასთვის ეთქვა „არჩევნებამდე ერთ დღით ადრე საარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდა ნუღარ ენეკითო", კინალამ მანქანით ზედ გადაუარეს.

გოგია თავის კაბინეტში შეყოყულულიყო და თათბირს ატარებდა. მბოლოდ მაშინ შეწყვეტილავდა ხოლმე ლაპარაკს, როცა ზაურას მანქანა პიპინ-პიპინით აუვლიდა გამგეობას და ზაურაა გვერდით მჯდარი ვიღაც წითელთმიანი და ბნედიანივით თვალებმობრიალე ქალი მანქანიდან „ბირეულზე" მდგარი ხალხის გასაგონად დაიკივლებდა: „ხმა მიეცით ნომერ სამს - ზაურ ქიზიყურაშვილს!" და აქაოდა იქნებ ზაურ ქიზიყურაშვილი ვერ გაიგონ ვინ არისო, იქვე მიაკივლებდა: „ხმა მიეცით კნანას ბიჭს!"

გოგია კაბინეტში თავის ძმას და მეზობლებს ძლივს აკავებდა:

- თქვენ ხომ არ გაგიჟებულხართ?! რა უნდა ცემოთ, აქა, გამგეობის წინა, მთელი სოფელი დასახახადა? მე მაგი უფლებაი ვერ მოგცემთ, ვერა!

გუნებაში კი კბილებს ილესავდა, „ჰაიიიი, დალამდეი კნანაი ბიჭო, დალამდეი, შენ რაც არ გინახია, იმაჟ განაჩებთ!"

გოგიას გოდერძას იმედი ჰქონდა და არც სცდებოდა. გოდერძას და თავის მმაკაცებს შუადღის

მერე „მწარე ხევში", გზის ზემოთ, მოფარებულში წიფლის ხის ქვეშ სუფრა გაეშალათ და წუხანდელ ბურვაკის ხორცს ჭაჭის არაყს აყოლებდნენ. „კატის მანძილი საბძელიაო" და ზაურასაც ყველა ვარიანტში ამ გზაზე უნდა გამოუვლო. ხხყანაირად სახლში ვერ მივიდოდა.

მოსაღამოდა.

სოფლის კლუბის წინ ზაურას ჩამოყვანილმა ქალაქელმა მომღერლებმა ცეცხლი დაანთეს - სიმღერასა და ცეკვაში სოფლის ახალგაზრდობაც კი აიყოლიეს. გამგეობაში გოგიას ამბავი მიუტანეს, სხვებთან ერთად აგრონომის გოგოც კარგად ქუსლავსო. გოგიამ იმ წუთასვე დანერა აგრონომის გათავისუფლების ბრძანება და აგრონომის მეზობელს, ძგერანაათთ შოოს დაუბარა, „ეგრე გედეეცი, ბვალ დილაზე სამსახურში აღარ მობვიდე. ხელფასი კიდენა შენმა გოგოი ცეეეი მასწავლებელმა გადაგიხადოო-თქო".

საქმე გაძლებაზე იყო და უნდა გაეძლო. ერთიანობა უნდა შეენარჩუნებინა სოფელს და ამ ერთიანობის გვირგვინი ხვალ დილით ნაცემი და ცოცხალ-მკვდარი ზაურა უნდა ყოფილიყო. სოფელს დილითვე უნდა გაეგო ეს ამბავი. ბმა რომ გავარდებოდა, რომ არჩევნების დღეს ნაცემ-ნაბეგვი ზაურა სახლში წევსო, სნორედ მაძინ დაფიქრდებოდნენ ისინი, რომლებიც ყოყმანობდნენ და შიბლიანელი კოლას ბიჭის მაგივრად ზაურასთვის აპირებდნენ ბმის მიცემას. სნორედ ზაურას ცემა უნდა ყოფილიყო იმის მაჩვენებელი, რომ კოჭლამბაანთ გოგიას გრძელი ხელი ყველას მისწვდებოდა...

ამასობაში დაღამდა.

„მწარე ხევში" ჩასაფრებულ და არყისგან თავბრუ დახვეულ გოდერძას და იმის ძმაკაცებს ფეხის ხმა მოესმათ. რიყეზე ვილაც მოდიოდა. ოთხივემ თავზე ქუდები ჩამოიფხატეს და გზისკენ დაეშვნენ. გუდლაყაანთ მიშას არაყი მოპკიდებოდა და ბალახზე ფეხი უცურდებოდა. უნდა ეჩქარათ, თორემ ზაურა გაივლიდა ამ ადგილს და მერე ხმაურზე იქნება გაქცეულიყო კიდეც.

გოდერძა სირბილზე გადაეიდა და ყველას ჩასწრო გზაზე. სიბნელეში კარგად ვერ გაარჩია, მაგრამ სადაც მოუხვდა ხელი იქ სტაცა, დაიქნია, სწრაფადვე შეუტრიალდა, დაუჩოქა და დაუკისრულა. იმან ხმა ვერც ამოიღო, ისე აიმვირა ფეხები და მთელი სიმძიმით დასაკდა რიყის ქვებს. ამასობაში „კლუჩამაც" ჩამოიოკა და წაქცეულს პირდაპირ მუცელში ჩასცა წიხლი. სხვებიც ნამოშვეულნენ. ბმას არცერთი არ იღებდა, ზაურას რომელიმე ხმაზე რომ არ ეცნო. მხოლოდ ხვნეშა და ბრაგა-ბრუგი ისმოდა. ზოგჯერ ერთმანეთს კი ურტყამდნენ, მაგრამ მაინც კარგად გრძნობდნენ მათ ფეიქვეშ ჩავარდნილ სიეულს და ცდილობდნენ მისთვის მთელი ძალით ერტყათ.

ძალა რომ გამოელიათ, სირბილის თავი აღარ ჰქონდათ და ოთხივე სნრაფი სიარულით უკან შეუყვა გზას. სოფელს შორიდან მოუარეს. გოდერძას სახლთან ცოტა ხანს იჩურჩულეს და დაიშალნენ.

* * *

მეორე დღეს უთენია რაიონიდან საარჩევნო ყუთი გადმოიტანეს და გამგეობის შუა ოთახში დადგეს.



დაიწყო არჩევნები და დაიწყო ხალხმაც დენა.

გოგიამ დილითვე მისცა ხმა, მერე „ბირჟაზე" ჩამოდგა და ნაძალადევი ღიმილით ხალხს ლაპარაკი დაუწყო, თან თვალს იმ გზისაკენ აპარებდა, საითაც „ძნარე ხეცი" იყო. იმ გზიდან უნდა გამოჩენილიყო ზაურა.

შუადღე გადავიდა და კნაწას ბიჭი არსად ჩანდა.

„შენ მუშტებსა და წიხლებს ვენაცვალე გოდერძო", გულში ფიქრობდა გაბარებული გოგია, თან გუნებაში ანგარიშობდა, რაიონის გამგებლისთვის და შიბლიანელებისთვის რა უნდა დაეცინცლა.

უცბად გზაზე ზაურა გამოჩნდა...

გოგიამ თვალები მოიფშვნიტა. არა, ზაურა იყო - ზაურა და ის ეიღაც წითელთმიანი ალქაჯი.

გოგიას გულმა მწარედ უჩჩვლიტა და რომ არ ნაქცეულიყო, ჩუთლაშვილ თენგიზას ჩამოეკიდა მხარზე. როგორც ჩანს ზაურა რაღაც სასაცილოს უყვებოდა, რადგან ის ქალი მალი-მალ კისკისებდა. ნაცემის არაფერი ეტყობოდა. ღიმილით მიეგება გამგეობასთან, შევიდა შიგნით, ცოტა ხანში გამოვიდა და ქალაქიდან ჩამოსული ჟურნალისტებთან ლაპარაკი გააბა.

გოგიას თავი სიზმარში ეგონა. ძლივს ამოიგონინა, „გოდერძაჲ დაუძახეთო" და იქვე სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ სწრაფადვე მიხვდა, თვითონ უნდა წასულიყო თავის ძმის სახლში და ძმიშვილისთვის ცოცხალი და მკვდარი უნდა ეგინებინა. ამას კი „ბირჟაზე", სახალხოდ ვერ გაბაკუთებდა. თუმცა გული ისე მწარედ ჩხვლეტდა, შეშინებულმა გოდერძას სახლამდე სადმე არ ნავიქცეო, სახლისაკენ ნელი ნაბახლასლადა.

არჩევნები გაბურდა...

მოდიოდა და მოდიოდა ხალხი - მოვიდოდა ავტობუსი, ჩამოვიდოდა ვიღაც უცნო ხალხი, შევიდოდნენ გამგეობაში ჯგროდ, მისცემდნენ ხმას, გამოვიდოდნენ, ჩასხდებოდნენ ავტობუსში და წავიდოდნენ. მერე სხვა ავტობუსი მოვიდოდა ისევ უცნო ხალხით და ასე.

სახლში ახლა გოგიას მეზობლის ქალმა ორი ამბავი აუტანა - პირველი, თურმე „შიბლიანელეები საარჩევნო სიაში თავის გვარებს ვერ პოულობენ და სამაგიეროდ, ქეშალოელი და ლამბალოელი აზრობაიჯანელები არიან სიაში და ისინი აძლევენ ხმასო" და მეორე, „ვიღაც გოგო-ბიჭები, თავის თავს ეგზიტპაოლელებს თუ რაღაც ჯანდაბას რომ ეძახიან, ჩვენი გამგეობის ეზოში დგანან, თან ხალხში გამოკითხეს ატარებენ, „ხმა ვის მიეცით?" და უმეტესობა სამ ნომერს ასახელებსო".

თავის ეზოში, ცაცხვის ძირას მჯდომი გოგია უკვე იმას ფიქრობდა, „ე ხბოჲ გირკალით ხო არ ჩამოვიხრწო ამ ცაცხვზე თავიო?" რომ მისი ეზოს კარი შემოეხეთქა და „აჯამი" ზაზა გალეექებული შემოვარდა:

- გოგია ძიავ, ვიღაცეებ გუშინ „ამწარე ხევში" მენახირე თეფლა იგრე უცემიაია, იგრე, რომ წუხელ დალეწილ-დამტვრეული საავადმყოფოში წაიყვანიაია.

„ოიდუაოოო".

ახლა ორი გირკალი და ორჯერ თავის ჩამოჭრჩობაც ეეღარ უშველიდა გოგიას.

თავი გახურებულ საკირეს უგავდა და წუთიწუთზე აუფეთქდებოდა.

სასწრაფოდ უნდა ემოქმედა, რადგან ახლა დრო მის წინააღმდეგ მუშაობდა. უნდა ემოქმედა, მაგრამ რა უნდა ექნა?!

უცბად ამ „მეთთატეხასა და მეორედ მოსვლაში" გოგიას ერთმა აზრმა გაუელვა. დარწმუნებული არ იყო, რომ ეს კარგი აზრი იყო, მაგრამ სხვა გზა აღარ არსებობდა - უნდა დაეცია უკან, თუნდაც დროებით. უკან უნდა დაეცია, თავის დროს დალოდებოდა და თუ შესაფერისი მომენტი დაუდგებოდა, ჰაიიიიი, მერე გაგეშვათ გოგია, მერე საძირკვლამდე ამოთხრიდა ყველას, ეინც ამ ვინრო ალაგას უგანა.

გოგიას ცბიერად გაელიმა და ზაზას ღიმილით უთხრა:

- ზაზავ, შენი ჭირიმე ზაზავ, აბა შენ იცი ბიჭო, სანამ გოდერძა ამოვა. შენა ხარ ჩემი ძმიშვილიც, ჭკოლიეც და შეილიშვილიცა.

„აჯამი" ზაზა ვერ გაერკვა, მაგრამ გოგიას გაბრწყინებულ თვალებს რომ შეხედა, მიხვდა, რაღაც კარგ საქმეში ჰყოფდა თავს და „აქა ვარ გოგია ძია, შენი ჭირიმე, შენიო", ამოოძახა იმანაც.

გოგიამ დააკოსტრატა:

- წყალი დადგი შვილო, აადუღე, მერე შავარდი სალოორეში, სამი გოჭი დაიჭირე და დაკალი. მე ქვევრ მოვხდი. აბა შენ იცი ზაზავ.

ზაზას მეორედ თქმა აღარ უნდოდა და გოგიას ეზოში რამდენიმე ნუთში ცოდვის კალო დატრიალდა - ერთმანეთის მიყოლებით იკვლებოდა გოჭები, ქათმები, ინდაურები. ზუსტად ორ საათში გოგიას ეზოში დიდი სუფრა გაიშალა.

მოსაღამოდა...

გოგია გამგეობისკენ დაეშვა. ნუთი-წუთზე საარჩევნო უბანი დაიკეტებოდა. „ბირჟაზე" ისევ ისევ იდგა ხალხი, ოღონდ გაბევრებულიყო - ყველას ინტერესებდა არჩევნების ბედ-იღბალი. დილანდელთან შედარებით ხალხის მატებასთან ერთად ერთი მნარე განსხვავებაც იყო - ნელან სადაც გოგია იდგა, იმ ადგილას კნანას ბიჭი ჩამდგარიყო და სოფლელებს ელაპარაკებოდა.

მომღიმარი გოგია ზაურასთან მივიდა, ხელმკლავი გაუყარა და ლაპარაკ-ლაპარაკით გვერდზე გაიყვანა. „ბირჟა" გაისუსა. გოგიამ და ზაურამ მოშორებით ცოტა ხანი ილაპარაკეს, გოგია რაღაცას უმტკიცებდა, ზაურა არ თანხმდებოდა. ბოლოს გოგიას დაჟინებამ გასჭრა.

გოგიას ეზოში ღილამდე ისმოდა ქალაქელი მუსიკოსების სიმღერა და ზაურას სადღეგრძელოები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიო ვარგას ლიოსა: პოლიტიკური კორექტულობა თავისუფლების მტერია

მაიტე რიკოს ინტერვიუ მარიო ვარგას ლიოსასთან

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

მაიტე რიკო

პერუელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი მარიო ვარგას ლიოსა ხალისით გვიზიარებს თავის შეხედულებებს თავისუფლების, პიროვნებისა და თავისი ახალი თხზულების, *La llamada de la tribu*-ს, ანუ „ტომის ძახილის" შესახებ. ლიოსას წიგნში განხილულია ადამ სმითის, ხოსე ორტეგა ი გასეტის, ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის, კარლ პოპერის, რეიმონდ არონის, ისაია ბერლინისა და ჟან-ფრანსუა რეველის კონცეფციები.

ეს მოაზროვნეები მიიჩნევდნენ, რომ პიროვნება ავტონომიური არსებაა, ხოლო თავისუფლება - უზენაესი ღირებულება. მათი შეხედულებით, დემოკრატიის, აგრეთვე - ძალაუფლების განაწილების მეშვეობით შესაძლებელი ხდება საზოგადოების წინააღმდეგობრივ ფასეულობათა ჰარმონიული თანაარსებობა ერთიან სისტემაში. ისინი უგულებელყოფდნენ „ტომობრივ აზროვნებას", რომელიც ისტორიულად ფაშიზმის, კომუნიზმის, ნაციონალიზმისა და რელიგიური ფანატიზმის წყაროდ იქცა. „ტომის ძახილი" ასევე, ინტელექტუალური ავტობიოგრაფიაა, საიდანაც ვიგებთ, რომ ვარგას ლიოსა მარქსისტული და ეგზისტენციალისტური თეორიების მომხრე იყო, სანამ ლიბერალიზმის პოზიციებზე გადაინაცვლებდა.

კითხვა: რატომ აკრიტიკებენ ესოდენ გამეტებით ლიბერალურ აზროვნებას?

პასუხი: ლიბერალური აზროვნების კრიტიკოსები ემყარებიან იდეოლოგიებს, რომლებიც შეუთავსებელია თავისუფლებასთან, ხოლო ლიბერალიზმს თავიანთ მოსისხლე მტრად მიიჩნევენ. ანორედ ეს მიიდოდა ამეხსნა ჩემს წიგნში. ფაშიზმი და კომუნიზმი ლიბერალიზმს კარიკატურული სახით წარმოადგენდნენ და კონსერვატიზმს სდევნიდნენ ბრალად. ადრეულ სტადიებზე ლიბერალიზმის წინააღმდეგ კანონს იყენებდნენ. პაპები თავიანთი ენციკლიკების მეშვეობით ანათემას უთვლიდნენ დოქტრინას, რომელიც რელიგიისა და ზნეობრივ ღირებულებათა მტრად ითვლებოდა. ვფიქრობ, სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალიზმის ამ მონინააღმდეგეებმა განაპირობეს ლიბერალიზმის დაკავშირება დემოკრატიასთან. დემოკრატიის განეკითარება და ადამიანის უფლებების აღიარება ძირითადად, ლიბერალურ მოაზროვნეთა ნაყოფობით მოხდა.

კითხვა: მოაზროვნეები, რომელთა შეხედულებები თქვენს წიგნშია განხილული, არსებულ ტრადიციებს ებრძოდნენ.

პასუხი: ამიტომაც იყო, რომ ფრიდრიხ ფონ ჰაიეკისა და ორტეგას ორი წიგნი აკრძალეს. ლიბერალიზმი არაა იდეოლოგია. იდეოლოგია სეკულარული რელიგიაა. ლიბერალიზმი კი ემხრობა თავისუფლებასა და ინდივიდუალიზმს და, ამასთანავე, უგულებელყოფს კოლექტივიზმსა და ნაციონალიზმს, ანუ ყველა იმ იდეოლოგიას ან დოქტრინას, რომლებიც ზღუდავენ ან ანადგურებენ პიროვნების თავისუფლებას საზოგადოებაში.

კითხვა: ნაციონალიზმის საკითხის განხილვისას ორტეგა ი გასაკი აღნიშნავდა, რომ არსებობს მისი საშიშროება ბასკეთსა და კატალონიაში. რატომ გმობენ ლიბერალები ნაციონალიზმს?

პასუხი: იმიტომ, რომ ის შეუთავსებელია თავისუფლებასთან. არსებითად, ნაციონალიზმი რასიზმის ეროვნული სახეობაა. თუ მიგაჩნიათ, რომ, უბრალოდ, გარკვეული ქვეყნის, ერის, რასისა ან რელიგიისადმი კუთვნილება პრივილეგიასა და გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენს, მაშასადამე, თავს სხვებზე უფრო მაღლა აყენებთ. რასიზმი, როგორც წესი, იმვეგს ძალმომრეობასა და თავისუფლების შეზღუდვას. ამიტომ, ადამ სმითიდან მოყოლებული, ლიბერალიზმი გმობდა კოლექტივიზმსა და ნაციონალიზმს, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა ესი განსჯის უგულებელყოფა ინმენის სახელით.

კითხვა: პოპულიზმი, ნაციონალიზმის აღორძინება, დიდი ბრიტანეთის გამოსვლა ევროკავშირიდან ანუ ეგრეთ წოდებული „ბრექსიტი"... ყოველივე ეს ტრანზიციზმის საფრთხით ხომ არ გვემუქრება?

პასუხი: ჩემი აზრით, ამ საფრთხეს თავიდან აგვაცილებს ჩვენი დროის ყველაზე პროგრესული ტენდენცია - მსხვილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომლებიც აერთიანებენ განსხვავებულ ენებს, ტრადიციებსა და რწმენებს. ევროპაში სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს. მეორე მხრივ, ამასთან დაკავშირებით ნამოიჭრება უამრავი პრობლემა, ასეევ - ცდუნება, რომ დავუბრუნდეთ მცირერიცხოვან ერთგვაროვან ტომობრივ ერთობებს, ისეთებს, როგორიც არასოდეს არსებულა. ამ ერთობათა თანაბარუფლებიან ნევრებს საერთო რწმენა და ენა შეაკავშირებს. ამ მითთან დაკავშირებულია მეტი უსაფრთხოების შეგრძნება და სწორედ ამით აიხსნება ისეთი მოვლენები, როგორიცაა ბრექსიტი, კატალონიური ნაციონალიზმი ან ნაციონალიზმის ის სახეობა, რომელიც აზარალებს დემოკრატიებს, როგორიც უ ხდება პოლონეთში, უნგრეთში და პოლანდიაშიც კი. მაგრამ, ჩემი აზრით, ნაციონალიზმს მოსახლეობის მხოლოდ უმცირესობა ემხრობა (მაგალითად, კატალონიაში) და დემოკრატიული ინსტიტუციები თანდათან ასუსტებს მას, სანამ საბოლოოდ გაანადგურებდეს. ამ საკითხის მიმართ საკმარისად ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

კითხვა: თქვენი გადასაცვლება მარქსიზმიდან ლიბერალიზმის პოზიციებზე უნეველად ნაბიჯი რადია. ფაქტობრივად, ეს გზა გაჭედეს ამ მოაზროვნეებმა (პოპერმა, არონმა, რეკელმა), რომელთა თვალსაზრისები თქვენს ნიგნშია გაანალიზებული.

პასუხი: ჩემმა თაობამ ხმა აიმაღლა სამხრეთ ამერიკაში არსებული უთანასწორობისა და სამხედრო დიქტატურების წინააღმდეგ, რომელსაც მიარს უჭერდა შეერთებული შტატები. ეს იყო დემოკრატიის კარიკატურა და არა საკუთრივ დემოკრატია. მე კი კომუნიზმი მიზიდავდა. ვფიქრობდი, რომ მინი მეშვეობით შესაძლებელი გახდებოდა სამხედრო დიქტატურის, კორუფციისა და, უსარგებლეს ყოველისა, ადამიანთა უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა. სან მარკოს ეროვნულ უნივერსიტეტში სნავლისას სამხრეთამერიკელ კომუნისტებთან დაახლოება მსურდა, მაგრამ მალე მიეხვდი, რომ სამხრეთ ამერიკაში კომუნიზმში სხვა არა იყო რა, თუ არა წმინდა წყლის სტალინიზმი, ხოლო იქაური პარტიები მოსკოვის კომინტერნს ექვემდებარებოდნენ. მართლმორწმუნე კომუნისტი მხოლოდ ერთი ნლის განმავლობაში გახლდით, შემდეგ კი - უფრო ზომიერი ნიოსალიზმის პოზიციებზე გადავინაცვლე. ამას ხელი შეუწყო კუბის რევოლუციამ, რომელიც თავდაპირველად ეკეთანაში თითქოს სოციალიზმის განსხვავებული, ხალკუბად დოგმატური ნაირსახეობის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. 1970-იან ნლებში კუბას ხუთჯერ ვესტუმრე, მაგრამ ილუზიები თანდათან მიქარნწყლდებოდა, გახსაკუთრებით, UMAP-ის - დამხმარე სამხედრო ქვედანაყოფთა - შექმნის შემდეგ. მძიმედ გადვიცადე რეპრესიები კუბელი ანალგაზრდა მოღვაწეებისა, რომელთაგან კარგად ვიცნობდი. მახსოვს, პირადი ნერილი გავუგზავნე ფიდელ კასტროს. ეეკითხებოდი, როგორ მოხდა, რომ კუბაზე, რომელიც ტოლერანტული და ღია სტილის სოციალიზმით ხასიათდებოდა, საკონცენტრაციო ბანაკებში ერთად გამომაწყვედიეს ჰომოსექსუალები და ჩვეულებრივი ბოროტმოქმედები. ფიდელმა მე და რამდენიმე ინტელექტუალი მასთან სასაუბროდ მიგვიწვია. მთელი ღამის - თორმეტი საათის - განმავლობაში, საღამოს რვა საათიან ფილის რვა საათამდე მას ვუსმენდით. კასტროს მსჯელობა შთამბეჭდავი, მაგრამ არც ისე დამაჯერებელი იყო. სოციალიზმმა საბოლოოდ გამიცოცა იმედები მას შემდეგ, რაც 1971 ნელს დაპატიმრებული მნერალი, ებერტო პადილა, იძულებული გახდა, საჯაროდ ეღიარებინა თავისი „დანაშაული", რამაც ბოლო მოუღო კუბელი ინტელექტუალებისა და რევოლუციური რეჟიმის იდილიურ ურთიერთდამოკიდებულებას. ხანგრძლივი და რთული გზა განვვლე, სანამ ლიბერალურ დოქტრინის ალეტები გავხდებოდი - საბედნიეროდ, ამ დროს ბრიტანეთში ვცხოვრობდი, რომელის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი იყო.

კითხვა: თქვენ ახასიათებთ მარგარეტ ტეტჩერს, როგორც გაბედულ პოლიტიკოსს, რომელიც ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, ეს

კი მკვეთრად ეწინააღმდეგება არსებულ წარმოდგენას მის შესახებ.

პასუხი: ეს აბსოლუტურად უსამართლო და კარიკატურული პორტრეტია. როდესაც ინგლისში ჩავედი, ქვეყანა დასუსტებული იყო ლეიბორისტული პარტიის ნაციონალიზერი ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენით. მარგარეტ ტეტჩერმა ააღორძინა ბრიტანეთი. ეს იყო მძიმე ნლები; ტეტჩერი ებრძოდა პროფკავშირებს, რომელთა გაფიცვები ძირს უთხრიდა ეკონომიკას; მან შეეშვა თავისუფალი ბაზრის საზოგადოება; აღსანიშნავია, ასევე, რომ ტეტჩერი იცავდა დემოკრატიას, რომელსაც საფრთხეს უქმნიდა სოციალიზმი ჩრნეთსა და საბჭოთა კავშირში - ყველაზე სასტიკ დიქტატურაში, რომელიც კი არსებულა მსოფლიოში. ჩემთვის ეს იყო ნნიშვნელოვანი პერიოდი, რადგან იმხანად დავიწყე ჰაიეკთა და პოპერის კითხვა, რომელთა შეხედულებებსაც ტეტჩერი ხშირად იმოწმებდა. ის ამბობდა, რომ ღია საზოგადოებისა და მისი მოწინააღმდეგეების კონფლიქტი მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა. თავისუფლების კულტურაში ტეტჩერისა და რონალდ რეიგანის მიერ შეტანილი წვლილი და, ასევე, საბჭოთა კავშირის გაუქმება, დემოკრატიული კულტურის უდიდესი მიღწევა გახლდათ. სამწუხაროდ, ამ მოვლენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცალმხრივად, არასრულად აფასებენ.

კითხვა: რაში მდგომარეობს ამჟამად დასავლური დემოკრატიის მთავარი ამოცანა?

პასუხი: ამჟამად დასავლური დემოკრატიის უდიდესი მტერი პოპულიზმია. უკვე არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი არ მოინდომებს საკუთარი ქვეყნის მოდელირებას ჩრდილოეთ კორეის, კუბის ან ვენესუელის ნიმუშთა მიხედვით, რადგან მარქსიზმი პოლიტიკური ცხოვრების პერიფერიაზე მოექცა, მაგრამ ეს არ შეეხება პოპულიზმს, რომელიც შიგნიდან ანადგურებს დემოკრატიებს. ამ ტენდენციას სუსტი დემოკრატიები, საბნუხაროდ, ვერ უმკლავდებიან.

კითხვა: 2008 ნლის საბაკო კრიზისმა ხელი შეუწყო იმ დოქტრინის პოპულარობის ზრდას, რომელსაც ხშირად ნეოლიბერალიზმს უნოდებენ.

პასუხი: ვერ გეტყვით რა არის ის, რასაც ნეოლიბერალიზმს უნოდებენ. როგორც ჩანს, ესაა ლიბერალიზმის კარიკატურა, რომელიც ლიბერალიზმს კაპიტალიზმის ყველაზე უფრო სასტიკ ფორმად გვისახავს. ლიბერალიზმი არაა დოგმატური იდეოლოგია, ის ყველა კითხვაზე ვერ გასცემს პასუხს. ლიბერალიზმი ვითარდებოდა ადამ სმითიდან მოყოლებული დღემდე, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება სულ უფრო მეტად რთულდება. ამჟამად მან უნდა გაითვალისწინოს ისეთი პრობლემები, რომლებზეც უწინ არავინ დფიქრებულა - ასეთია, მაგალითად, ქალთა დისკრიმინაციის საკითხი.

კითხვა: ლიბერალიზმის სხვადასხვა ხარისხს სახელმწიფოს როლი ვანაპირობებს.

პასუხი: დიახ, ასეა. ლიბერალების მიზანია, რომ სახელმწიფო იყოს ქმედითუნარიანი, მაგრამ - არაგრესიული; სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა თავისუფლება და თანაბარი შესაძლებლობები, განსაკუთრებით - განათლების სფეროში და კანონთან მიმართებაში. მაგრამ გარდა ამ ძირეული კონსენსუსისა, არსებობს განსხვავებებიც. ისაია ბერლინის თვალსაზრისით, ეკონომიკური თავისუფლება შეუზღუდავი ვერ იქნება, რადგან სნორედ ამან გამოიწვია ის, რომ მე-19 საუკუნეში ბავშვები მაღაროებში მუშაობდნენ. მეორე მხრივ, პაიეკის აზრით, ბაზრის საშუალებით შესაძლებელია ყველა პრობლემის გადაჭრა. ბერლინის თვალსაზრისი გაცილებით უფრო რეალისტური იყო. მას სნამდა, რომ, არსებითად, ეკონომიკური პროგრესის მამოძრავებელი ძალა ბაზარია. მაგრამ თუკი პროგრესი ნიშნავს ადამიანთა უთანაბაბრობის ნარმოქმნას, ის საფრთხეს უქმნის დემოკრატიას. თავის მხრივ, ადამ სმითის - ლიბერალიზმის მამამთავრის - პოზიცია ძალზე მოქნილი იყო. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ლიბერალიზმს არაკოექტულად გაიაზრებენ. მაგალითად, ის ეკონომისტები, რომელთა აზროვნება გარკვეული მეზღუდულობით ხასიათდება, დარწმუნებული არიან, რომ თავისუფლება მხოლოდ ეკონომიკური რეფორმების შედეგია. მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, იდეები ეკონომიკურ რეფორმაზე უფრო მნიშვნელოვანია. მაგრამ, თუ დაეუბრუნდებით კარიკატურებს ან ეროზრივ საშუალებებს, მეტად მნიშვნელოვანია იარლიყ „პროგრესულის" გამოყენება; ესპანეთში ამ სიტყვით ახასიათებენ კუბასა და ვენესუელაში არსებულ დიქტატურებს. სამწუხაროდ, მიმაჩნია, რომ ესაა ინტელექტუალების მიერ ენის შურყვნა. მათ პროგრესულობა მიაწერეს მარქსიზმსა და კომფაშიზმს, ისევე, როგორც ადრე - ნაციზმსა და ფაშიზმს. ინტელექტუალები ყოველთვის მიიჩნევდნენ დემოკრატიას მდარე, უფაქრულ სისტემად, რომელსაც არ სჩვეოდა „ლიდერ" იდეოლოგიების ხიბლი, სრულყოფილება და სამყნობრე. ამჟამინდელნი თვალსანიერი შეუთავსებელია მაღალ ინტელექტთან. მაგალითად, როგორ მოხდა, რომ ჰაიდეგერი - შესაძლოა, თანამედროვეობის უდიდესი ფილოსოფოსი - ნაციზმს მიემხრო? იგივე შეიძლება ითქვას კომუნიზმის შესახებ. მან მონუხსა უდიდესი პოეტები და პროზაიკოები, რომელთაგან ბულგაგიე კი არ ალაშფოთებდა. მეოცე საუკუნის ყველაზე უფრო ჭკვიანი ფრანგი ფილოსოფოსი, ჟან-პოლ სარტრი, მხარს უჭერდა კულტურულ რევოლუციას ჩინეთში.

კითხვა: სარტრი ამპრალებდა ბენოციდს, მხარს უჭერდა ტერანული რეჟიმებს და დაუახლოვდა ნაციისტებს, მაშინ, როდესაც სხვები, მაგალითად, ალბერ კამიუ, წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდნენ. და, ამის შემდეგ, სარტრი ლექციებს კითხულობდა! რატომ იცავთ მას?

პასუხი: სარტრი ჩემი ახალგაზრდობის განუყოფელი ნაწილია.

კითხვა: თქვენ სარტრს, მისი საეჭვო პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, უდიდეს ინტელექტუალს უნოდებთ.

პასუხი: სარტრი რეალურად არასოდეს მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში და იმაზეც კი დათანხმდა, რომ დაეკავებინა დახვრეტილი ებრაელი პედაგოგის ადგილი. ვფიქრობ, მან ვერასოდეს დაძლია არასრულფასოვნების კომპლექსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დანაშაულის გრძნობა, რომელსაც ამის გამო განიცდიდა, შემდგომში კი ყოველნაირად ცდილობდა, „პროგრესული" და „რევოლუციური" მოაზროვნის ტიტულები დაესახელებინა. იმ დროს ყველა ინტელექტუალი მიისწრაფვოდა, პროგრესულ მოღვაწეთა რეპუტაცია მოეპოვებინათ, რადგან მათგან სწორედ ამას მოელოდნენ. 1970-იან წლებში (სამხრეთ ამერიკაში), თუ მემარცხენე ინტელექტუალი არ იყავი, ინტელექტუალად საერთოდ არ მიგიჩნევდნენ. კულტურას აკონტროლებდნენ „ლანურად განწყობილი მემარცხენეები, რომლებიც კულტურულ ცხოვრებას წარმართავდნენ. ვფიქრობ, ახლა სიტუაცია ძირეულად შეიცვალა.

კითხვა: ევროპაშიც ამგვარი ვითარება იყო.

პასუხი: რა თქმა უნდა.

კითხვა: როგორ მოიქცეოდა ესა თუ ის მოაზროვნე, მისი ინტელექტუალური პატიოსნების საკითხია.

პასუხი: მაგალითად, ბერტრან რასელი ძალზე ეკთილშობილი და ყოველმხრივ შესანიშნავი პიროვნება იყო, მაგრამ, ამავე დროს, მემარცხენეების მანიპულირების ობიექტი გახლდათ - მემარცხენეებისა, რომლებიც მის თხზულებებს არც კი კითხულობდნენ. როგორ ახსნით ამ წინააღმდეგობას? სამწუხაროდ, ინტელექტი ინტელექტუალური პატიოსნების გარანტს არ ნარმოადგენს.

კითხვა: პატივი უნდა ვცეთ თუ არა ამგვარ პიროვნებათა ნააზრევს?

პასუხი: აუცილებლად. თუ ლიტერატურის შესახებ მორალისა და ეთიკის თვალსაზრისით ვიმსჯელეთ, ის არა მარტო განადგურდება, არამედ მისი არსებობა აზრსაც დაკარგავს. ლიტერატურა გამოხატავს იმას, რის მიჩქმალვასაც ცდილობს რეალობა - უამრავი მიზეზის გამო. არაფერი ისე არ აძლიერებს საზოგადოების კრიტიკულ სულისკვეთებას, როგორც კარგი ლიტერატურა. მაგრამ ლიტერატურა და მორალი ერთმანეთს ვერ ეგუება. და თქვენ პატივი უნდა სცეთ ლიტერატურას, თუ თავისუფლებისა გწამთ.

კითხვა: უქმნის თუ არა საფრთხეს თავისუფლებას პოლიტიკური კორექტულობა?

პასუხი: პოლიტიკური კორექტულობა შეუთავსებელია თავისუფლებასთან, რადგან გამორიცხავს გულწრფელობას და ავთენტურობას. ეს კი, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტების შებღალვაა.

კითხვა: ახლა ხშირად იყენებენ ტერმინ „ყალბ სიახლეებს" და ჰგონიათ, რომ ეს ახალი ტერმინია.

პასუხი: ახალი ტერმინებით ხშირად აღინიშნება ხოლმე ძველი რეალიები. რაც შეეხება დეზინფორმაციას და მანიპულაციებს, კომუნიზმი ძალზე ოსტატურად ამაზინჯებდა რეალიებს, თავგზას უბნევდა პატიოსან ადამიანებს და ნიღაბავდა სიცრუეს ყალბი ჭეშმარიტებებით, რომლებითაც თვალს უხვევდა მოქალაქეებს.

კითხვა: საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ ახლა მოსკოვი იყენებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალ სახეობებს, რომელთა საშუალებითაც, როგორც ამბობენ, მან გავლენა მოახდინა არჩევნებზე შეერთებულ შტატებში, კატალონიაში, მექსიკასა და კოლუმბიაში.

პასუხი: ტექნოლოგიური რევოლუცია ხელს უშლის დემოკრატიზაციის პროცესს მთელ მსოფლიოში. ტექნოლოგიის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით, მაგრამ დემოკრატიისა და თავისუფლების მტრები მას თავიანთი მიზნებისთვის იყენებენ. ესაა რეალობა, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ვახერხებთ ბრძოლას მის წინააღმდეგ. ჩვენ იმგვარი ტექნოლოგიების მეშვეობით გვიტევენ, რომელთა დანიშნულებაა ჭეშმარიტების შენიღბვა და გაყალბება. თუ მათ ზეგავლენას არ ავლაგმავთ, ისინი საფრთხეს შეუქმნიან ცივილიზაციას, პროგრესსა და დემოკრატიას.

© El Pais, 2 მარტი, 2018

აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

085/100